ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

ISSN 0132—1307

1981 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სიხარულიძე

# გარეუბნის მარტოსახლი

ორაქტიანი კომედია

მონაწილენი:

**მაგდა** მოწიფული ქალიშვილი
**დოდონა** ბებია მაგდასი, ას წელს მიტანებული, მხნე დედაბერი.
**ბესარიონი** პროვინციელი ყმაწვილი, დოდონას შორეული ნათესავი
**ირინა** სტუდენტი
**ანტონი** ახალგაზრდა ინტელიგენტი
**ლუკა** ცირკის მსახიობი
**ალეკო** შუახნის წარმოსადეგი მამაკაცი
**ანა** მისი ლამაზი ცოლი
**დიმიტრი** დარბაისელი მოქალაქე
**კლარა** ღამეული სტუმარი

## პირველი მოქმედება

ზაფხულის ღამენათელში მკრთალად იხატება გარეუბნის სამსართულიანი შენობა. ფასადის მხარეს უსარკმლოა პირველი სართული, მხოლოდ სადარბაზოს მკვიდრი კარია დატანებული აგურის მაღალ კედელში. დგას სახლი ეულად, თითქოს ახლა აუჩეხავთო — კიდით კიდემდე გადაუჯეგავთ ირგვლივ გარეუბანი ახალმშენებელთათვის. ისმის ჭრიჭინი. ბაყაყი ყიყინებს სადღაც. მანქანის გაპმული საყვირი აფორიაქებს მიდამოს. შორით ჩაიხრიგინებს ღამის მატარებელი, რიტმული რახუნი ქრება და ქრება თანდათან... ანჯამების გაუსაძლისი ჭრიალი მოისმის უცებ... ანთებული სანთლით ხელში ბნელ კიბეს ფრთხილად აივლის მაგდა, მესამე სართულის კარლია ბინაში შევა და ცარიელი მაგიდის თავში ჩაძინებულ დიმიტრის ფეხაკრეფით მიუახლოვდება.

მაგდა. დიმიტრი, გაიღვიძე, დიმიტრი! გაიღვიძეთ, ბატონო დიმიტრი! ქურდები შევიდნენ საწყობში!

დიმიტრი. ვინ ქურდები? სად? რომელი ხარ?

მაგდა. გაიღვიძე, დიმიტრი! მაგდა ვარ, მაგდა! პირველ სართულზე რომ საწყობია, ქურდებმა გატეხეს.

დიმიტრი. ჩართე შუქი!

მაგდა. გამიგე, დიმიტრი, რასაც გეუბნები! ჩვენს ქვემოთ ქურდები არიან! სახიფათოა სინათლის ანთება! ხმაურიც სახიფათოა! ამხელა საწყობს რომ კაცი გატეხს, იმისგან ყველაფერია მოსალოდნელი!

დიმიტრი: როდის გატეხეს, მაგდა?

მაგდა. ახლა!.. სახელმწიფო საწყობს ძარცვავენ!.. თავზეხელაღებული ყაჩაღობაა.

დიმიტრი. (გაიაზრებს ვითარებას, შიში ეუფლება) რა ვქნათ, მაგდა?

მაგდა. მე მეკითხები?

დიმიტრი (დაბნეული) მე გეკითხები, მართლა შევიდნენ, თუ მოგეჩვენა?

მაგდა. გული გამიჩერდა, სანამ შენამდე მოვაღწევდი.

დიმიტრი. (ძლივს ფარავს შიშს) დამშვიდდი, მაგდა, დამშვიდდი! ნურაფრის შეგეშინდება (უფრო დაუწია ხმას). როგორ გაიგე, მაგდა?

მაგდა. ფანჯარასთან ვიწექი. ზუსტად ჩემს ქვემოთ აჩოჩქოლდნენ. ბევრნი არიან.

დიმიტრი. ვიფიქრე, მოეჩვენა-მეთქი.

მაგდა. ანტონმაც გაიგო კარის ჭრიალი.

დიმიტრი. ანტონი ვინაა?

მაგდა. ამხანაგია ჩემი. გავაღვიძე და იმასაც ჩაესმა ჭრიალი.

დიმიტრი. დოდონამ თუ გაიგო?

დიმიტრი. არა, არ გამიღვიძებია. სხვებსაც სძინავთ.

დიმიტრი. თქვენები აგარაკზე მეგულებოდა!?

მაგდა. ჩვენებს არ ვგულისხმობ. ამხანაგები მყავს სტუმრად.

დიმიტრი. შუბითიძეები აქ არიან?

მაგდა. არა, მეორე სართულზე მხოლოდ ჩვენა ვართ. ღმერთს მადლობა, კარი ღია დაგიტოვებია, თორემ ალეკოს რა გააღვიძებდა!

დიმიტრი. სადარბაზო ჩაკეტილია?

მაგდა. ჩარაზულია სადარბაზოს კარი.

აწრიალდა დიმიტრი — არ წამოდგა, დოქი და ჯამი, თამბაქო და ჩიბუხი გადმოიწყო კარადიდან მაგიდაზე თვალისდახამხამებაში.

დიმიტრი. მაგდა, ნუ დაიბნევი! ალეკო გავაღვიძოთ და გამოვიძახოთ მილიცია. ოღონდაც ნუ ავღელდებით! არაფერი ენთოს სანთლის გარდა. სიჩუმე, სრული სიჩუმე. ეზოს მხარეს არაფრით არ მიუახლოვდე ფანჯარას. არ დავაფრთხოთ. დამფრთხალ ქურდზე საშიში ეშმაკიც არაა.. რომ დავიჭიროთ, ალეკო უნდა გავაღვიძოთ როგორმე.

მაგდა. მე ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან.

დიმიტრი. რას შვრებიან შენი სტუმრები? სძინავთ? ღვიძავთ? იციან კი ამ სახლში ახლა რა ხდება? შეშინდებიან და ატეხენ რიარიას! ხიფათს გადაგვყრიან ტყუილუბრალოდ.

მაგდა. ძალიან შეშინებულია ანტონი.

დიმიტრი. დოდონაც აწიოკდება.

მაგდა. მგონი, ბესარიონიც ჩვენთან ათევს ღამეს... დოდონას ნათესავია სოფლიდან.

დიმიტრი. მაგდა, ჩვენვე ნუ გამოვჩიჩქნით ხათაბალას. როგორმე აქ უნდა ამოვიყვანოთ ყველანი. მათთვისაც უმჯობესია და საქმისთვისაც. მე ჩავიდოდი მათ ამოსაყვანად, მაგრამ ჩემს დანახვაზე, იქნებ, დაფრთხნენ?!

მაგდა. მარტო ვერ ჩავალ.

დიმიტრი. ნუ გავაცდენთ დროს! სანამ შენიანებს აქ ამოიყვან, მე ალეკოს გავაღვიძებ... ნახევარი საწყობი უკვე გაზიდული ექნებათ.

მაგდა. მაგათ არ ეღირსოთ გახარება!

დიმიტრი. მოიკრიბე, მაგდა, მხნეობა! (დაადევნა მიმავალს) ჯერ არავის არ შეატყობინო საფრთხე. მეზობელი გვეპატიჟება-თქო, უთხარი. ეზოს მხრიდან არავინ არ მიუშვა ფანჯარასთან. სიმართლე დოდონას გაანდე მხოლოდ. სიჩუმე, სრული სიჩუმე!

●

ერთხელ კი დააპირა დიმიტრიმ ადგომა, მაგრამ თავის მძიმე სხეულს ადვილად ვერ მოერია. დოქს წვდა, მოიყუდა, სვამდა ნელა-ნელა, ხარბად. სანამ სასმლით გული იჯერა, მოუხეშავი თითებით ჩიბუხი დატენა და გააბოლა, კიდეც შემობრუნდა ოთახში მაგდა მხლებლებითურთ.

●

მაგდა. გააღვიძე ალეკო?

დიმიტრი. არაა იოლი ალეკოს გაღვიძება.

მაგდა. დიმიტრი, იცნობდე ირინას, ანტონსა და ლუკას. ამათ უკვე ყველაფერი იციან. შევატყობინე დოდონას, წარბიც არ შეუხრია. ნათესავს მართლაც ჩვენთან სძინავს.

დიმიტრი. დასხედით, დასხედით! თავისუფლად იყავით, ნუ მოგერიდებათ. ანტონმაც გაიგო, არა, ხმაური?

ანტონი. ფანჯარასთან ვიწექი და ჩოჩქოლი ჩამესმა. ხმები გავიგე, რაღაცნაირი ჩხაკუნიც... ვამჯობინე ჩუმად ყოფნა.

მაგდა. გაიტანჯა საწყალი!

დიმიტრი. (ირინას) თქვენ არაფერი გსმენიათ?

ირინა. ანტონმა გამაღვიძა და მითხრა.

ლუკა. ანტონისაგან გავიგე მეც.

●

კარზე თამამი წაკაკუნების შემდეგ, ბესარიონის თანხლებით, ოთახში დოდონამ შემოაბიჯა, ბუნიკიან ხელჯოხს მსუბუქად დანდობილმა.

●

მაგდა. გულს ნუ გვიხეთქავ, ბებიაჩემო!

დოდონა ხმისამოუღებლივ ტახტისკენ გაემართა. ბესარიონი აედევნა. ამ შეხუთულ ღამეში თბილად ეცვა დედაბერს. შეუსაბამოდ და ულაზათოდ იყო მოკაზმული ბესარიონიც. დოდონა ტახტზე გაიფლაშა. ბესარიონი ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე ჩამოჯდა ტახტის კიდეზე, დაბნეულმა მოავლო მზერა დამხვდურებს და... შილიფად ჩაცმულმა ირინამ დაუტყვევა ყურადღება.

ლუკა. (წკეპლასავით გადაკრა ბესარიონს) საით გაგირბის თვალები, ბიჭო?

ირინამ ფეხი ფეხზე გადაიდო, უფრო გალაღებულად დაბრძანდა.

დოდონა. ისეთი რა მოხდა, დიმიტრი, პანაშვიდი რომ გაგიმართავს?

დიმიტრი. დოდონა, საზრიანად რომ გახედო ვითარებას, გუნება წაგიხდება.

დოდონა. ჩემი ასაკის ქალს ხასიათი და გუნება ძნელად ეცვლება. ვიცი, ქურდობამ აგაწრიალათ. რას იკვირვებთ? ქვეყნიერება და ქურდობა ერთდროულად გაჩნდნენ.

დიმიტრი. რიგითი შემთხვევა არაა ეს. წვრილი ქურდი წვრილმანზეა დაგეშილი, აქ კი მსხვილმანის ხელი ურევია. გაბედეს სახელმწიფო ქონების ხელყოფა! ამისთანას თუ გადაეღობე, არაფრით არ დაგზოგავს, გაგათავებს, მოგკლავს!

ბესარიონმა ძლივს მოწყვიტა ირინას თვალები, დიმიტრის დაფეთებული მიაჩერდა.

ლუკა. (ბესარიონს) მოუსმინე, ყურადღებით მოუსმინე!

ანტონი. ბოლოს და ბოლოს, გამოვუძახოთ მილიციას!

დიმიტრი. ნაცადი ავაზაკებია, ჩანს. რადგან სიგნალიზაციის გათიშვა გაახერხეს, ტელეფონის გადაჭრასაც შესძლებდნენ. ამიტომ არ ვჩქარობ ალეკოს გაღვიძებას. რომ გასძახო საშველად ვინმეს, ამაოა, ახლომახლო უკვე აღარავინ ცხოვრობს.

დოდონა. კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი.

დიმიტრი. დოდონა, დანაშაულის კვალს ბოროტმოქმედნი ხშირად ცეცხლით ფარავენ!

მაგდა. ღმერთმა არა ქნას, ხისაა ზედა სართულები.

დოდონა. (დიმიტრის) ნამეტანი კარგად დაწყობილი აზრები ხშირად ცარიელ სიტყვებს ნიშნავს.

ირინა. გამიგია, საწყობის მუშაკები ზოგჯერ თვითონვე აწყობენ ქურდობის იმიტაციას,.. დანაკლისის დაფარვის მიზნით.

დიმიტრი. კი, ასეც ხდება! მაგნაირ შემთხვევებში ქურდობას აუცილებლად მოსდევს ხანძარი.

ანტონი. აუტანელი კოშმარია.

მაგდა: (დიმიტრის) მაშასადამე, ცეცხლი და უბედურება არაფრით არ აგვცდება?

დოდონა. დიმიტრის ვარაუდით, ეშმაკი მოხარშვას გვპირდება.

დიმიტრი. ჩემი ვარაუდით ქვეშ ნაღმი გვიდევს. მომართულ ნაღმზე ვსხედვართ ყველანი და გვმართებს დიდი გაფრთხილება.

გულშეღონებულმა ბესარიონმა იატაკზე მოადინა ზღართანი.

მაგდა. (ასულიერებს ბესარიონს ირინას მეოხებით) — ამსხვრეკ პიჯაკი ვინ უკუღმართმა ჩაგაცვა?! ისედაც იხრუკება დედამიწა... ჩახარშულა საცოდავი!

დოდონა. ზეზე წამოაგდე ეგ ცეტი. ჩემი ნათესავი მშიშარა არ ეგონოს ვინმეს. ქალით დაბნედილი ბევრი მყოლია წინაპრებში, ლაჩარი — არასოდეს.

ლუკა. (მაგდას ეხმარება, ერთი-ორი ლაზათიანად გაულაწუნა გონწასულს) გამოფხიზლდი, ბიჭო, გამოფხიზლდი!

დოდონა. (ლუკას) ეი, ლოწიერო, ნუ დაუნგრიე ბიჭს ყბები. ექვიანობა თუ გაჩხუბებს, აცადე ერთხანს, მოსულიერდეს ბიჭი ჯერ.

ბესარიონი. სადა ვარ?

მაგდა. მაგდა ვარ, ბესარიონ, მაგდა!

ბესარიონი. (ამოსუნთქვასავით წყნარად) ჩემს სახლში მინდა ვიყო, სოფელში.

დოდონა. (რიხით) ჩვენი და დიმიტრის სახლები ვინ გაჰყო? (ლუკას) ეი, ექვიანო!

მაგდა. ლუკა ჰქვია,

დოდონა. ლუკა, მოგვცემს დიმიტრი არაყს და მოამჯობინე ბესარიონი!

ანტონი. მე მოვალედ ვთვლი თავს, რაიმე ვიღონო... აქ მყოფთა უსაფრთხოებისათვის.

დიმიტრი. (დოქი გადასცა ლუკას, ანტონს მიუბრუნდა) ვიფიქროთ, მოვიფიქროთ!

ანტონი. თავდაპირველად უნდა დავრეკოთ როგორმე.

ირინა. იქნებ ვერ გათიშეს ტელეფონი. ძალიანაც შესაძლებელია!

დიმიტრი. რა გააღვიძებს ახლა ცოლ-ქმარს?

ლუკამ უშველებელი ჭიქა აავსო არყით და ბესარიონს ბოლომდე დააცლევინა ორიოდე წამში.

მაგდა. რაღას ველოდებით? გავაღვიძოთ ალეკო და ანა!

დოდონა. დიმიტრი, ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთესი რჩევაა.

დიმიტრი. არაა ადვილი საქმე, ამას დასჭირდება რთული კომბინაცია.

დოდონა. (მკაცრად) ერთხელ მაინც ამოთქვი ნათელი სიტყვა.

დიმიტრი. ვიტყვი, თუ ქვია ამას ნათელი სიტყვა... უნდა დაუდარაჯდე ალეკოს კარს და დიდხანს უნდა მიაყურადო... და მაშინ უნდა მიუკაკუნო სწორედ! სხვაფრივ, მაგათ ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს.

ანტონი. თანახმა ვარ, თანახმა ვარ დავდარაჯდე კართან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომჯობინებულმა ბესარიონმა უმალ ჩაიცვა პიჯაკი ისევ, ტახტზე მყარად მოკალათდა და კვლავ ირინას დაუწყო მალულად თვალთვალი. სანამ ბესარიონი უწინდელ ყოფას უბრუნდებოდა, დოდონა მიეჭრა ალეკოს კარს და გამალებით დაუშინა ბუნიკიანი ხელჯოხი.. მთელი ოთახი გაშეშდა.

დოდონა. (ოთახში შემობრუნებულმა ბრძანებით გასძახა) მაგდა, ახლავე გამოვლენ მასპინძლები! შეეგებე და მიგიყვანეს ტელეფონთან!

მაგდა. ანტონ, შენ წამომყევი!

ანტონი მიჰყვა ირინას. დოდონამ მშვიდად შემოავლო მზერა შეკრებილთ.

დიმიტრი. (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძალიან ხმადაბლა ეუბნება დოდონას) უაღრესად ნაწყენი და შეურაცხყოფილი ვარ შენგან!.. სხვების ინტერესებსაც უნდა სცე პატივი!

დოდონა. სწორედ ეგ ვქენი ახლა!

დიმიტრი. ასე არ შეიძლება, დოდონა! ჩვენ აქ უსაფრთხოების გეგმებს ვაწყობთ, შენ კი არაფრად არ ჩაგვაგდე არცერთი! იმის მაგიერ, რომ გასაჭირში შეგვეხიდო, გვაფრთხობ ხალხს, ნერვებს გვიშლი.

დოდონა. უჩემოდ, ალეკოს კარს დაუდარაჯდებოდით გათენებამდე!

დიმიტრი. სუ, ჩუმად, ნუ ხმაურობ!.. გამოცდილი და გონიერი ქალი ბრძანდები! ბევრი რამ გსმენია და ბევრი რამ გინახავს. იქნებ, ამაზე რთულ ვითარებაშიც აღმოჩენილხარ ოდესმე!... და გამობრძმედილი და გაკაჟებული ხარ! მაგრამ, გვაცალე ჩვენ, მოკვდავებს, ამოსუნთქვა! გვაცალე, ჩვენებურად წარვმართოთ საქმე!

დოდონა. კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი!

დიმიტრი. შენ თუ არ გეშინია, ჩვენ გვეშინია! არაა შიში საძრახისი გრძნობა. შიში ჰაერივითაა, თავისუფლად შემოდის კაცში. შიში ყველა სულდგმულს ძალავს!... ჰოდა, მიგვიშვი ჩვენს ნებაზე, დოდონა!

დოდონა. (თანდათან ერევა ძილი) კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი.

ლუკა. (ისევ გააპიპინა ჰიჭა და ბესარიონს მიაწოდა) ჩაეძინა... აწი გვმართებს ორმაგი გაფრთხილება

დიმიტრი. უცბადვე იცის გაღვიძებაც. არავის ებოდიშება, უნდა იძინებს, უნდა იფხიზლებს. ასი, ასი წლისაა დოდონა!

ბესარიონმა კვლავ გამოსცალა შეთავაზებული სასმისი.

მაგდა. (შეწუხებული მობრუნდა ანტონითურთ) გათიშულია ტელეფონი.

ანტონი. ვერაფერს გაახერხებ. ხაზია მოშლილი, აპარატი კი ვარგა.

დიმიტრი. (ნერვიულად) გამართლდა ჩემი ვარაუდი.

ანას გამოჩენამ დიმიტრის ოთახი თითქოს გაანათა — უხმაუროდ, ლაღად მოაბიჯებდა, ქათქათა მოღიავებული მოსასხამი დაურიდებლად აშიშვლებდა მოძრაობისას.

დოდონა. (ძილში) კეთილი და პატიოსანი!

ანა. თანაგიგრძნობ, დიმიტრი, თანაგიგრძნობ! საშინელი განცდა გეუფლება თურმე, როცა ყაჩაღობის შემსწრე ხარ. თანაგიგრძნობთ ყველას, თანაგიგრძნობთ!

ლუკა. (დაფაცურდა) აქ დაბრძანდით, ქალბატონო [illegible] დაც, გამოსაჩენად, ისე, რომ თქვენი ჭვრეტით კისერი არ მოენგრეს ბესარიონს.

ბესარიონი. არა უშავს, არა უშავს რა, დაჯდეს თავისუფლად.

ანა. (ბესარიონს გამოხედავს მწყრალად) ღმერთო ჩემო, როგორ იცვლება ადამიანის სახე ამხელა ულვაშს?! (ლუკას) მე თქვენ საიდანღაც მახსოვხართ!... დიმიტრი, უკვე სამი დღეა არ მუშაობს ჩვენი ტელეფონი.

დიმიტრი. მივხვდი, რომ გათიშავდნენ ტელეფონსაც.

ანტონი. მართლაც შეუკრავს ეშმაკს წრე.

ანა. (ირინა შეათვალიერა) ლამაზი ქალიშვილია.

მაგდა. თანაკურსელია ჩემი — ირინა.

ბესარიონი. (ეუბნება ლუკას კარგად შეზარხოშებული) ჩემს გამო ნურავინ შეწუხდება. თავისუფლად იყვნენ. დასხდნენ, როგორც მოესურვებათ.

ლუკა. უეჭველად ვეტყვი.

ანტონი. (დიმიტრის) არ შეიძლება! გულხელდაკრეფილი ყოფნა ახლა არ შეიძლება... უსინდისობის ტოლფასია.

დიმიტრი. რა თქმა უნდა.

ანა. (ლუკას) გამახსენდა!... მე თქვენ არენაზე მინახიხართ ვეფხვებთან!

დოდონა. (მძინარე) კეთილი, ასე იყოს!

ანა. საოცარია პირდაპირ!... უცაბედი შეხვედრა ღამით ვეფხვების მომთვინიერებელთან!

ლუკა. საწყობის გაქურდვისას!

ანა. თანაც, საწყობის გაქურდვისას!... ვისთანა ხართ სტუმრად?

ლუკა. მაგდასთან.

ანა. მაგდა ჯერ ბავშვია თითქმის. როგორ აღმოჩნდით მაგდასთან?

ლუკა. ნაცნობი აღმოგვაჩნდა საერთო — ანტონი.

ანა. მაგდა, გეთაყვა, გახედე ერთი ალეკოს. მაგან განცდა იცის, არადა, გული სუსტი აქვს.

სწორედ კართან შეეჩეხა ალეკოს მაგდა. საგულდაგულოდ ჩაეცვა. თავით ფეხებამდე გაკრიალებული იყო ალეკო.

ალეკო. რას გაიგებ, დიმიტრი?!. იქნებ, განგებ მოშალეს ტელეფონი, /იქნებ, თავისთავად გაფუჭდა.

დიმიტრი. ორი აზრი არ არსებობს — საგანგებოდაა გათიშული ტელეფონი.

ალეკო. (თვალებმოჭუტულმა შეათვალიერა ყველანი) ამ გაწამაწიაში მისალმებაც კი დამავიწყდა... ალბათ, მეპატიება!

მაგდა. მეგობრებია ჩემი... ბესარიონი გემახსოვრებათ — ბავშვობისას ხშირად ჩამოჰყავდათ სოფლიდან.

ალეკო. იმ პატარა ბიჭს რამხელა ულვაში გამობმია! (კოპები შეკრა უცებ) თუმცა, ვცდები! ულვაში, მგონი, მაგხელა ჰქონდა მაშინაც.

ანა. (ლუკას) მეც გამახსენდა. ნათესავია დოდონასი. (ღიმილით) სულ მითვალთვალებდა და მითვალთვალებდა. ერთხელ, ალეკო გაუბრაზრდა კიდეც.

დიმიტრი. (ალეკოს) სიგნალიზაციაც თავისთავად ხომ არ გაითიშებოდა?!

ეროვნული

ალეკო. შესაძლოა, წინდაწინ დაიჭირეს ყველაფრის თადარიგი.
დიმიტრი. ამიტომაც, განსაკუთრებით საშიშნი არიან!

●

ბესარიონი. *(მძინარე დოდონას)* სახლის დაწვას ვერაფრით ვერ გაბედავენ! რადგანაც, ხანძრის გაჩენა უკვე ნამდვილ დანაშაულად ჩაითვლება. იმიტომ, რომ ცეცხლს უკვე ყველა დაინახავს ნამდვილად!
ლუკა. დიდებული აზრია... ნამდვილად!
მაგდა. სასმელი გეძალება, ბესარიონ!
ანა. ბესარიონ, მე შენ მახსოვხარ. სულ არ შეცვლილა იერი. ულვაშითაც კი უწინდელ ბესარიონს მაგონებ.
მაგდა, მორცხვია ძალიან.
ბესარიონი. როგორ არ უნდა გახსოვდე?! კარით რომ შუბლი შემინგრიე, რა დაგავიწყდება?... ახლა მაინც მინდა საჯაროდ განვაცხადო!.. კარი შემთხვევით მომხვდა, არა და არა, მაშინ მე არ გითვალთვალებდი ჭუჭრუტანიდან.
მაგდა. *(მკაცრად)* ბოლოს და ბოლოს, გაიხადე პიჯაკი, ბესარიონ! ნასვამი ხარ და ძალიან გცხელა.
ბესარიონი. *(უნებურად იხსნის ღილებს)* საიდან აიღე, მაგდა? სულაც არ მცხელა. გეჩვენება, ნამდვილად გეჩვენება.
ანა. დიახ, სწრაფად გარბის წლები... *(ლუკას)* მგონი გასტროლები დაგიმთავრდათ?. ახლა საით გაგიწევიათ?
ლუკა. გეზი დასავლეთისკენ გვიჭირავს.
ანა. ცირკი ნამდვილი საოცრებაა! საოცარია, ალბათ, თქვენი ცხოვრებაც?
ლუკა. ფათერაკებით არის აღსავსე. როგორც, მაგალითად, ამ ღამეს.

●

ალეკო. *(დიმიტრის)* საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა.
დიმიტრი. კიდევ კარგი, რომ დოდონა ჩაწყნარდა. არ მოგვასვენებდა. ასი წლის დედაბერს როგორ შემორჩა ამდენი ღონე?!

●

ანტონი. ასე არ შემიძლია! უფლება არა მაქვს, უმოქმედოდ ვიყო. ამის ნებას არ მაძლევს კაცური ღირსება.
ირინა. მეც ასე ვფიქრობ.
ალეკო. *(თვალებმოჭუტული მიაჩერდა ირინას)* ლამაზი ქალიშვილია.
მაგდა. ზუსტად ეგა თქვა ანამაც ირინაზე.
ანა. ქმრის აზრი რომ დაემთხვას ცოლისას, სულაც არაა გასაკვირი.
ალეკო. *(ანტონს)* მე გიერთდებით. თანამოაზრედ დამიგულეთ.
ანტონი. რაიმე მოქმედებაა საჭირო.

●

ირინა. *(მაგდას)* წარმოსადეგი მამაკაცია.
მაგდა. ბევრნი მოხიბლულან ალეკოთი.
ირინა. არცაა გასაკვირი.

●

ბესარიონი. *(ანტონს)* მეც შენთანა ვარ. კაცი მუდამ ღირსეულად უნდა იქცეოდეს.
ანა. ცეცხლოვანი იყო ბესარიონი ბავშვობაშიაც.
ლუკა. ახლაც თითქოს ნაპერწკლები სცვივა.
ანა. წარმოსადეგ მამაკაცად ჩამოყალიბებულა.
ალეკო. მაგაში კი, ანა, ვერ დაგეთანხმები.
ანა. ცოლისა და ქმრის გემოვნება ცოტაოდენ მაინც ხომ უნდა განსხვავდებოდეს?

●

ანტონი. *(დიმიტრის)* მშვენიერი ქალბატონია, ანა!
დიმიტრი. ბევრ, ბევრ კაცს აუბნია თავგზა.

●

ირინა. *(მაგდას)* ასეთი ღირსეული კაცი არასოდეს შემხვედრია.
მაგდა. აჯადოებს ალეკო ქალებს.

●

ანა. *(ლუკას)* ბედნიერი კაცი ხართ. ახლა დასავლეთში მიდიხართ მერე სხვა მხარეს ეწვევით. მოსაწყენად აღარც გრჩებათ დრო.
ლუკა. მართლაც, გზაზე ვარ მუდამ.
ანა. ყველაზე ძნელი ასატანია მოწყენილობა.
ლუკა. თქვენი გარეგნობის ქალს არ უნდა აკლდეს სიხალისე.
ანა. სენივითაა მოწყენილობა. არც ღირსებას არჩევს, არც გარეგნობას... ყველას ერჩის.
ლუკა. *(ფიქრიანად)* მართალს ბრძანებთ.
ანა. ყველა ხერხივარგა მოწყენილობისაგან თავდასახსნელად.
ლუკა. ჯობია, ხერხი მრავალგვარი იყოს.
ანა. არც ისე დიდია არჩევანი.
დოდონა. *(წამით გამოფხიზლდა)* ნაცადი ხერხია ინტრიგების ხლართვა.
ლუკა. დიახ, ამითაც ერთობიან.
დოდონა. თავდავიწყებით ერთობიან.
დიმიტრი. სუ, დოდონა, ჩუმად! გვსუსხავს შენი ხმა. შენი ასაკის ქალს დუმილი უფრო უხდება. ძილი ნებისა, დოდონა, ძილი ნებისა!

●

ალეკო. *(მაგდას)* პირდაპირ საუკუნეებიდან გამოგვძახის დოდონა. *(ირინაზე ანიშნებს)* ამ დღეებში შენი მეგობარი აუცილებლად უნდა ჩავიხატო.
მაგდა. *(ირინას)* ხატავს კიდეც ალეკო.
ალეკო. *(ირინას)* ნებას თუ დამრთავთ?
ირინა. რა თქმა უნდა.
ანა. *(ქმარს)* უკაცრავად, საუბარს გაწყვეტინებთ! ჩანახატს ეპირები, თუ ფერწერულ ტილოს?
ალეკო. ასე უცებ ვერ გადავწყვეტ.
ანა. ფერწერას ამჯობინებ, წინდაწინვე ვგრძნობ... ყმაწვილი ქალი ასაკოვანს სწორედ ფერებით სჯაბნის.
ალეკო. *(ირინას)* მართალია ანა — ათასფრად ფეთქავს ქალში სიყმაწვილე.

●

დიმიტრი. *(ანტონს)* სწორს ამბობს ანა — დამცხრალია ასაკიანი ქალი, სადღა აქვს მოფერების თავი დამცხრალ ქალს!
ანტონი. შესაძლოა.. .მაგრამ, ახლა სხვა რამეზე უნდა ვიფიქროთ.
დიმიტრი. მართალია!.. სწრაფი მოქმედებაა საჭირო.
ანტონი. ისე კი... ლამაზი ქალი დამაჯერებლად ლაპარაკობს ყველაფერს.

●

ანა. *(ლუკას)* როგორ ფიქრობთ, გამოდგება სურათისთვის ეს გოგო?
ლუკა. კოხტა და ეშხიანი ქალიშვილია.
ანა. ალბათ, საყვარლადაც ივარგებს?
ლუკა. ქალს უფრო გაეგება ქალისა.
ანა. დედაკაცებში უფრო ჩახედულია ალეკო, ვიდრე მხატვრობაში.
ლუკა. საჩინო მამაკაცია.
ანა. თუმცა, იქაც და იქაც, მხოლოდ და მხოლოდ, ცელქობს.
ლუკა. ცელქს კი ნამდვილად არა ჰგავს.
ანა. ჰგავს! ბალღივით ანცია ყველას გამორჩეული კაცი... მაგდა, მოდი, გეთაყვა, ჩემთან. *(ლუკას)* აუცილებლად უნდა მომიყვეთ ოდესმე, როგორ დაიმორჩილეთ პირველი ვეფხვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ა ნ ტ ო ნ ი. *(დიმიტრის, აღელვებული)* რაღაც აზრი მებადება, მგონი... დაზუსტებაა საჭირო.

დ ი მ ი ტ რ ი. გახსოვდეს, უმთავრესი პირობაა სიფრთხილე.

●

ა ლ ე კ ო. *(ირინას, ბრძნულად)* პირობითი ცნებაა ყოველგვარი სილამაზე. თავით ბოლომდე, სულ ერთიანად.

ი რ ი ნ ა. უფრო გარკვეულად ამიხსენით.

ა ლ ე კ ო. სულ უბრალოდაც შეიძლება განისაზღვროს: ის, რაც ჩვენში იმპულსურ სიხარულს იწვევს, უეჭველად ლამაზია... და პირიქით — უშნოა, ბნელსა და ოხრობას რომ აღვიძებს კაცში.

ი რ ი ნ ა. *(მორიდებით)* იქნებ, მაგალითიც მითხრათ?

ა ლ ე კ ო. მთებში გასვლისას თუ გაიხარეთ, ესე იგი, ლამაზი ყოფილა თქვენთვის მთები... ჩვენს ირგვლივ მხოლოდ ამ ნიშნით იყოფა ყველაფერი — სულიერიცა და უსულოც *(უკმაყოფილოდ შეათვალიერა მოყურადებული ბესარიონი)* აგერ, ახლო მაგალითი: ირინა სიხარულს იწვევს ჩემში, ბესარიონი — ბნელსა და მწუხარე გრძნობას.

ი რ ი ნ ა. გასაგებია.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. მთლად გასაგები არაა ჩემთვის და, აბა, რა ვქნა მე? რა ვქნა?

ა ლ ე კ ო. *(მკვახედ)* გაიარე და გამოიარე, ბიჭო! ფანჯარასთან მიდი გრილი ჰაერი ისუნთქე, ღრმად ისუნთქე. მარგებელია ღრმა სუნთქვა...

●

ა ნ ა. მაგდა, გეთაყვა, რად იგვიანებ? *(ლუკას)* თვალსა და ხელს შუა გამსხლტომია დრო — დაქალებულან გოგოები. საბერის ნიშანია ეს... უცბად დაქალდი და დამშვენდი, მაგდა! იცნობდე, ვეფხვების მომთვინიერებელია.

მ ა გ დ ა. *(ღიმილით)* ჩემი სტუმარია ლუკა.

ლ უ კ ა. *(ანას)* გადაგავიწყდათ?

ა ნ ა. ტყუილად არ მიხსენებია სიბერე.

მ ა გ დ ა. ის კი არ ვიცოდი, ცირკის მსახიობი თუ იყო.

ა ნ ა. ასეა! ხშირად არ ვიცით, ჩვენს თვალწინ რა ხდება.

მ ა გ და. თანაც, ვეფხვების მომთვინიერებელი.

ა ნ ა. მაგდა, გეთაყვა, რა ურთიერთობაში არიან ბესარიონი და ირინა?

მ ა გ დ ა. არანაირში.

ა ნ ა. ახლახან ქუჩაში ვნახე ერთად.

მ ა გ დ ა. *(გაკვირვებული)* მეგონა, არც კი იცნობდნენ ერთმანეთს.

ა ნ ა. მერე ქალაქგარეთაც შევხვდი, ტყეში... ატაცებული ჰყავდა ირინა, ღელეზე გადაჰყავდა.

მ ა გ დ ა. საოცარია პირდაპირ.

ა ნ ა. ეგ წყვილი ლუკასაც ხშირად ხვდება, თურმე!

ლ უ კ ა. *(წამით აიბნა, უცბადვე მოეგო გონს, ჩაიღიმა)* ქალბატონო ანა, შემამზადეთ მაინც წინდაწინ.

მ ა გ დ ა. გასაოცარია.

ა ნ ა. გასოცარია, რომ ვერაფერს ხვდებოდი აქამდე... არაფერი არ აგრძნობინო, მაგდა. არც ერთი არ ჩააყენო უხერხულობაში. პირიქით, გეთაყვა, პირიქით, წახალისება სჭირდებათ, კიდეც უნდა წაუბიძგო ერთმანეთისკენ... სად გაქრა ბესარიონი?

ლ უ კ ა. ფანჯარასთან დგას... სუნთქავს რაღაცნაირად, უცნაურად.

ა ნ ა. *(მაგდას)* თუ შეუძლოდ არის, ირინა მიუშვი! მაგდა, გეთაყვა, თავისი ახალი აპარატი არ გაჩვენა ალეკომ? განსაცვიფრებელი გამოგონებაა! ახლახან ჩამოიტანა უცხოეთიდან. შენთვის, ალბათ, ალეკოს ჯერ არ უამბნია, როგორ ინადირა აფრიკაში? ვერსად შეხვდები უკეთეს მთხრობელს. მოაყოლე, მაგდა, ნუ მოგერიდება! მე ცოტათი ვეჭვიანობ კიდეც — ბავშვობიდანვე გამორჩეულად უყვარდი შენ ალეკოს! მიდი, გეთაყვა, მიდი. *(ანტონს მიაჩერდა)* დიმიტრი, რატომაა ასე გაშტერებული ეგ ახალგაზრდა კაცი?

დ ი მ ი ტ რ ი. *(თითით ქვემოთ, საწყობისაკენ ანიშნა)* რაღაც აზრი მოუვიდა! გონიერი ბიჭი ჩანს, ეგებ, გვეშველოს.

ა ნ ა. *(შეწუხდა)* იქნებ ჩვენ დავეხმაროთ რაიმეთი?

ა ნ ტ ო ნ ი. ცოტათიც მოითმინეთ, ქალბატონო ანა! აზრი მომივიდა... მალე დაიხვეწება აზრი და მაშინვე მოგახსენებთ.

ა ნ ა. *(მხურვალედ)* გულის ღელვით გელოდებით ყველანი!

ლ უ კ ა. მიდი, ანტონ, მიდი!

●

ი რ ი ნ ა. *(მიუახლოვდა ფანჯარასთან მდგომ ბესარიონს)* მაგდამ გამომიშვა თქვენთან, ცუდად ხომ არა ხართ?

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. აშენდეს და დამშვენდეს მაგდა! კაი ნათესავი სწორედ ამისთანას ჰქვია! კი ვარ ცუდად, უშენობით ვარ ცუდად!

ი რ ი ნ ა. *(კოპები შეკრა)* ძალიან უცნაური და მოურიდებელი ლაპარაკი გცოდნიათ.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი *(ნიშნის მოგებით)* ვინ რა მოიგო ცხოვრებაში, მორიდებით თუ იყო?

ი რ ი ნ ა. ვხედავ შეუძლოდ ნამდვილად არა ხართ.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. *(მუდარით)* ნუ მიმატოვებთ მარტოკას! კოლომბინა ირინა.

ი რ ი ნ ა. *(უზომოდ გაოცებული)* ნუთუ ყველა უცნობს ასე ელაპარაკებით? არც კი ვიცი, გავბრაზდე თუ გავიცინო?

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. სიცილი აჯობებს, მარგებელია... გაბრაზებით არავის არაფერი მოუხვეჭია.

ი რ ი ნ ა. *(კუშტად)* ჩანს, ღირსიც კი არაა ზოგი, რომ გაუბრაზდე.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. რა თქმა უნდა! ნამდვილად! რაღა დროს გაბოროტებაა?! სიცილი ჯობია, კაი ხასიათზე ყოფნა. *(ხმას დაუდაბლა)* ალერსი, ჩახუტება, ჩუმჩუმი კოტრიალი... კოლომბინასთან.

ი რ ი ნ ა. *(დაბნეული)* ასეთი უხამსი თავხედი არსად არ შემხვედრია.

●

მაგდა. ახლაც თანა გაქვთ?

ა ლ ე კ ო. *(პორტატული მაგნიტოფონი ამოიღო გულის ჯიბიდან)* მუდამ თან დამაქვს. ძილშიაც კი ბალიშის ქვეშ მიდევს.

მ ა გ დ ა. ჩვეულებრივ მაგნიტოფონს ჰგავს... როგორ ირთვება?

ა ლ ე კ ო. აი, სწორედ ესაა ამის მთელი მადლი. ვერავინ ვერანაირად ვერ ჩართავს! სასწაული მაგნიტოფონია. რეაგირებს მხოლოდ ჩემს ხმაზე.

მ ა გ დ ა. ვერ გაგიგეთ.

ა ლ ე კ ო. ადამიანთა ხმების ტემბრიც ისევე მრავალგვარია, როგორც თითების ანაბეჭდები. ყიდვისას, იქვეააწყვეს ზუსტად ჩემი ხმის ტემბრზე. ხმას გავიღებ — ჩართულია, დავდუმდები — ითიშება ავტომატურად... გამუდმებით იწერს ჩემს თითოეულ სიტყვას.

მ ა გ დ ა. მაინც ვერ გავუგე დანიშნულება.

ა ლ ე კ ო. პირდაპირ მაოცებ, მაგდა. ჯერ ერთი, საღამოს რომ მოუსმენ ჩანაწერს, მთელი გასული საქმიანი დღე თვალწინ გადაგეშლება. გარდა ამისა, ფასდაუდებელი საშუალებაა საკუთარი თავის შესაცნობად. *(პირთან მიუტანა აპარატი)* თქვი რამე.

მ ა გ დ ა. დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი.

ა ლ ე კ ო. კარგი. ახლა მოვუსმინოთ.

*მაგნიტოფონიდან მოისმა ალეკოს ხმა: „ფასდაუდებელი საშუალებაა საკუთარი თავის შესაცნობად... თქვი რამე... კარგი, ახლა მოვუსმინოთ“.*

ა ლ ე კ ო. ხედავ? მხოლოდ ჩემი ხმა ისმის. შენი ხმა არ აღიბეჭდა.

მ ა გ დ ა. მართლაც გასაოცარია.

ა ლ ე კ ო. უფრო მეტიცაა, ვიდრე შენ წარმოგიდგენია! ყოველდღიურად აანალიზებ საკუთარ პიროვნებას — მორალურ მდგომარეობას, ფსიქოლოგიურ მზადყოფნას, ზნეობრივ მრწამსს *(აღტაცებით)* უკეთეს მეგზურს ვერც ინატრებ ზნეობრივი და მორალური სრულყოფის გზაზე.

მ ა გ დ ა. *(გაბზარული ხმით)* ალეკო, როცა თქვენ გისმენთ, ჩემი თავი სულ ლენჩი და უმწეო მგონია.

●

ლ უ კ ა. *(ანას)* რას წარმოვიდგენდი, ამ გარეუბანში, ამ განმარტოებულ სახლში ასეთ მშვენიერ ქალბატონს თუ ექნება?!

ა ნ ა. აქ ჩემი ქალიშვილობის ბინაა. სახლი იქა გვაქვს, ცენტრში. აქაც ვართ, იქაც. წვეულებიდან აქეთ ვარჩიეთ წამოსვლა უფრო ახლოს იყო.

ლ უ კ ა. ჩვენც წვეულებიდან გადმოგვიპატიჟა მაგდამ.

ა ნ ა. ყველაფერი დაანგრიეს ირგვლივ, ამ სახლსაც მალე აიღებენ... ლუკა! ალბათ, სხეულზე ბრჭყალების ნაკვალევიც გაქვთ?

ლ უ კ ა. იყო შემთხვევა.

ა ნ ა. ნაჭდევი და იარა უნდა ამშვენებდეს კაცს!.. დიმიტრი, რა მოისაზრა გონიერმა ბიჭმა?

ა ნ ტ ო ნ ი. ცოტაღა მაკლია, ქალბატონო ანა, მოითმინეთ სულ ცოტა ხანს.

ლ უ კ ა. (ანას) ანტონი თუ დაფიქრებულია —იდეა მზადდება უეჭველად.

●

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. (გრძნობით) ხორცშესხმული ოცნება ხარ, კოლომბინა! შენი სადარი ნახატიც კი არ მეგულება არსად

გაოცებისაგან თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ირინა ბესარიონს.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. კი შეიძლება უეჭველად, კი შეიძლება ერთი ნახვით შეყვარება მზეთუნახავისა.

ირინას დაბნეულობის ღიმილი შეეყინება სახეზე.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. (პათეტიკით) შენით დამიბნელდა მე წელან გონება! (ხმას აუწია) ნუღა გამიმეტებ, სიკეთით მომხედე და ღირსეულად დამაფასე, კოლომბინა ირინა!

ი რ ი ნ ა. (შეწუხებულმა მიმოიხედა გარშემო) ხმადაბლა ილაპარაკეთ! უხერხულია. რას იფიქრებენ?!

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. (დაეცა მუხლებზე) იცოდეს ქვეყანამ, ყველამ გაიგოს, რა დიდ გრძნობას იტევს ჩემი გული!

ი რ ი ნ ა. (სასოწარკვეთილი ცდილობს ბესარიონის წამოყენებას) რას აკეთებთ? ადექით, ადექით! შეიშლება ხალხი!

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. (მაგრად ჩაეკონა ირინას, აცაბაცა გაექცა თვალები, სხაპასხუპით მიაყარა) უამრავი ოთახია, გოგო, ირგვლივ! ცარიელი ოთახები. დოდონას ოთახები, ალეკოს ოთახები. სანამ ეგენი ბჭობენ, ნუ გავაცდენთ ძვირფას დროს!

ი რ ი ნ ა. (შუბლი შეკრა) როგორ მიბედავ?

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. ასე მუხლმოყრილი შენს ფეხთით მინდა ვეგდო მთელი ცხოვრება!

ი რ ი ნ ა. (უცბადვე მოლბა) ხელი გაუშვით, დაგვინახავენ.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი: წამო, გოგო, ოთახში! იმისაა ბნელი ოთახი, რომ არ დაგვინახონ.

ი რ ი ნ ა. უზრდელი და უტიფარი.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. ერთხელ მაინც თუ მიგემებ, გოგო, მერე ჩემგან ვერარა ძალა ვერ აგაგლეჯს.

ი რ ი ნ ა. (ლამის ტირის) ეგ რა მრუში და უზნეო ყოფილა!

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. (ნიშნგებით) სოხ! ვითომდა, ჯერაც არ უნახავს ამას... უნახავი.

●

ა ლ ე კ ო. (მაგდას) ასე თუ ისე, კაცის ხასიათი კი ჩანს ნებისმიერი საქმიანობისას, მაგრამ, განსაკუთრებით. ნადირობისას მჟღავნდება, ნადირობა უმალ აშიშვლებს პიროვნების მთელ ბუნებას.

მ ა გ დ ა. პირადად თქვენ, ალეკო, ძალიან მოგიხდებოდათ მონადირის ჭლეჭურვილობა.

ა ლ ე კ ო. აფრიკის ყველაზე მრისხანე მხეცი მარტორქაა. ასე ვთვლი პირადად მე.

მ ა გ დ ა. ლომი და სპილო?

ა ლ ე კ ო. მარტორქა უფრო საშიშია მონადირისათვის. ბუჩქნარში იმალება, ძნელად შეიმჩნევა. მაშინღა ამჩნევ მონადირე, როცა მარტორქა თავს გესხმის. სწრაფი და გულადია განსაცვიფრებლად.

მ ა გ დ ა. (ალეკოთი მოჯადოებული) ალბათ, ხშირმა ხიფათმა გაგაკაჟათ?

ა ლ ე კ ო. აფრიკის დიდ მხეცებზე ნადირობისას, პირადად მე, ჩვეულებრივ ჯაჭვის ჩაფხუტსაც ვხმარობ.

მ ა გ დ ა. რა თქმა უნდა! მოაზროვნე კაცი, უპირველეს ყოვლისა, თავის ქალას უნდა უფრთხილდებოდეს.

ა ლ ე კ ო. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელი სანახავი იყო, როცა მარტორქა შეტევაზე გამოქანდა ჩემსკენ მთელი სისწრაფით.

მ ა გ დ ა. (თვალები მილულა) წარმომიდგენიხართ თოფებით და მუზარადით.

ა ლ ე კ ო. (გატაცებით) სწრაფად ჩაიმუხლებ, მძიმე თოფს მხარზე მყარად მიიბჯენ და ელი და ელი ნადირის მოახლოებას. ზურგსუკან დამხმარენი გიდგანან გატენილი სათადარიგო თოფებით...

მ ა გ დ ა. რომ ჩაკლან მხეცი, ვიდრე თქვენამდე მოაღწევდეს.

ა ლ ე კ ო. არა, მაგდა, როგორ გეკადრება! სროლა არ შედის მაგათ მოვალეობაში. დამხმარენი თოფს მოგაწვდიან მხოლოდ, შენმა თუ გიმტყუვნა უცაბედად.

მ ა გ დ ა. (გზნებით) ბევრს დავთმობდი, ერთი ასეთი განცდისათვის.

ა ლ ე კ ო. ხარ ჩამუხლული და პირისპირ შესცქერი ელვის სისწრაფით გამოქანებულ უზარმაზარ მასას. წამები იწელება და იწელება. აგერ, გესმის კიდეც მარტორქის ქშენა, უკვე კანკალებენ კიდეც შიშით დამხმარენი, შენ კი მაინც არ ჩქარობ, უცდი გულდინჯად, სანამ მხეცი ზედ თავზე არ წამოგადგება...

მ ა გ დ ა. რომ გასროლა ნაღდი იყოს?

ა ლ ე კ ო. და მაშინღა დასცემ შიგ თვალსა და თვალს შორის ტყვიას!

მ ა გ დ ა. კი გაგაკაჟებს ასეთი ნადირობა.

ა ლ ე კ ო. სამი დღე აღარ ვვარგოდი კაცად, მაგ ნადირობის შემდეგ.

მ ა გ დ ა. უსაზღვრო გამბედაობა სჭირდება იმ წამებს!..ალეკო, იმ წამებში რა აღიბეჭდა ფირზე?

ა ლ ე კ ო. ვერ გაგიგე, მაგდა.

მ ა გ დ ა. (გულის ჯიბეზე ანიშნებს) იმ წუთს თქვენმა მაგნიტოფონმა რა ჩაიწერა?

ა ლ ე კ ო. (რიხით) „ჰაიტ, შე ვერანა, შენა!“ — წამოვიძახე თურმე.

მ ა გ დ ა. ასეც ვიფიქრე.

●

ა ნ ტ ო ნ ი. მორჩა, გათავდა!.. მოვიფიქრე.

დ ი მ ი ტ რ ი. წყნარად, წყნარად, აქეთ ყურადღება!

ა ნ ა. (ლუკას ანტონზე) სახეზევე ემჩნევა ამ ბიჭს ენერგიულობა და გამჭრიახობა,

ა ნ ტ ო ნ ი. ქალბატონო ანა, რაღაც მოვისაზრე, ერთგვარი გეგმაც კი შევადგინე, მაგრამ გამოჩნდა შემაფერხებელი ფაქტორი.

ა ნ ა. იქნებ, რაიმე მოვიმოქმედოთ ერთობლივად?

დ ი მ ი ტ რ ი. მთავარი პირობა იყო სიფრთხილე.

ა ნ ტ ო ნ ი. სწორედ ეგ გავითვალისწინე. უსაფრთხოა სრულიად. (მაგდას) რამდენადაც ვიცი, ქვემოთ, თქვენს მოპირდაპირე ბინაში ახლა არავინაა?

მ ა გ დ ა. კი, დაკეტილია ბინა. აგარაკზე არიან შუბითიძეები.

ა ნ ტ ო ნ ი. მაგით ძალიან ფერხდება საქმე.

ლ უ კ ა. ბინა გჭირდება საქმისთვის, თუ შუბითიძეები?

ა ნ ტ ო ნ ი. ბინა.

მ ა გ დ ა. ვიცით მეზობლებმა, სად ინახავენ შუბითიძეები გასაღებს.

ა ნ ა. თავისუფლად შემიძლია მაგათ ბინაში შევიდე, ახლავე შემიძლია.

ა ნ ტ ო ნ ი. ძალიან კარგი. ეს ფაქტორი ძირეულად ცვლის ვითარებას.

დ ი მ ი ტ რ ი. (ანტონს) არ დაგავიწყდეს — მთავარია სიფრთხილე, განსაკუთრებული სიფრთხილე.

ა ნ ტ ო ნ ი. ქალბატონო ანა, ამ პატარა გეგმას რომ ვადგენდი, ძირითადად რამდენიმე მომენტი გავითვალისწინე: ჩაძი, გამოცდილი ქურდებია, რადგან სიგნალიზაციის გათიშვა მოახერხეს; საშიშნი არიან ძალიან, რადგან გაბედეს სახელმწიფო ქონების ხელყოფა; ნამეტანი თავგამოდებაც არაა ჩვენგან საჭირო, რადგან არა ღირს ჩიტი ბდღვნად — შესაძლოა ამას მოჰყვეს გაუფრთხილებელი მსხვერპლი; დაბოლოს, ცოტა რამ მაინც თუ მოვიმოქმედეთ, აღარ შეგველახება კაცური ღირსება, თვით იმ ავაზაკების თვალშიაც კი დავფასდებით.

დ ი მ ი ტ რ ი. საქმიანი ლაპარაკია ნამდვილად.

დ ო დ ო ნ ა. (ძილში) უმოქმედობაც კი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება საქმედ ჩაითვალოს.

მ ა გ დ ა. სუ, დოდონა, სუ!

დ ი მ ი ტ რ ი. დოდონა! დოდონა!!

ა ნ ა. (ანტონს) ფრიად გონივრულად მსჯელობთ!

ა ნ ტ ო ნ ი. ვცდილობდი, როგორც შემეძლო.

დ ი მ ი ტ რ ი. კი, კარგად მსჯელობს. უსაფრთხოებაც ჯეროვნად ჰქონია გათვალისწინებული.

ა ნ ტ ო ნ ი. ქალბატონო ანა, ჩემი პატარა გეგმა უმთავრესად ფსიქოლოგიურ ეფექტზეა დაფუძნებული და თავდაპირველად ზოგიერთს, შესაძლოა, სასაცილოდაც მოეჩვენოს.

ა ნ ა. გისმენთ, ანტონ, ყურადღებით გისმენთ.

ა ნ ტ ო ნ ი. ეს გახლავთ ერთგვარი ფსიქოლოგიური დიალოგი იმ ავაზაკებთან, უხმო დიალოგი, გამოსახული ფრიად პიროზითი ფორმით.

ა ნ ა. არაჩვეულებრივად ლამაზად ლაპარაკობს ეგ ჭკვიანი და ლამაზი ბიჭი.

მ ა გ დ ა. თქვი გეგმა, ანტონ, ნუ დაგვაწყვიტე ნერვები.

ა ნ ტ ო ნ ი. ყოველივე ეს ჩვენი ამჟამინდელი ემოციების გამომხატველი იქნება.

ლ უ კ ა. ამოთქვი, ბიჭო, ამოთქვი! ამოღერღე, ბოლოს და ბოლოს.

ა ნ ტ ო ნ ი. მოულოდნელად და ერთბაშად მთელი სახლი უნდა განათდეს!

მ ა გ დ ა. როგორ თუ განათდეს?

ა ნ ტ ო ნ ი. სახლის ყოველ მხარეს, ყველა ოთახში ერთდროულად ჩავრთოთ სინათლე. აბა, ერთი კარგად წარმოიდგინეთ, რა ეფექტური სანახავი იქნება წყვდიადში ერთბაშად გაჩახჩახებული შენობა. იმოქმედებს, აუცილებლად იმოქმედებს ქურდებზე.

ა ლ ე კ ო. (პაუზის შემდეგ, მკაცრად) ყმაწვილის ნაფიქრალია, მე კი კაცისას მოველოდი. იცოდეს მაგ ყმაწვილმა, რომ შურდულით სპილოებზე არ ნადირობენ.

ა ნ ტ ო ნ ი. (ანას) აკი გითხარით, ეს გეგმა ზოგიერთს სასაცილოდაც არ ეყოფა-მეთქი!

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. ყაჩაღების დაფრთხობას ასე აპირებ? იმისაა სინათლე, რომ ღამე ენთოს, აბა, დღე ვის რად უნდა სინათლე?

ა ნ ა. სხვათაშორის, ამ გეგმაში მე რაციონალურ ძირს ვხედავ.

დ ი მ ი ტ რ ი. ჭკვიანურია ნამდვილად, ოღონდ სახიფათოცაა ცოტათი.

ა ნ ტ ო ნ ი. (აღელვებული) ქალბატონო ანა, ამით ჩვენ იმ მძარცველებს ვაგრძნობინებთ, რომ ვართ, გვღვიძავს და ქურდობის შესახებაც ვიცით ყველაფერი! ფიგურალურად ასე შეიძლება გამოითქვას: ეს გახლავთ ბნელეთის გამომზეურების ეფექტი!

ა ნ ა. ამ ვითარებისთვის ვერავინ ვერ მოისაზრებდა უკეთესს. გიქებ, ანტონ, გამჭრიახობას.

ა ნ ტ ო ნ ი. (შეგულიანებული) სუყველაფერი გამოვთვალე და განვსაზღვრე. ქალბატონო ანა, ბინები ერთდროულად უნდა განათდეს, მხოლოდ ორ-ორი კაცია საჭირო თითოეული ბინისათვის. მთელი სახლი გაჩახჩახდება დათქმულ ნიშანზე.

მ ა გ დ ა. (ფიქრიანად) თუ წარმოიდგენ. გონივრული მოგეჩვენება ანტონის ნათქვამი.

დ ი მ ი ტ რ ი, ასეთი რისკის გაწევა შეიძლება, ბოლოს და ბოლოს.

ა ნ ა. რასაც მეტს ვუფიქრდები, ანტონის გეგმა მით უფრო მომწონს!.. ორ-ორი კაცი კმარა თითოეული ბინისათვის?

ა ნ ტ ო ნ ი. სავსებით. ორი კაცი ორივე მხრით გაანათებს ბინას. გაბრწყინდება მთელი სახლი.

ა ნ ა. ბესარიონ, როგორ მოგწონს ანტონის გეგმა? ხომ არ შეშინდები, ირინასთან ერთად რომ შეგაგზავნოთ რომელიმე ბინაში?

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი: კაცმა რომ თქვას, არაა ცუდი ანტონის ნაფიქრალი.

ა ნ ა. ალეკო, გეთაყვა, აჯობებს ვინმე სხვა წაიყვანო ჩვენთან მეწყვილედ. მე ქვემოთ უფრო გამოვდგები — არავინ იცნობს ჩემსავით შუბითიძეების ბინას. მაგრამ, იქნებ, ისევ არ ეთანხმები ანტონს?

ა ლ ე კ ო. (მაგდა შეათვალიერა) დიდი ვერაფერი ნაფიქრალია, მაგრამ ერთხელ მაინც შეიძლება სცადოს კაცმა.

ა ნ ა. ვის წაიყვან მეწყვილედ?

ა ლ ე კ ო. აგერ, თუგინდ, მაგდას.

ა ნ ა. შენ თუ მაგდა წამოგყვება, დოდონასთან ბესარიონი და ირინა შევლენ. კარგად იცნობენ ორთავენი დოდონას ბინას. მე კი შუბითიძეებთან ჩასვლა მომიწევს.

ლ უ კ ა. ქალბატონო ანა, ნება მომეცით თან გახლდეთ.

ა ნ ა. კარგი. ჩემი მეწყვილე მომთვინიერებელი იქნება. ანტონ, გეთაყვა, ისლა დაგრჩენია, შენივე გეგმის განხორციელებას უხელმძღვანელო.

ა ნ ტ ო ნ ი. ახლავე, ქალბატონო ანა!.. ზარიანი საათი დაგვჭირდება უსათუოდ.

დ ი მ ი ტ რ ი. (ანტონს) ის დიდი საათი მუშაობს და რეკავს კიდეც. მაგის ხმა კილომეტრზე ისმის. მაგ გასაღებით მომართე და წაუბიძგე ქანქარას.

ა ნ ტ ო ნ ი. (საათს ქოქავს) ყურადღებით იყავით. ათ წუთში ჩამოჰკრავს ორჯერ...

ა ნ ა. სამზე დააყენე და მეტი დრო დაგვითმე მოსამზადებლად.

ა ნ ტ ო ნ ი. ოც წუთში ჩამოჰკრავს სამჯერ. ზუსტად მეორე ჩამოკვრაზე ჩართეთ სინათლე.

ანტონმა წაუბიძგა ქანქარას და ოთახი გაივსო საათის ყრუ, მძლავრი რიტმით. სტუმარ-მასპინძლები დაწყვილდნენ და სიფრთხილით გაეშურნენ დანიშნულებისამებრ. ანტონი ფანჯარასთან მიდგა, ქურდულად გადახედა ეზოს.

დ ი მ ი ტ რ ი. (ანტონს) მაგ ოთახში შენ ჩართავ სინათლეს, აქ მე მოვუვლი... ჩამრთველი მანდვეა, ხელმარჯვნივ.

დ ო დ ო ნ ა. (ძილში) ამქვეყნად ყველაფერი მეორდება. მზე აღმოსავლეთით ამოდის და ხვალაც აღმოსავლეთით ამობრწყინდება. ზღვაში შემავალი მდინარე ღრუბლად იქცევა, რათა წვიმად მოვიდეს ისევ და კვლავინდებურად შეუერთდეს ზღვას.

დ ი მ ი ტ რ ი. (შიშით) აქ მოდი, ანტონ!

დ ო დ ო ნ ა. ავიც და კარგიც კვლავინდებურად არის ქვეყნად. დიდი ძალა შესწევს ავსაც და კარგსაც.

დ ი მ ი ტ რ ი. ახლოს დაჯექი, ანტონ. უცნაურად ლაპარაკობს დოდონა, მაფრთხობს.

დ ო დ ო ნ ა. მზის ქვეშ არავინ არ იბადება ბედის ბრმა მონად. მერედა ირჩევს გზას კაცი, კეთილის ან ბოროტის კვალს მერედა მიჰყვება. მინიჭებული აქვს ყველა მოკვდავს გზის თავისუფალი არჩევანის უფლება.

დ ი მ ი ტ რ ი. (ხმადაბლა) გრძნეულს ამბობენ დოდონაზე, ანტონ.

ა ნ ტ ო ნ ი. (შეშფოთებული) რაიმე არ მოიმოქმედოს, არ ჩაგვიშალოს გეგმა!

დ ო დ ო ნ ა. თვითონვე ირჩევს ყველა სულდგმული ცხოვრებისეულ გზას. ბოროტისა თუ კეთილის ძალას თითოეული თავისივე ნებით ემონება... ყურად იღე, დიმიტრი, ჩემი სიტყვა.

დ ი მ ი ტ რ ი. (დამფრთხალი) ჯადოქრობ, დოდონა?

დ ო დ ო ნ ა. ზოგს ყურით მიათრევს ბედი, ზოგს ბედი უკან მიჰყვება!.. ჩემი ასაკის ქალი ძილ-ღვიძილშია მუდამ. გრძნეულობა ეწოდება ძილღვიძლში ყოფნას?

დ ი მ ი ტ რ ი. (ანტონს) გრძნეულობს ნამდვილად... მაგან ყველანაირი იდუმალი იცის.

დ ო დ ო ნ ა. დიმიტრი, თუ გინდა სიკეთე და სიმშვიდე დაგეუფლოს, ყველა ბილწი აზრი გამოიბერტყე თავიდან,

დ ი მ ი ტ რ ი. გრძნეულია, გრძნეული!.. როგორ გამოვიბერტყო, დოდონა?

დ ო დ ო ნ ა. რასაც საკუთარ თავს უსურვებდი, მუდამ იგივე უნდა უსურვო სხვასაც.

დ ი მ ი ტ რ ი. კარგი, დოდონა, კარგი. ეგ საშინელი ღამე როგორღა ჩათავდება?

დ ო დ ო ნ ა. ჩათავდება, ჩათავდება.

დ ი მ ი ტ რ ი. ნუთუ მეღირსება ამ კოშმარისგან თავდახსნა?

დ ო დ ო ნ ა. გეღირსება.

დ ი მ ი ტ რ ი. (ანტონს, აღტკინებული) გრძნეულია, გრძნეული!... დოდონა, დოდონა, მივაღწევ ჩემს სანუკვარ მიზანს?

დ ო დ ო ნ ა. აუცილებლად მიაღწევ, კვლავაც თუ იქენი წყნარი და თვინიერი.

დ ი მ ი ტ რ ი. სხვა რამ შეფერხება ხომ არ მომელის სამსახურში?

დ ო დ ო ნა. კეთილად შეაბერდები მაგ სამსახურს.

დ ი მ ი ტ რ ი. როგორი ქმარი შეხვდება ჩემს ქალიშვილს?

დ ო დ ო ნ ა. დინჯი და ოჯახის ერთგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი. ხომ არ უდარაჯებს რაიმე ავადმყოფობა ჩემიანებს?
დოდონა. მსუბუქი მხოლოდ.
დიმიტრი. როგორ გრძნობენ ახლა თავს აგარაკზე?
დოდონა. კარგად.
დიმიტრი. მექნება ბევრი ფული?
დოდონა. საკმარისი.
დიმიტრი. ვითომ, კარგად უჭრის ჭკუა შუბითიძეს?
დოდონა. ძალიან სუსტად.
დიმიტრი. თვალჭრელიძეს?
დოდონა. მთლად უვიცია საცოდავი.
დიმიტრი. რამდენი გენერალსიმუსი იყო დედამიწაზე?
დოდონა. ხუთი მსხვილი და ოთხმოცდაშვიდი წვრილი.
დიმიტრი. ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში?
დოდონა. ესპანეთი.
დიმიტრი. რამდენ გრადუსამდე ადის ტემპერატურა უგანძაში?
დოდონა. სამოცამდე...
დიმიტრი. ბოლოს და ბოლოს, ვის მიაკუთვნებენ იმ სარდაფს, მე თუ შუბითიძეს?
დოდონა. არავის. სახლსაც აიღებენ და სარდაფსაც..
დიმიტრი. რას ფიქრობს ნაპოლეონი დღევანდელ დღეზე?
დოდონა. უმაღლესი სასამართლო ურჩევნია პარლამენტს.
დიმიტრი. ყველა დროის ყველაზე ლამაზი ქალი რომელია?
დოდონა. პარაგვაელი მაპუსიტო კამა.
დიმიტრი. კახური ღვინო ჯობია თუ ბურგუნდიული?
დოდონა. კახური.
დიმიტრი. რამსისხო მაჯა ჰქონდა გიორგი სააკაძეს?
დოდონა. კაისისხო.
დიმიტრი. რა უნდა მოვიმოქმედო პირადად მე, რომ დიდი რიდი და პატივისცემა დავიმსახურო უკლებლივ ყველასაგან?

დოდონა არ გაეპასუხა.

დიმიტრი. ჩანს, გადაიღალა
დოდონა. თავს ნუ იბრიყვებ, დიმიტრი! პირადად შენ რომ ვერაფერ სახეიროს ვერ გააკეთებ აწი, თავადაც კარგად იცი.
ანტონი. (აღელვებული) მხოლოდ ერთი, ერთადერთი შეკითხვა მაქვს დოდონასთან!
დიმიტრი. მეც დამრჩა კითხვა. ზუსტად რამდენი ცოლი ჰყავდა ჰენრიხ მერვეს?

დოდონა ჩაჩუმდა.

ანტონი. მხოლოდ ერთ შეკითხვაზე მიპასუხე, დოდონა. მე, ანტონმა, როგორ მოვინადირო ქალბატონ ანას გული?

ჩამოჰკრა საათმა. ანტონი მყისვე მოეგო გონს და მეორე ოთახისკენ გაქანდა. არც წამომდგარა დიმიტრი, ისე მიწვდა ჩამრთველს. ანტონმაც ჩართო სინათლე და იქვე, ფანჯარასთან დადარაჯდა. საათმა მესამედ ჩამორეკა.

ანტონი. განათდა, განათდა!
დიმიტრი. ერთდროულად?
ანტონი. ერთდროულად.. განათდა ოკეანეში ჩაკარგული ხომალდი!... (შეშფოთდა უცებ) დიმიტრი, წახდა საქმე რაღაც ამბავია დოდონას ბინაში. ქრება და ინთება, ქრება და ინოება სინათლე.
დიმიტრი. ბესარიონია იქ ლამაზ გოგოსთან ერთად.
ანტონი. სახეზევე ეტყობოდა უჯიშობა მაგ შეჩვენებულს.
დიმიტრი. გოგოს აწვალებს, ეტყობა.
ანტონი. გოგოსაც დაღუპავს და ჩვენც გაგვიფუჭებს საქმეს.
დიმიტრი. დოდონა, დოდონა, ბესარიონმა აიწყვიტა!

თავჩაქინდრული თვლემდა დოდონა.

ანტონი. აინთო, აინთო!... ჩაქრა ისევ.
დიმიტრი. მაგ ოყრაყს ახლა ველარაფერი დააცხრობს.

ოთახში მაგდა და ალეკო შემოვიდნენ.

ანტონი. ისევ აინთო.
დიმიტრი. ფხრეწის ხმა მესმის.
ანტონი. ქრება და ინთება, ქრება და ინთება.
დიმიტრი. (მაგდას) შენმა ნათესავმა შენს მეგობარს შემოაფხრიწა ტანზე ყველაფერი.
მაგდა. (შეწუხებული) რა დაემართა მაგ ოხერს?!
ალეკო. ჩემო მაგდა, კია შენი ნათესავი, მაგრამ ერთი გულიანად მინდა შევუკურთხო. ხმამაღლა არ შევიგინებ, მოსწი, გეთაყვა, ყური.

მაგდამ ღიმილით მიუშვირა ყური. ალეკომ აკოცა. ღიმილითვე მაგდამ თამამად წაჰკრა წკიპურტი შუბლში.

ანტონი. პულსივით ფეთქავს სარკმელში სინათლე.
დიმიტრი. ნაღდად შველას ითხოვს გოგო.
ანტონი. ალბათ, ეფექტურად მოჩანს ღამეში.
დიმიტრი. ღონიერია და სულ დაულეწავდა ძვლებს.

ანა და ლუკაც მობრუნდნენ.

ანტონი. სახლის პულსივით ფეთქავს სინათლე.
დიმიტრი. არ დაასახიჩროს ქალი.
ანტონი. ჩვენს სახლს თითქოს გული უცემს.
დიმიტრი. ან არ შემოაკვდეს.
ანტონი. სწორედ ამ გულისცემით მიიქცევს ყურადღებას.
დიმიტრი. ნეტა არ იკივლოს.
ანტონი. ყველა დაინახავს, რომ შველას ითხოვს ოკეანეში ჩაკარგული ხომალდი.
დიმიტრი. უხმოდ მაინც დანებდეს.
ანტონი. აინთო, აინთო!.. განათდა!.. გაქანდა ხომალდი სამშვიდობო ნაპირისკენ.
ლუკა. (პაუზის შემდეგ, ანტონს) რა თქმა უნდა, ბესარიონი აურევდა — წაახდენდა რამეს!
დიმიტრი. ნაღდად წაახდენდა იმ ლამაზ გოგოს.
ანა. იქნებ, პირიქით მოხდა: იქნებ, გოგომ წაახდინა უმანკო ბესარიონი?!
დიმიტრი. საქმეს, საქმეს მივხედოთ! ანტონ, რაიმე ცვლილებას ხომ არ ამჩნევ ქვემოთ?
ანტონი. ასე უცებ რა უნდა შემემჩნია?
დიმიტრი. ჰოდა, ვერც შეამჩნევ.
ანტონი. განათდა სახლის ირგვლივ. დავინახავ, საწყობიდან რომ გამოვლენ.
დიმიტრი. თუ კედელ-კედელ გაძვრნენ, ველარ დაინახავ.
ანტონი. (შემცბარი) შეიძლება ასეც მოხდეს.

ლუკა. (ანას) ვითომ, კისრისტეხით მოკურცხლავენ ახლა მძარცველები?
ანა. (წკიპურტი წაჰკრა ლუკას შუბლში) ნუ გიყვარს შენ უჯელაფრის გაბიაბრუება.

დიმიტრი. ანტონ, სახიფათოა ფანჯარასთან დგომა — საშიშნედ გამოდგები.
ანტონი. თვალი როგორღა ვადევნო?
დიმიტრი. არაა საჭირო თვალთვალი,
ანტონი. ტყუილად გავისარჯეთ?
დიმიტრი. ძალიან საქმიანად! მაგრამ, აწი, აღარაფერია დამოკიდებული ჩვენზე. თუ დაფრთხნენ და გაიქცნენ, ხომ კარგი, არადა, ჩვენზე აღარაფერია დამოკიდებული.
ანა. მართალია დიმიტრი. თავს გაუფრთხილდი, ანტონ!
ანტონი. (მოშორდა ფანჯარას) ქალბატონო ანა, უპირველესად, მინდა ვიზრუნო სხვათა უსაფრთხოებისათვის.
მაგდა. უკვე ნახევარ საწყობს მაინც გაზიდავდნენ.
დიმიტრი. გაზიდონ, გაზიდონ! რაა, მაგდა, სახელმწიფოსთვის ერთი საწყობი?! ერთი პატარა უსაფრთხოება ჯობია, ასი საწყობის დიდ ქონებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მომღიმარე და თმაგაწეწილმა ირინამ კარი ფართოდ შემოაღო. სახეზე ალმური ასდიოდა, ცალი ხელით ძლივს იფარავდა ჩახეულ გულისპირს.

ირინა. მაგდა, ჩაიბარე შენი ნათესავი. აგერაა აყუდებული, კარსუკან.

მაგდა. (შემკრთალი) ცუდი შეგემთხვა, ირინა?

დიმიტრი. (შეპარვით) ირინა, გენაცვა, თქვი გულახდილად — წაგიხდინა რამე?

ირინა. (მხიარულად) თვითონვე იტყვის... შემოდი, ბიჭო, შემოდი!

ანტონი. (მკაცრად) სინათლეს რაღას ერჩოდა?

ირინა. (წვდა სახელოში ბესარიონს და ოთახში შემოითრია) ახლავე აღიარებს ყველაფერს... სახალხოდ!

დოდონა. (რისხვით) ჩემი ნათესავი ჯაბანი არ ეგონოს ვინმეს!

ბესარიონი. (უხერხულად ჩამოჯდა სკამის ძგიდეზე) მრცხვენია, მაგდა.

მაგდა. (გახარებული) აკი გითხარით, ძალიან მორცხვია-მეთქი!

ბესარიონი. და ნამეტანი მეშინია ქურდების.

მაგდა. მაგას არა უშავს რა — ჩვენც გვეშინია.

ანტონი. თუ ეშინოდა, რაღას გვიფუჭებდა საქმეს? თქვას!

დოდონა. ლუკა, აიღე არაყი და სწრაფად მოამჯობინე ბესარიონი!

ანტონი. არა, დოდონა, არა! საზოგადოებას დამცხრალი ბესარიონი გვირჩევნია.

ირინა. (მაგდას) არაყში დაასველე ცხვირსახოცი. წარბზე დაადე. მგონი წარბი გავუხლიჩე უნებურად. კი ყოფილა ღონიერი მაგრამ მოვარტყი თუ არა მარჯვედ, მაშინვე დამმორჩილდა.

მაგდა. გტკივა, ბესარიონ?

ბესარიონი. (მისუსტებული) წარბი მტკივა და კეფა.

ირინა. არაა, ბესარიონ, ჩემი ბრალი. ვეფხვივით მეცი და, აბა რა მექნა?

ბესარიონი. ყველაზე უფრო მუცელქვევით მტკივა.

ანტონი. ლაგამი უნდა ამოიდო ხოლმე.

ბესარიონი. (ირინას) შეიძლება, გოგო, კაცის ასე გამეტება?!

ირინა. (მობოდიშებით) ველარ გამოვზომე, ბესარიონ.

დოდონა. (ირინას) მიგეშვა, გოგო!.. ეცელქა ერთხანს ბესარიონს.

●

ღამის მყუდროება ერთბაშად ძლიერმა აფეთქებამ შესძრა. შორით ზარები და სირენა ახმიანდა. ცეცხლის შხუილი და პანიკური ყაყანი ერთმანეთში აირია. სადღაც გაიწკაპუნეს მავთულებმა და მთელი სახლი დაბნელდა უცებ... ფანჯრებში შემოანათა შორეული ხანძრის კაშკაშა ალმა.

ლუკა. (თავზარდაცემული) რა ხდება?

ალეკო. გაზის ცენტრია იქით, გაზი აფეთქდა იქნებ?

მაგდა. გაზია, გაზი! ამხელა ალი სხვას არაფერს ექნება.

ალეკო. თუ არჩევ, ანა, რა იწვის?

ანა. დაწესებულება უნდა იყოს.

მაგდა. მანდ ერთმანეთზეა გადაბმული სახლები.

ლუკა. (ნერვიულად) შუქი რაღამ გამორთო?

ანტონი. ხანძარმა, ალბათ.

ალეკო. ცეცხლი დაწყვიტავდა მავთულებს.

ლუკა. უზარმაზარი ხანძარია.

რამდენჯერმე კვლავ იფეთქა. ერთმანეთის მიყოლებით. სადღაც შორს მინები ჩაიმსხვრა, აშიშინდა ორთქლი, უფრო ახმაურდა და აწიოკდა დაფეთებული ხალხი. შუქდამწყდარი სახლი მომძლავრებულმა ხანძარმა გააჩახჩახა. მოიკუნტა და დაპატარავდა ბესარიონი. ქალები გარინდულნი იდგნენ. დიმიტრი მოჯადოებულივით შეჰყურებდა ცად აზიდულ ცეცხლს და საბერველივით ქშინავდა.

ანტონი. სწრაფად მომძლავრდა ხანძარი.

ანა. მომძლავრდებოდა!... გამოაშრო და გაახმო ყველაფერი ზაფხულმა.

ალეკო. კიდევ კარგი, რომ უქარო ღამეა.

ლუკა. მაინც აღწევს აქამდე სიმხურვალე.

დიმიტრი. (ამოიხროტინა) იხუთება ჰაერი.

ლუკა. საშინელი სანახაობაა.

ანტონი. გრანდიოზულიცაა ამავე დროს.

ანა. ომსა და უბედურებას მოგაგონებს.

ირინა. რაღაც სკდება ყუმბარებივით.

ანტონი. ყველა ფერს ვარჩევ, ცისარტყელას ყველა ფერს შეიცავს ამხელა ცეცხლი.

ლუკა. დამთრგუნველი ძალა აქვს.

ანტონი. აღმამფრენი ძალაც აქვს თანაც.

ბესარიონი. დოდონა, შემზარავი ხანძარია, დოდონა!

დოდონა. სძინავს დოდონას, ღრმა ძილით. (მუქარით) დოდონას სისხლხორცეულმა ლაჩრობა არ გამოამჟღავნოს!

მაგდა. მთელი უბანი განათდა.

დიმიტრი. (გაღვიძებული ვულკანივით აბუყბუყდა, ხმა ჩაეხლიჩა)

ცეცხლით იჟღინთება ჰაერი, ყველაფერი ცეცხლით იჟღინთება.

ანა. ლამაზი სანახობაა. ამავე დროს შიშის მომგვრელიც.

ანტონი. მართალს ბრძანებთ, ქალბატონო ანა! ალბათ, სწორედ ამის გამო გაჩნდნენ უწინ ცეცხლის თაყვანისმცემლები.

ირინა. უცბად მოსპობს ამდენი ხალხის ნაჯაფარს.

ანტონი. სწორს ამბობს ირინა. ალბათ, ამის გამოც აღმერთებდნენ ცეცხლს.

დოდონა. შიში, ბატონო, უპირველესად შიში შეიქმს თაყვანისმცემლებს.

დიმიტრი ყრუდ ბუყბუყებდა და ხროტინებდა. ხანძარს მიშტერებულმა პერანგი გაიძრო, აცახცახებული ხელით ხვითქი გადაიწმინდა, მკერდსა და სახეზე, ფართოდ დაჭყეტილ თვალებში განცვიფრება და შიში უგუბდებოდა.

ანა. მხეცებსაც კი აფრთხობს ცეცხლი.

ლუკა. აფრთხობს და აშმაგებს... მეც მაშინებს, მაფორიაქებს და მაფრთხობს.

დოდონა. ხედავ? პირუტყვს ემსგავსება შიშატანილი კაცი.

მაგდა. წაწყმედილი ღამეა.

დიმიტრი. (თავისთვის) მთელ სხეულში გამიჯდა სიმხურვალე.

დოდონა. კერპებს დაეძებს დაფეთებული კაცის სული.

ოფლად გაწურული დიმიტრი სავარძლიანად აძაგძაგდა. შორით ხანძარი გუგუნებდა ერთხმაზე.

ლუკა. მთლად ამაბნია ამ ცეცხლმა, ეშმაკმა დაწყევლოს.

დოდონა. კი, შიშმა იცის თავგზის აბნევა, ათაყვანებს კაცს.

ლუკა. რაღაც მომნუსხავი ძალა აქვს ამ შეჩვენებულს.

დოდონა. აქვს, აქვს, იდუმალი და შეუცნობი კაცს ათმაგად აშინებს.

ლუკა. მოუსვენრობაც მიპყრობს უცნაური.

დოდონა. დიახ! ყველა ადამიანში პატარა ცეცხლთაყვანისმცემელი მაინც ბუდობს.

ლუკა. რაღაცას აღვივებს კიდეც თითქოს ჩემში.

დოდონა. ბნელსა და ჩლუნგ კაცში ცეცხლი აღვიძებს ველურ ინსტინქტებს.

ლუკა. (მუქარით) დოდონა, დოდონა!

დოდონა. (გაქანდა მძიმე მატარებელივით) როგორც ველურებში აღვიძებდა უწინ.

ლუკა. დოდონა!

დოდონა. მხოლოდ შიშს და ინსტინქტს ემონება კაცი მერე.

ლუკა. სუ, დოდონა!

დოდონა. არაფრად ჩააგდებს ადამიანურ ღირსებას.

ლუკა. შეჩერდი, დოდონა!

დოდონა. უცბად გამოეცლება ჩვეული რწმენა და საყრდენი.

ლუკა. უაზროდ ლაპარაკობ.

დოდონა. ულმობელ მოძალადედ გადაიქცევა.

ლუკა. ეშმაკსაც წაუღიხარ, დოდონა!

დოდონა. ცეცხლისა და ნგრევის ძალას სცემს თაყვანს მხოლოდ...

უეცრად, ნაპერწკლების ფრქვევითა და გამაყრუებელი გრუხუნით, დიმიტრის სავარძელმა სწრაფად იწყო ზრდა განსა და სიმაღლეში. ტკარცალა ციცინათელები მთელ ოთახს მოეფინა. ჰერამდე ავარდნილმა დიმიტრიმ თავი ველარ შეიკავა და მძიმედ გადმოვარდა სავარძლიდან, გადაემხო მაგიდას ფანატიკოსი მლოცველივით... მყისვე ჩაცხრა მოღონიერებული ხანძარი, შორეული გუგუნიც თანდათანობით მინელდა... ჩამოვარდნილ სიჩუმეში ავტომატის ჯერივით გაის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა აჩქარებული კაკუნი დიმიტრის ბინის კარზე. შეძრწუნებული წამოიმართა ბესარიონი, შიშნეული თვალები კარს მიაპყრო, გულზე იტაცა ორივე ხელი და გონმიხდილი იქვე, კარის ახლოს გაიშხლართა.

პირველი აქტის დასასრული

## მეორე მოქმედება

კაკუნი განმეორდა. ოთახში შეკრებილნი ჩქამის გაღებასაც კი ვერ ბედავდნენ. ჰერამდე გაბერილი სავარძელი ახლა, შიშინით, სწრაფადვე იფუშებოდა. კართან გაშოტილ ბესარიონს ერთხელ კი შეავლო დოდონამ მზერა და თავი კვლავინდებურად ჩაჰკიდა. დიმიტრიმ ძლივს მოწყვიტა თვალი ჩაყუჩებულ ცეცხლს, მაგიდიდან უხერხულად გადმობობღდა და ისევ მოკალათდა უწინდელ ზომაზე მომდგარ სავარძელში... კლარამ შემოაღო კარი, გულწასულ ბესარიონს გადააბიჯა და თამამად გამოემართა ნახევრადჩაბნელებული ოთახის შუაგულისაკენ.

●

კ ლ ა რ ა. გამარჯობათ, ამხანაგებო!

განცვიფრებისაგან ყველანი დამუნჯდნენ.

კ ლ ა რ ა. საგანგებოდ მოვედი, გასაფრთხილებლად... (ხმას დაუწია). იცოდეთ — ამ სახლში ქურდები არიან შემოპარულნი.

დ ო დ ო ნ ა. (მძინარე) კეთილი და პატიოსანი.

მ ა გ დ ა. (ელდანაცემი შეჰყურებს კლარას) ეს ვინღაა?

კ ლ ა რ ა. ამ ბინიდან ხმაური და ლაპარაკი მომესმა, ამიტომაც მოვბედე.. .მაშ ასე — უკვე გაგაფრთხილეთ! (საქმიანად გადახედა ოთახში მყოფთ) ერთი, ორი... ოთხი. ექვსი, შვიდი, რვა! (უგონო ბესარიონს მიაჩერდა) აგერ, მეცხრეც!. ესე იგი, ცხრანი ხართ!... ესე იგი, ზუსტად ცხრა კაცს შევატყობინე ქურდობის შესახებ... (დიდ საათს შეავლო თვალი) ამ საათით... ღამის ოთხის ნახევარზე ზუსტად.

ა ნ ა. (შეშინებული და შეურაცხყოფილი) ქათმებივით გადაგვთვალეს!.. შუაღამისას! რატომ გადაგვთვალეს შუაღამისას?

დ ო დ ო ნ ა. ქალბატონმა თავი დაიზღვია... მოსალოდნელი ეჭვებისაგან. ცხადია, ქურდები რაღაცას წაიღებენ.

კ ლ ა რ ა. დიახ, დიახ! და ჩემზე ეჭვი აღარავის დაებადება. თქვენი სახით ზუსტად ცხრა მოწმე მყავს... ყველაფერშია საჭირო კეთილსინდისიერება და პუნქტუალობა.

ა ნ ა. უზრდელოდ გადაგვთვალეს, ინდაურებივით.

კ ლ ა რ ა. მაშ ასე — ყველანი გაგაფრთხილეთ!., მე ვთვლი, რომ სრულიად მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა... ხელს აღარ შეგიშლით, ძილი ნებისა! (გაქანდა კარისკენ).

ლ უ კ ა. (ორმეტრიანი ნაბიჯებით დაედევნა კლარას) სდექ! სტოპ! ალეტ! (სკამს წამოავლო ხელი და კართან ჩადგა) არც ერთი ნაბიჯით წინ! კუთხეში, კუთხისკენ დაიხიე! (ბრძანებით ისვრის სიტყვებს, ოღონდ ხმადაბლა).

კ ლ ა რ ა. (რისხვით) როგორ მიბედავ?!

ლ უ კ ა. კუთხისკენ, კუთხეში, კუთხეში! თქვენ მაქედან დაუარეთ!

კ ლ ა რ ა. (უკან-უკან მიიწევს) ნამდვილი შეურაცხყოფაა! ვერ მოვითმენ, ამას არ მოვითმენ.

ლ უ კ ა. არც ფანჯარასთან მიუშვათ!

კ ლ ა რ ა. შეურაცხმყვეს, თავხედურად შეურაცხმყვეს!

ა ნ ა. ინდაურებივით გადაგვთვალა.

კ ლ ა რ ა. (ხმამაღლა) ხელყოფენ ჩემს ღირსებას!

ლ უ კ ა. კუთხეში, ყრუ კუთხეში!

კ ლ ა რ ა. არ გაპატიებ, ჩემს უბიწოებას ვფიცავ.

ლ უ კ ა. ხმა, კრინტი! ურჩობა არ გაბედო!

კ ლ ა რ ა. (მთელი ხმით ყვირის) სდექ, მოძალადევ, სდექ!

ლუკა მყისვე ჩამოიძენძა, დაფეთებული შედგა. კლარა ტახტს დაეჯახა და მოცელილივით ჩაჯდა იქვე.

მ ა გ დ ა. ამ სახლში როგორ აღმოჩნდა?

დ ი მ ი ტ რ ი. კარჩარაზულ სახლში.

ა ნ ა. ინდაურებივით გადაგვთვალა. როგორ ბედავს?! სხვის სახლში, შუაღამისას.

ლ უ კ ა. (ანას) ჩუმად, ჩუმად, ხმაური და ალიაქოთი არაფერში წაგვადგება... (დათაფლული ენით) გიპასუხებთ ქალბატონი, ძალდაუტანებლად, თავისი ნებით.

კ ლ ა რ ა. (მშვიდად, ხმამაღლა) ვერა, ძალადობას ვერ ავიტან; ყოველივე წმინდას ვფიცავ!

ა ნ ა. (გამომწვევად) აიტანს, აიტანს!

კ ლ ა რ ა. (ხმას აუწია) შეურაცხმყოფენ, არ მივიღებ შეურაცხყოფას!

ლ უ კ ა. (ანას) სდექ! დადექ!.. (მყისვე დაუყვავა) ქალბატონო ანა, გვმართებს თავშეკავება... თითოეულ ჩვენთაგანს. (კლარას) ქალბატონიც უნდა ფრთხილობდეს.. .ამ გასაჭირის ჟამს.

ა ლ ე კ ო. მართალია.

დ ი მ ი ტ რ ი. სწორი სიტყვაა.

ა ნ ტ ო ნ ი. რა თქმა უნდა, ცხადია!,.. ჩანს, ქალბატონი გონიერი და ზრდილი მანდილოსანია. აკი გაგვაფრთხილა კიდეც ქურდობის შესახებ.. მოქალაქეობრივი შეგნებაც აქვს...

კ ლ ა რ ა. და მაინც შემილახეს ნამუსი და ღირსება!

ლ უ კ ა. მხოლოდ მოულოდნელობის გამო. თქვენმა მოულოდნელმა გამოჩენამ გამოიწვია ჩემი უხეშობა. სხვაფრივ, არასგზით არ მომივიდოდა. აბა, როგორ შევკადრებდი ცუდ სიტყვას თქვენისთანა დარბაისელ ქალს?

ა ნ ა. გეგონებოდა, სოფლის რეგვენი დედაკაცი ითვლიდა საქათმეში ინდაურებს.

კ ლ ა რ ა. (ხელად აიზვირთა) შეურაცხმყოფენ!

ლ უ კ ა. (ანას) ხმა! ჩუმად! (ისევ დაუყვავა) ქალბატონო ანა, თქვენი ჭკუისა და ტაქტის მოიმედენი ვართ ყველანი.

ა ლ ე კ ო. (ცოლს) რა გემართება, გეთაყვა?

ლ უ კ ა. (კლარას, შეპარვით) ქალბატონო, უწინარეს ყოვლისა აჯე შევთანხმდეთ — ერთიანი ნებით ავიშოროთ თავიდან უაზრო შფოთი, ყოველგვარი ხმაური... რადგან აქაურმა ხმაურმა, შესაძლოა, გლახად მიიქციოს ქურდების ყურადღება... რითიმე დაფეთებულ ავაზაკებს კი, ანაზდად, ყოველგვარი ბოროტების ჩადენა შეუძლიათ.

დ ი მ ი ტ რ ი. სრული ჭეშმარიტებაა.

ა ნ ტ ო ნ ი. მართალია. (კლარას) ქალბატონო... უკაცრავად, როგორ უნდა მოგმართოთ?

დ ო დ ო ნ ა. ვითომ გეტყვის ნამდვილ სახელს?

კ ლ ა რ ა. ჩემი? სახელი?.. ნამდვილი სახელი?.. ქალბატონი კლარა.

დ ო დ ო ნ ა. კეთილი, ასე იყოს.

ა ნ ტ ო ნ ი. ქალბატონო კლარა, ღია კარს ვამტვრევთ ნამდვილად, შფოთის მიზეზი ელემენტარული გაუგებრობაა. უბრალოდ თქვით — როგორ აღმოჩნდით ამ სახლში, ახლა და ყველაფერი წამსვე მოწესრიგდება.

კ ლ ა რ ა. (დაბნეული) როგორ თუ როგორ?

ა ნ ტ ო ნ ი. (მობოდიშებით) საიდან შემოხვედით სახლში?

კ ლ ა რ ა. როგორ თუ საიდან?

ა ლ ე კ ო. (მკაცრად) როგორ შემოხვედით ამ სახლში შუაღამისას?

კ ლ ა რ ა. (გამომწვევად) ვგონებ, ყველა სახლს ერთნაირი შესასვლელი აქვს — კარი!

მ ა გ დ ა. სიცრუეა! ჩემი ხელით გადავრაზე კარი, ზუსტად თერთმეტის ნახევარზე.

ა ნ ა. (აგულიანებული) ქურდების ამფსონი ყოფილა!

კ ლ ა რ ა. (იფეთქა) ეს კი მეტისმეტია!

ა ნ ა. გაება მახეში, თავისივე ფეხით!

ლ უ კ ა. (რისხვამ გაუელვა თვალებში) კრინტი არ დაძრას არავინ!

კ ლ ა რ ა. ქურდობაც კი დამაბრალეს! (ნატკენ გულს ხელი შეუჭარჯგა) მე ვარ ავაზაკი?

ლ უ კ ა. (დაყვავებით) წამოსცდა, ქალბატონო კლარა, უნებურად წამოსცდა.. .ყველა კაცს თავისებური დალი აზის. თქვენგან კი მხოლოდ კეთილშობილება და პატიოსნება გამოსჭვივის.

კ ლ ა რ ა. (დაბეჯითებით) მორჩა! გათავდა! იოტისეოდენა შეურაცხყოფასაც კი აღარ ავიტან.

ა ნ ტ ო ნ ი. გაუგებრობაა ისევ, სულ მცირედი. ქალბატონო კლარა, თქვენ პასუხში პატარა შეუსაბამობა არის. (ანას, შემრი-

გებლურად) ახლავე მოწესრიგდება ყველაფერი. (საათს შეხედა, მერე კლარას) თუ კარი თერთმეტის ნახევარზე ჩარაზეს, როგორღა შემოხვედით?

კლარა. (მედიდურად) იქნებ, თერთმეტის ნახევრამდე შემოვედი?

მაგდა. მაშ, სად იყო აქამდე?

ანტონი. საფუძვლიანი შეკითხვაა.

კლარა. (ისევ ქედმაღლურად) არ შეიძლება, ადამიანმა ღამე გაათიოს ნათესავის ბინაში?

მაგდა. ესე იგი, შუბითიძეებთან ყოფილა.

კლარა. (დაცინვით) მადლობა გამჩენს, რომ მიხვდით.

ანა. რომლის ნათესავია? გვითხრას!

კლარა. (დაბნეული) როგორ თუ რომლის?

ალეკო. (მკაცრად) უშუალოდ რომელი შუბითიძეა თქვენი ახლობელი?

კლარა. (პაუზის შემდეგ, ამაყად) მე მეგობარს მოვყევი. არ შეიძლება ადამიანი მეგობარს წაყვეს ნათესავთან? ბინაში?

ანტონი. კი შეიძლება.

ანა. მამაკაცია თუ ქალი მაგის მეგობარი?

კლარა. (ირონიით) ვითომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამას?

ანა. მაინც?

კლარა. ამას მნიშვნელობას მხოლოდ უზნეონი ანიჭებენ.

ანა. (გახარებული) მივხვდი, გასაგებია! ყველაფერი გასაგებია ჩემთვის!

კლარა. (მაშინვე იფეთქა) შეურაცხმყოფენ! (უცბადვე დამშვიდდა, მედიდური იერი დაიბრუნა) ნუთუ არ შეიძლება, რომ ქალიშვილი საქმროსთან ვახშმობდეს, განცალკევებით, საქმროს ნათესავის ბინაში?!

ანტონი. შეიძლება.

ანა. (ნიშნგებით) ვახშმობდეს? ცარიელი ბინის... საძინებელ ოთახში?

კლარა. (წამოენთო) მე მუდამ თანა მაქვს ჩემი სიმართლეცა და სიწმინდეც! ყველგან, ყველაფერში! საძინებელ ოთახშიც, ქუჩაშიც, მთელ მსოფლიოშიც!

ლუკა. (გააკვესა თვალები) ჩაწყდით, ჩაჩუმდით!.. (რბილად) ქალბატონო კლარა, ჩვენში არავინაა ისეთი ბნელი, რომ უკვეთურად შეხედოს მომავალი ცოლ-ქმრის წმინდა ინტიმს. ეგ უშუალოდ თქვენი საქმეა, უაღრესად პირადული... ახლა კი საჭიროა, საერთო საქმეს მივხედოთ. ქალბატონო კლარა, საერთო საქმე მოითხოვს, რომ თქვენი საქმრო ახლავე ამოვიდეს აქ, ჩვენთან...

კლარა. არავითარ შემთხვევაში!

ლუკა. რათა მოველაპარაკოთ მომავალი საფრთხის შესახებ.

კლარა. არა და არა!

ლუკა. (განცვიფრებული) როგორ თუ არა?

კლარა. იმიტომ!

ლუკა. (შუბლი შეკრა) ვერ გაგიგეთ... ქალბატონო კლარა.

კლარა. სულ არაა ძნელი გასაგები. ბავშვიც კი მიხვდება, რომ დაფიქრდეს.

ლუკა. (მკვახედ) მე ვერ ვხვდები.

კლარა. ნუთუ ყველაფერს სჭირდება ახსნა?!

ლუკა. სჭირდება.

კლარა. კარგი!... აქ ამოვედი მე... ჩემი საქმრო კი აქ არ ამოსულა, ხომ?

ლუკა. (ნერვიულად). ასეა.

კლარა. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ლუკა. (ძლივს იკავებს თავს) რას ნიშნავს?

კლარა. (დამარცვლით) ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს საქმროს არ სურს ხალხში გამოჩენა ამ უხერხული ვითარების გამო.

ანა. თუკი ნამდვილად საქმროა, რადაა ეს უხერხული ვითარება?

კლარა. იმიტომ, რომ ყველაფერს აქვს თავისი წესი და რიგი.

ანა. (ლუკას) თავად ამ ქალბატონს რად არ ეუხერხულება?

კლარა. პროვოკაციული შეკითხვაა!

ლუკა. ესე იგი, თქვენ გამოგგზავნათ საქმრომ, რათა მეზობლებისთვის შეგეტყობინებინათ ქურდობის შესახებ?

კლარა. დიახ!

ლუკა. რადგან, რამე ნივთის დაკარგვის შემთხვევაში არავის არ ჰქონოდა ეჭვი თქვენზე? ვთქვათ, შუბითიძეებს?

ბიბლიოთეკა

კლარა. სწორია, ახლა სწორად მსჯელობთ. მთავარია კეთილსინდისიერება.

ანტონი. ჩემი აზრით, ქალბატონის საქმრო არ ყოფილა მთლად რიგიანი კაცი.

კლარა. ვერ ავიტან შეურაცხყოფას! ჩემს საქმროს უზარმაზარი საზოგადოება იცნობს!.. დიდებითად!

ანტონი. (მობოდიშებით) იმიტომ ვთქვი, რომ საფრთხეში ჩაგაგდოთ საქმრომ.

კლარა. საფრთხე ამშვენებს სიყვარულს.

ლუკა. (პაუზის შემდეგ) გასაგებია, ყველაფერი გავიგე, ქალბატონო, კლარა. მიუხედავად ამისა, თქვენს საქმროს მაინც მოუწევს აქ ამოსვლა.

კლარა. არავითარ შემთხვევაში!

ლუკა. მინდა კარგად შეიგნოთ, ქალბატონო კლარა, რომ ვდგავართ დიდი საშიშროების წინაშე...

ანტონი. და საჭიროა ერთობლივად შევიმუშაოთ ჩვენი უსაფრთხოების გეგმა.

კლარა. არა!. თუ გნებავთ, მე მითხარით სათქმელი და სიტყვასიტყვით გადავცემ.

ლუკა. მაშ თვითონ მე ჩავალ შუბითიძეებთან.

კლარა. (კმაყოფილი) ვერაფრით ვერ შეხვალთ ბინაში. ჩემი საქმრო კარს მხოლოდ დათქმულ კაკუნზე გააღებს.

ანტონი. ასე გაჯიუტება არ შეიძლება, ქალბატონო კლარა.

კლარა. ტყუილად ირთულებთ საქმეს. ჩამთვალეთ მე მის სრულუფლებიან და სანდო წარმომადგენლად.

ლუკა. (უცებ გაშმაგდა) მორჩი კუდაბზიკობასა და ლაქლაქს! ციბრუტივითაც დაგატრიალებ და დათქმულ კაკუნზე ამოგაყვანინებ კუროსაც!

კლარა. (თავდადებით) ენაც რომ მომაგლიჯონ, არ გავთქვამ დათქმულ კაკუნს.

ლუკა. (ვერ ცხრება) ეგ რა შეუვალი ვინმე ყოფილა!.. (ირინას) ბესარიონი სადაა?

კლარა. (ყელყელაობს) არაფრით არ გავთქვამ საიდუმლოს!

ანა. სადაა ბესარიონი?

ბესარიონი მორივით ეგდო კართან. მაგდა და ირინა მისკენ გაქანდნენ.

ლუკა. შეუვალი ვინმე ყოფილა! მაგდა, შეამზადეთ ბესარიონი! დიმიტრი, მიეცი არაყი მაგდას!

ანა. გაამზადეთ ბესარიონი!

დიმიტრი. (დოქი და სასმისი მოიმარჯვა) სწორია, ბესარიონი მივუშვათ.

ლუკა. რა უტეხი ყოფილა?!

ანა. ბესარიონი გატეხს მაგას!

ლუკა. ჩქარა შეამზადეთ ბესარიონი!

დოდონა. შეამზადეთ ბესარიონი!

ექო. ბესარიონი შეამზადეთ!

დიმიტრიმ არყით გაავსო ვეებერთელა სასმისი და მაგდას გადასცა, ირინა გამალებით უსრესდა საფეთქლებს გონწასულს. თვალმოჭუტული ეგდო ბესარიონი, ჯერჯერობით მისგან სიცოცხლე არანაირად არ გამოკრთოდა. ჩამოღვენთილი სანთელი კვლავ ციმციმებდა ოთახში ეულად.

ლუკა. (ნერვიულად მოიარა ოთახი, შეათვალიერა თითოეული) აწი კი მართლაც წახდება საქმე! (ანტონს) ახლა კი საფრთხე რეალურად გვემუქრება.

ანტონი. რას გულისხმობ?

ლუკა. (ხმადაბლა) ხანძარს!.. შესაძლოა, ყველაფერი ძალიან უბრალო ლოგიკით წარიმართოს. (თითით ქვემოთ, საწყობისკენ ანიშნა) იმათ აქამდე, იქნებ, აზრადაც არ მოსვლოდათ საწყობის დაწვა... მაგრამ ახლა, ამ ხანძრის შემდეგ, ეგებ, მოიწადინონ... მაგალითის ძალით, თვალნათლივი შემთხვევის გამო.

ანტონი. (იჭვნეულად) ვითომ დასაშვებია?

ლუკა. (აღგზნებული შთამბეჭდავად ლაპარაკობს) კარგად დამიგდე ყური, ანტონ! ყველა გონებიანი კაცი, მსჯელობისას, შედარებებს იშველიებს. ესე იგი, ანტონ, აზროვნებს კიდეც ადამიანი ასე — შედარებებით. რაიმე შემთხვევა ძალიან კნინდება და ფერმკრთალდება სხვა, გაცილებით უფრო დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მნიშვნელოვანი შემთხვევის გვერდით. ჰოდა, აწი ამ უკეთურებს *(საწყობს მიაშვირა ხელი)* ამხელა ხანძრის ფონზე, ალბათ, სულ აღარაფრად არ მიაჩნიათ რაღაც ერთი საწყობის გაქურდვა...

ანტონი. მიგიხვდი, სწორად მსჯელობ!

ლუკა. უფრო მეტიც, ანტონ, უფრო მეტიც! გაქურდვას კი არა, საწყობის დაწვასაც აუღელვებლად გაბედავენ... ამხელა ხანძრის ფონზე! ახლა, მიბაძვის ძალაც იგულისხმე!

ანტონი. კი, ადამიანთა უმეტესობა წამხედურობით ცხოვრობს.

ლუკა. ყოველგვარ სიავეს ჩაიდენს ზოგი, მხოლოდ და მხოლოდ წამხედურობითაც კი.

ანტონი. მით უმეტეს, ავკაცობასა და ბოროტებას თუა ჩვეული.

ლუკა. რომც არ ჰქონოდათ დაწვის განზრახვა, ამხელა ხანძარი გააფიქრებინებდა ამას უნებურად.

ანტონი. თანაც, ზოგიერთი ქურდი კვალის საიმედოდ დაფარვას ცდილობს.

ლუკა. თანაც დაძაბულ ვითარებაში დაუდევრობასა და სიშლეგეს იჩენს.

ანტონი. *(აღელდა თვითონაც)* სახიფათონი არიან ძალიან!

დიმიტრი. ჯოჯოხეთია ნამდვილი.

ლუკა. *(ფიქრიანად)* კი, კი, ყველაფერი ამისკენ მიდის. ანტონ, ყურადღებით მომისმინე! *(ქვემოთ მიუთითა)* იმათგან ერთმაც რომ განიზრახოს ხანძრის გაჩენა, წამსვე გადაედება დანარჩენებსაც... რადგან დაძაბულ სიტუაციაში ერთიანი აზრი იოლად ეუფლება ყველას... როგორც აქ, ჩვენთან, ახლა შიში დაუფლებია თითოეულს.

ანტონი. მართალია.

ანა. *(ლუკას)* ყური რომ დაგიგდოს, ყველაკაცი მოიზაფრებოდა.

ანტონი. ქალბატონო ანა, მართებულად მსჯელობს ლუკა, როგორც ჩანს, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა უარესისკენ.

დიმიტრი. ჯოჯოხეთია.

დოდონა. *(თავჩაქინდრული)* კარგად აკინძული მსჯელობა, შესაძლოა, ფუჭე იყოს.

ალეკო. *(შიშნაჭამი, გაუბედავად)* დოდონა დაუფიქრებლად კი როშავს... მაგრამ შექმნილ სიტუაციას ოდნავ გადაჭარბებით ხომ არ ვაფასებთ?

დიმიტრი. ვისაც გადაჭარბებულად მიაჩნია, გაბედოს, გარეთ გავიდეს!

ლუკა. *(გაგულისებული)* იცოდეს თითოეულმა, გაიაზროს, შეიგნოს, რომ შექმნილ ვითარებას ვერ ვაფასებთ ჯეროვნადაც კი... სასწრაფოდ თუ არ გამოვნახეთ თავდასახსნელი გზა, ხანძრით გახელებული ავაზაკების ცეცხლში აღმოვჩნდებით... ავაზაკების ცეცხლში!

●

ბესარიონი. *(ირინას კალთაზე მისვენებულმა უცებ წამოყო თავი)* რა ცეცხლი, რომელი ცეცხლი?

ირინა. *(გახარებული)* გამოფხიზლდა.

მაგდა. *(საქმიანად)* არაყი მოსვი, ბესარიონ.

ბესარიონი. *(ოთახს შემოავლო გაოგნებული მზერა და ისევ ირინასკენ გადაქანდა ძალაგაცლილი)* ჩემს სახლში მინდა ვიყო, ჩემი სოფელი მინდა,

ირინა. გამხნევდი, ბესარიონ!

მაგდა. მოგამჯობინებდა არაყი.

ბესარიონი. *(ძლივსგასაგონად)* არაფერი არ მინდა, ჩემი სოფელი მინდა, სიწყნარე. მტკივა ყველაფერი. ბეჭი მომგჯა, მგონია. თვალი მტეხს, კეფაც მტეხს. მუცლის ძირში მთლად უფრო მტეხს. *(ირინას)*, ამხელა ღონე საიდან გაქ, გოგო?

ირინა. *(ებოდიშება)* აღარ ვიზამ, ბესარიონ.

*მაგდამ არაყი შეაძლია, ბესარიონმა დაოსებული ხელით მოიშორა სასმისი.*

ბესარიონი. *(ლამის გული წაუვიდეს)* რამხელაზე ენთო შეჩვენებული?! აკაკუნებდნენ კიდეც. რამხელა ხმა ჰქონდა შეჩვენებულს?! ამ ციცქნა გულს გახეთქავს ამხელა ორომტრიალი. *(ხელი და ფეხი გააქანა)* მთელი კი ვარ, მგონია... სულ არაფერი არ მინდა, მარტო ჩემი სოფელი მინდა. ღამსვა წყნარად და მაყურებინა... ხვნათესვათოხნას... ...კარტოფილის ამოღებას, კარტოფილის ხარშვას. ბუნების გალობას... გაჯიბრებულ ვირებს. ჩიტი-გვრიტი მოფრინავდეს...

ექო. შეამზადეთ ბესარიონი!

დოდონა. ბესარიონი შეამზადეთ!

ლუკა. მაგდა, მიეცი არაყი ბესარიონს!

მაგდა. არ იკარებს.

ლუკა. აუცილებლად უნდა დაიყაბულო.

ანა. მიდი, მაგდა, იყოჩაღე.

მაგდა. შესვი, ბესარიონ, არაყი.

ირინა. გამოკეთდები, ბესარიონ.

ბესარიონი. *(ამოიხვნეშასავით)* სულ არაფერი არ მინდა ჩემი სოფლის გარდა.

●

კლარა. *(წამოიყვირა უნებურად)* ვაი, ჩემო სიყვარულო! *(თვითონვე შეკრთა).*

ლუკა. *(ნერვიულად)* სიჩუმე-მეთქი! აჰა, წაგიხდა ნირი? ჩადი და სწრაფად ამოიყვანე ის.

კლარა. არავითარ შემთხვევაში.

ლუკა. როგორ თუ არა?

კლარა. იმიტომ!

ლუკა. *(კუშტად)* ანტონ, აწი ამას შენ ელაპარაკე! *(მაგდას გასძახა)* მოაცოცხლეთ ბესარიონი!

ალეკო. *(მკაცრად)* მაშ რად წამოიყვირა?

კლარა. *(მიმოიხედა ირგვლივ)* ვინ წამოიყვირა?.. მე არ მიყვირია. კრინტიც არ დამიძრავს.

ანტონი. ქალბატონო კლარა, პირადად მე ვფიქრობ, რომ თქვენ ძალიან წუხხართ შუბითიძის ბინაში მარტოდ დარჩენილ მეგობარზე...

კლარა. საქმროზე!

ანტონი. კი საქმროზე.. და მინდა გითხრათ — მართებულადაც წუხხართ!

ლუკა. *(უხეშად)* რადგან ცეცხლი იმას უფრო ადრე მიწვდება, ვიდრე ჩვენ.

კლარა. *(ანტონს, შეშფოთებული)* აქაური ლაპარაკით ცოტაოდენს კი მივხვდი... რატომ აპირებენ ქურდები სახლის დაწვას?

ანტონი. კვალის დაფარვის მიზნით.. ხედავთ, ქალბატონო, რა საშიშროება გველის? ამიტომაც აჯობებდა ჩვენი ერთად ყოფნა. შევადგენდით უსაფრთხოების ერთიან გეგმას. ამჟამად გვესაჭიროება სრული სიჩუმე. პატარა გაფაჩუნებამაც კი, იქნებ, დააფრთხოს და გააგულისოს ქურდები. აგერ ახლა, უნებურად, თქვენ წამოიყვირეთ. ამას იქით, ეგებ, თქვენი საქმრო ახმაურდეს, ვთქვათ, ისიც უნებლიედ. ყველაფერი ეს ძალიან სახიფათოა ამჟამად შექმნილ ვითარებაში... მიმიხვდით, ქალბატონო კლარა?

კლარა. გასაგებია.

ანტონი. მაშ ჩადით და თქვენი საქმრო ამოიყვანეთ.

კლარა. არავითარ შემთხვევაში!

ანტონი. *(დაბნეული)* როგორ თუ არა?

კლარა. იმიტომ.

ანტონი. რატომ?

კლარა. იმიტომ, რომ ყოველგვარ საფრთხეზე მაღლა დგას ჩემი საქმროს საზოგადოებრივი ინტერესები.

ლუკა. *(ანტონს, გაგულისებული)* ფეხი არ მოიცვალოს ადგილიდან მაგ წუნკალმა დედაკაცმა.

ანტონი. ხედავთ, ქალბატონო, როგორ გაგიბრაზდათ?

კლარა. *(მშვიდად)* არა უშავს რა. უფრო მეტსაც კი ავიტან სიყვარულისათვის.

ანტონი. აჯობებდა, მშვიდობიანი გზით მოგვეგვარებინა კონფლიქტი... ჩემი მხრიდან კი, გთხოვთ, სრული სიჩუმე დაიცვათ, ქალბატონო კლარა.

კლარა. *(ანტონს)* მაშასადამე, სახლის დაწვას აპირებენ? ნუთუ, გაბედავს ამას ქალი?

ანტონი. რატომ ქალი?

კლარა. როგორ თუ რატომ? ჩემი თვალით დავინახე, ქურდი ქალი.

ანტონი. ლუკა, ქალბატონს ქურდები დაუნახავს!

ალეკო. მართლა დაინახეთ?

კლარა. რა თქმა უნდა, აბა, აქ რად ამოვიდოდი?

ლუკა. (ანტონს) დაწვრილებით მოუყვეს, რაც დაინახა. არც ერთი დეტალი არ გამოტოვოს.

კლარა. (შეფიქრიანდა) დამაცადეთ! ჯერ კარგად მინდა განვსაჯო, ჩემს საქმროს რაიმე ზიანს ხომ არ მიაყენებს ჩემი მონათხრობი?..

ანტონი. (მოუთმენლად) არა, რა თქმა უნდა, არა!

კლარა. ამას გადავწყვეტ, მხოლოდ და მხოლოდ, მე!

ალეკო. ზიანს კი არა, სიკეთეს მოუტანს მხოლოდ.

დიმიტრი. რაღა თქმა უნდა!

ანა. ჩვენც აგვეხილება თვალები.

დოდონა. თვითონვე გადაწყვიტოს!

კლარა. კარგი, უკვე გადავწყვიტე... მოვყვები დეტალურად.

ანტონი. (სული მოითქვა) აგაშენა გამჩენმა.

კლარა. მაშ ასე... (ქეშად გამოხედა ანას) შეურაცხყოფა არავინ გამიბედოს!

ანტონი. (გულითადად) არავინ არ იკადრებს, ქალბატონო კლარა!

კლარა. მაშასადამე, მე და ჩემი საქმრო ვვახშმობდით სანთლის შუქზე, ტკბილად და წყნარად... თანაც, საქმიანად ვმუსაიფობდით. წამით შევწყვიტეთ საუბარი და ჭრიალი მოგვესმა კიდეც. გადავიქეცით სმენად. გვესმის, ქურდებმა კარი გააღეს და ფეხაკრეფით შემოვიდნენ სასტუმრო ოთახში. ბნელოდა. ისინიც გაინაბნენ... რაღაცნაირი ჩურჩული მოგვესმა, კოშინიც შემოგვესმა თითქოს. ჩემმა საქმრომ პუპრუტანასთან მიმაგზავნა...

ლუკა. (უკმეხად) მორჩი, გაათავე! ყველაფერი გასაგებია. (ჩაფიქრებული გაშორდა კლარას).

კლარა. (ანტონს, ინერციით) მერე სინათლე აინთო რატომღაც და მაშინღა დავინახე, რომ ორნი იყვნენ — ქალი და კაცი.

ლუკა. (ცერად გამოსძახა მუქურუხებულმა) ანტონ, მაგან ფეხი არ მოიცვალოს მაქედან... და მკვდარივით გაისუსოს.

კლარა. (ძალიან გაუბედავად წამოიკნავლა) შეურაცხმყოფენ!

ანა. (ხელკავი გამოსდო ქმარს და ლუკასთან მიიყვანა) ალეკო, რაიმე უნდა მოვისაზროთ სასწრაფოდ... მოველაპარაკოთ ლუკას.

ანტონი. (კლარას) ქურდობის შესახებ სხვა არაფერი იცით?

კლარა. რაღა უნდა ვიცოდე? შუქი აინთო და კიდეც წავიდნენ მაშინვე.

ანტონი. ანა და ლუკა იყვნენ ის ორნი, ქალბატონო!

კლარა. (უზომოდ განცვიფრებული) როგორ თუ?

ანტონი. საქმე ჰქონდათ. უსაფრთხოების გეგმას ახორციელებდნენ.

კლარა. (ორიოდ წამში კვლავ დაიბრუნა მედიდური იერი) აქაურმა ლაპარაკმა მიმახვედრა, რომ ეგ წყვილი არაა ცოლქმარი.

ანტონი. (თვალებით აჩვენა) ალეკოა ანას მეუღლე.

კლარა. (გაიხარა) ძალიან კარგი! გასაგებია! ყველაფერი ვიცით ჩვენ!

ანტონი. გევალებათ დაიცვათ სრული სიჩუმე, ქალბატონო! (ლუკასკენ წავიდა).

კლარა. (პაუზის შემდეგ, ძალიან ხმადაბლა, მაგრამ დაჟინებით) ქალბატონო ანა, ქალბატონო ანა! მობრძანდით აქ ერთი წუთით!

ანა. (ტკბილი ღიმილით გამოემართა) რა სურს ჩემგან ღამეულ სტუმარს?

კლარა. (ნიშნის მოგებით) ღამეულ სტუმარს მახვილი სმენა და თვალი აქვს! ქალბატონო ანა, ჩემივე თვალით და ყურით დავინახე ქვემოთ, ლუკას რომ ესიყვარულებოდით!

ანა. (უფრო დატკბა) ამას დასაბუთება უნდა, გეთაყვა. ნუთუ, დაიჯერებს ვინმე შუაღამის კახპის სიტყვებს?

კლარა. (ფალცეტით) დავაჯერებ!

ანა. შეამზადეთ ბესარიონი!

დოდონა. ბესარიონი გაამზადეთ!

ანა. შეამზადეთ ბესარიონი შემოხიზნული ინტრიგანის მისაღოკავად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდა. (ბესარიონს) მოსვი არაყი.

ირინა. უნდა მომჯობინდე, ბესარიონ! ხომ ხედავ, უშენოდ ვერაფერს ვერ აკეთებენ?!

ბესარიონი. (ულონოდ) რაა გასაკეთებელი?

ირინა. ქურდებია გასარეკი.

ბესარიონი. სულ აღარ მახსოვდა. (საყვედურით) ამ მდგომარეობაში მაგათი გახსენება მინდოდა მე, გოგო? ისედაც მისკდება ეს ციცქნა გული!

ირინა. ვერაფერს ვერ აკეთებენ უშენოდ.

ბესარიონი. გულის წამალი მომაშველე, მაგდა.

მაგდა. არაყზე უკეთ ვერაფერი გიშველის.

ბესარიონი. (ირინას) შემოჩენილი ხომ არ ხარ შენ, გიჟო? ქურდების შეხსენება მინდოდა მე ახლა? მაგდა, არაყი შემასვი პატარაზე, ეგებ, ყველანაირი საშინელება გადამავიწყდეს!

მაგდა. გამოგაკეთებს უეჭველად.

ბესარიონი. (ვეება სასმისიდან მესამედი არაყი მოსვა მაგდას დახმარებით) ცეცხლივით დამიარა ტანში... ტვინშიც. კი, მაგდა, გამომაკეთა. ნაკლებად მტეხს კეფაში. მუცლის ძირშიც ნაკლებად მტეხს. (ირინას) ჩემი კაიყოფნა რომ გდომებოდა, გოგო, მაგ ხელებს დააყენებდი მაშინ მორჩილად.

ირინა. გამიხმეს ეს ხელები!

ბესარიონი. აწი? ნახევარი კაცობა რომ დამისახიჩრე, აწი?.. მაგდა, გეთაყვა, ცოტათი კიდევ მომასმევინე, დაგეშაცვლოს ბესარიონი.

მაგდა. გითხარი, მოგამაგრებს-მეთქი!

ბესარიონი. (არყის მეორე მესამედიც მოსვა) აწი?. ასე იციან შენისთანებმა! ჯერ მოსპობენ კაცს და მერე ზღვისხელა ცრემლებს ღვრიან! შენი წყალობით, ეგებ, ვეღარასოდეს დავტკბე მე კარტოფილის ამოღების ცქერით... სოფელში. შენ ჩაკალი სოფელი ჩემს გულში ათგზის. რატომ? იმიტომ, რომ დაგენანა. ერთადერთი განძი გაქვს, გოგო, და ისიც დაგენანა... მართლა გამოვჯანსაღდი მაგდა, აღარაფერი არ მტკივა. მუცლის ძირში ახლა სულ სხვანაირად მტეხს. ერთიც გადამაკვრევინე, ჩემო მაგდა!

ირინა. მთლად ჩემი ბრალი არ იყო ყველაფერი, ბესარიონ!

ბესარიონი. (უკანასკნელი არაყიც გადახუხა, პურის ნატეხივით დაყნოსა თავისივე ცერათითი, ამოიხვნეშა გემოზე, მაგდა და ირინა უხეშად გასწი-გამოსწია და ამღვრეული თვალებით მიაშტერებდა კლარას) ვინაა ეს ახალი ნაპოვარი?

ანა. (შეშფოთებული სინჯავს ხელით გათბობის მილსა და რადიატორს) ლუკა, მგონი, გახურდა გათბობის სისტემა!.. აქ გაგანია ზაფხულში! საეჭვოა ძალიან, მოდი, შეამოწმე.

ლუკა. (ხელი შეავლო მილს) დაწყევლოს ეშმაკმა, თბილია თითქოს! ანტონ, ნახე ერთი, თბილია, თუ მომეჩვენა?

ანტონი. თითქოს შემთბარია.

ალეკო. (გადაუსვა ხელისგული რადიატორს) ჩვეულებრივი მეჩვენება.

ანა. (დაბეჯითებით) ჩვეულებრივი კი ნამდვილად არაა.

ალეკო. შესაძლოა, ოდნავ იყოს შემთბარი.

ანა. (აღელვებული) ლუკა, ხომ არა ქნეს უკვე სიავე?

ანტონი. (ანას) რას გულისხმობთ?

ანა. ხანძარს ვგულისხმობ! აბა, რა გაახურებდა ამ სიცხეში მილებს?!

ლუკა. (ორივე ხელი დაადო ოთახის ქუჩისპირა კედელს, ქვემოთ იატაკთან) ნერვიულობამ სულ წამართვა აზროვნების უნარი!

ანა. (ხაზგასმით) შუაგულ ზაფხულში უცებ გახურდა გათბობის სისტემა!

ანტონი, (ლუკას) ასე მაინც ვერ გაიგებ ვერაფერს, კედელი არ გაცხელდებოდა. მართალი უნდა იყოს ქალბატონი ანა! ხანძრისას, ალბათ, რკინის მილები ცხელდება ყველაფერზე უწინ.

ანა. (შეიცხადა ხმადაბლა) ხანძარი ქნეს ქურდებმა, ნაღდად!

ლუკა. (აწრიალდა — რადიატორი მოსინჯა ხელმეორედ, მერე ფანჯრიდან გადაიხედა ქურდულად, მერე ჩაიმუხლა და ხელისგულები დააბჯინა იატაკს) ცეცხლი თუ აქვს შენთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სახლს, რამენაირად კი მიხვდები კაცი. (ნერვიულად ლაპარაკობს, თავისთვის თითქოს) ან დაინახავ, ან შეიგრძნობ... ინტუიცია მიმახვედრებს, ბოლოს და ბოლოს! ხმაც ექნება, ალბათ! გუგუნი ეცოდინება ამ შეჩვენებულს თავისებური.

ანა. ხო, ჰქონდა წელან ხანძარს ხმა.. სწორედ რომ თავისებური.

ლუკა. (თვალისდახამხამებაში წაიძრო ფეხსაცმელები და წინდები) ცეცხლი თუ წაუკიდეს სახლს, ყველაფერი გაუხურდება თანდათანობით. (იდაყვით დაეყრდნო ფანჯრის რაფას, მეორე ხელი კედელს დაადო, შიშველი ფეხი კი რადიატორს მიაბჯინა) თანაბრდ გაცხელდება აგურიც, რკინაც და ხეც.

დიმიტრი. (გაიძრო ჩუსტები და შიშველი ფეხები მოაფათურა მაგიდის ქვეშ) მეც ასე ვფიქრობ.

ლუკა. რამენაირად კი მივხვდები. ან დავინახავ, ან გავიგებ, ან ინტუიცია მიკარნახებს... ან შევიგრძნობ მაინც! (ფეხშიშველამ, სმენადქცეულმა გაიარა ოთახში დამძიმებული ნაბიჯებით, თითქოს თითოეულ ფეხზე თითო დოლაბის ქვა ეკიდა).

ანტონი. (გაიძრო ფეხზე, კუთხეში მიაწყო ფეხსაცმელები წესიერად, გულდაგულ გასინჯა იატაკი ტერფებით... და აუჩქარებლად მივიდა ფანჯარასთან) უსაშველოდ ბნელა. უკან-უკან მიდის ჩვენი საქმე, რომც გამოვიდნენ ქურდები საწყობიდან, ველარაფრით ვერ დავინახავთ.

ალეკო. იქნებ კიდეც წავიდნენ უკვე?

ანტონი. შესაძლებელია.

ალეკო. იქნებ აქ არიან ჯერაც?

ანტონი. ესეც დასაშვებია.

ანა. (სწრაფად წაიძრო ფეხსაცმელები და ფეხი შეჰყო რადიატორსა და იატაკს შორის) არც კი ვიცი, რა ვუწოდო ასეთ მდგომარეობას?

ალეკო. გაურკვეველი მდგომარეობაა.

ლუკა. დაბრმავება!.. ბრმასავით უმწეონი ვართ ზუსტად (ნოხქვეშ შეაცურა ფეხის წვერი) ნოხმა იცის სითბოს დაგროვება.

ანტონი. უაზროდ ვფათურობთ.

ლუკა. ნაფოტივით მივყვებით ტალღებს.

ალეკო. (მექანიკურად გაიძრო ფეხსაცმელები, გაიარა ფეხშიშველამ) თუკი გაქურდეს საწყობი, ხანძარიც გააჩინეს და გაიქცნენ?!

დოდონა. ტრუსის სუნი იცის ხანძარმა.

ანტონი. (იმედიანად) მართალია! ამაზე არც დავფიქრებულვარ ნაღდად აქვს სუნი ხანძარს.

ლუკა. კი, გეთანხმები! მაგრამ ტრუსის სუნი არ მიგრძვნია ჯერ.

ანა. ესე იგი, არ გააჩინეს ხანძარი ქურდებმა.

ალეკო. იქნებ, კარგად ვერ გაჩაღდა ჯერ ცეცხლი?

ანტონი. ნამწვის სუნი მაინც მოგვწვდებოდა, სუნი პატარა ცეცხლსაც კი აქვს.

დიმიტრი. ერთი წუთით, ერთი წუთით ვითხოვ თქვენს ყურადღებას!.. მინდა საგანგებოდ განვაცხადო, რომ ტრუსის სუნი ჯერ არც მე მიგრძვნია.

ანტონი. კარგია ნამდვილად.

ალეკო. (დიმიტრის) ჯერ არც არავის უგრძვნია.

დიმიტრი. სხვამ თუ არ იცის, ალეკო, შენ მაინც უნდა იცოდე!

ალეკო. რა უნდა ვიცოდე?

დიმიტრი. ჩემი ყნოსვის შესახებ.

ალეკო. ხო, ვიცი, ვიცი!.. უბადლოა პირდაპირ! (ანტონს) დიმიტრის აქვს განსაცვიფრებელი ყნოსვა.

დიმიტრი. (ლუკას) ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ნებისმიერ პირუტყვს შემიძლია გავეჯიბრო.

ანა. სასწაულებრივი ყნოსვა აქვს.

დიმიტრი. ნადირობის დროს ძაღლიც არ მჭირდებოდა.. ახალგაზრდობაში.

ანა. თვალებახვეული მიაგნებს, ვთქვათ, საყასბოს. უცხო ქალაქშიც, თუ გინდა.

დიმიტრი. ზოგი სუნი კილომეტრზეც კი მცემს.

ანა. არც ერთ პირუტყვს არ შეუძლია ასე.

დიმიტრი. ვერც ერთი პირუტყვი ვერ შემედრება.

ანა. ოცამდე სურნელს ალიქვამს ერთდროულად.

დიმიტრი. ქალაქების სუნსაც კი შევიგრძნობ, თვითმფრინავით რომ გადავუფრენ ხოლმე.

ანტონი. როგორი სუნი აქვს ქალაქ ტამბოვს?

ლუკა. (ანტონს, ნერვიულად) მაგაზე სხვა დროს ისაუბრეთ!

ალეკო. რა მიდევს ჯიბეში?

დიმიტრი. შოკოლადი „ფუძიამა“.

ალეკო. (ამოიღო შოკოლადი და შეჭამა) საოცრებაა პირდაპირ

ანტონი. მაშ, გაგვაგებინოს, გვემუქრება თუ არა საფრთხე.

ალეკო. ერთი კარგად დაყნოსე, ხომ არ ვიწვით?

დიმიტრი. კი, ბატონო! პატარა ხანს ნუ შემაწუხებთ! ჩემი სუნულის ყოველი კუნთი მაქსიმალურად უნდა დავძაბო (მაქსიმალურად აწია ნიკაპი და ცხოველივით მოყნოსა ირგვლივ ჰაერი).

●

კლარა. ვაი, ჩემო სიყვარულო! (შეაკრთო თავისივე ხმამ).

ბესარიონი. (კლარას, მაცდური ღიმილით) მე მიხმობ, გოგო?

კლარა. მე ხმა არ ამომიღია. (მიმოიხედავს გარშემო) ვინ იყვირა? მე კრინტიც არ დამიძრავს.

ბესარიონი. (გულწრფელად აღშფოთებული) როგორ თუ ხმა არ ამოგიღია? მაშ მე, გამოდის, სმენა არ მქონია?! ყრუ-მუნჯი ვყოფილვარ მე, ესე იგი! მაშასადამე, საშინელი ხეიბარი ვყოფილვარ მე — ყრუ, მუნჯი და მუცლის ძირშიც დაკუტებული შეუბრალებლად!.., სამიდღემჩიოდ! ორმაურად მომაყენეს ამხელა შეურაცხყოფა! ყოველივე ეს რად უნდა მოითმინოს ბესარიონმა?!.. არც მოვითმენ, არავითარ შემთხვევაში! (ირინას) ბოდიში მომიხადოს დაუყოვნებლივ!

ირინა. (მკაცრად) ბოდიში უნდა მოუხადოთ.

კლარა. (შეიცხადა) ვის? ამ გაუთლელს, გაგრიას?

ბესარიონი. (გაშეშდა შეურაცხყოფისაგან) გაგრიაო?!

ირინა. (აღელვებული) შეურაცხყოფას უმატებს ახალ შეურაცხყოფას.

კლარა. დიახაც!

ბესარიონი. (კლარას, მეტისმეტი ღირსებით) ქალბატონო, მე ამ სიტყვებს მივიჩნევ, როგორც ჩემს ზურგში ჩაცემულ ცეცხლოვან ლახვარს.

კლარა. (გამომწვევად) დიახაც, ასე იყოს.

ბესარიონი. (ჭექა-ქუხილისათვის ეღრუბლება სახე) და არ დავივიწყებ არც ერთი წამით, ვიდრე მზე დანათის ქალაქებსა და... მეტადრე, სოფლებს.

კლარა. ასე იყოს, ასე იყოს!

ბესარიონი. (ხმას აუწია) არ დამავიწყდება არასოდეს, ვიდრე დედამიწის ზურგზე ძირფესვიანად არ ამოიძირკვება უზნეობა და თავხედობა!

კლარა. ნუ დაავიწყდება!

ბესარიონი. არ დავივიწყებ, არა, სანამ ჩემი მოსისხლე მტერი სულ ტიტლიკანა არ წარსდგება ჩემთა თვალთა წინაშე!

კლარა. როგორ თუ ტიტლიკანა?

ბესარიონი. (მკვეთრად შეიცვალა ტონი, აგდებულად ეუბნება ირინას) ეგა დედაკაცი ჩემი საყვარელი იყო!

კლარა. (იფეთქა ზარბაზანივით) ეს რა გამიბედეს?!

ბესარიონი. (გამარჯვებულის ღიმილით) ზუსტად ცამეტი წელი მყავდა საყვარლად.

კლარა. ცამეტჯერ დაგსჯი მაგ ტყუილისათვის! (ხელი იტაცა გულზე).

ბესარიონი. (ირინას) რა ქვია ამ ქალს?

ირინა. კლარა.

ბესარიონი. (კმაყოფილი) ჰოდა, დედაკაცი კლარა ჩვიდმეტი წელიწადი იყო ბესარიონის საყვარელი.

კლარა. (ლამის ჭერამდე ახტეს გაცოფებული) ეს რა მესმის?! ეს რა გაუბედეს კდემამოსილ მანდილოსანს?! ვაი, ჩემო სიყვარულო!

ბესარიონი. (თაფლში ამოავლო ენა) მე მიხმობ, გოგო?

კლარა. სასტიკად მოგთხოვს ჩემი საქმრო პასუხს!

ბესარიონი. (ირინას) ეტყობა, ისევ შეყვარებულია ჩემში.

კლარა. შენში, რქიან გაგრიაში? ვინმე ჯოჯოც არ შეიყვარებს ამ მახინჯ გაგრიას!

ბესარიონი. (გახევდა) გაგრიაო?!

კლარა. გაგრია, პირწავარდნილი გაგრია! (ხმა გაუტყდა მეტისმეტი დაძაბულობისაგან).

ირინა. (ბესარიონს, თანაგრძნობით) ისევ შეურაცხგყოფს!

კლარა. რქიანი გაგრია!

ბესარიონი. (დამძიმა სიტყვა დარბაისლურად) ქალბატონო კლარა, თქვენ მე სამკვდრო — სამუდამო შეურაცხყოფა მომაყენეთ ზედიზედ.

კლარა. ძალიანაც კარგი.

ბესარიონი. და როგორც შეეფერება თავმოყვარე მამაკაცს, ვალდებული ვარ რაინდული ღირსებით ჩავება ორთაბრძოლაში.

კლარა. ნაღდი გაგრიაა თავით ფეხებამდე.

ბესარიონი. (ირინას მიუბრუნდა, კვლავ უცებ შეიცვალა ტონი) თვალისდახამხამებაში დავამტკიცებ, რომ ეგა ხათუნი ჩემი საყვარელი იყო ოცი წელიწადი.

კლარა. (სულ ჩაეხლიჩა ხმა ცოფმორეულს) როგორ თუ დაამტკიცებ?

ბესარიონი. (საზეიმო იერით) დედაკაც კლარას მწვანე ხალი აზის მარცხენა ძუძუს თავზე.

კლარა. (მთელი მონდომებით ყვირის, მაგრამ ძლივსღა ისმის მისი სიტყვა) წმინდა წყლის სიცრუეა!

ბესარიონი. (გულშეჯერებული) მაშინ, ჩემმა ყოფილმა საყვარელმა მოწმედ მოიყვანოს თავისი ორთავე ძუძუ.

კლარა. ტყუის!

ბესარიონი. ორთავე ძუძუები წარმოადგინოს მოწმეებად!.. საჯარო განხილვაზე!

კლარა. ტყუის უნამუსოდ... (ამის ამოთქმა შეძლო და ჩაუწყდა კიდეც ხმა).

ბესარიონი. (ნამეტანი ზრდილობიანად) რა ბრძანეთ, ქალბატონო კლარა?

ენაჩავარდნილი კლარა უსაზღვრო რისხვას გამოხატავდა, მხოლოდ ჟესტიკულაციით.

ირინა. (გახარებულმა გასძახა ალეკოს) ბესარიონმა სულ ჩააწყვეტინა ხმა კლარას!

ანა. უტეხი კლარა გაუტეხავს ბესარიონს!

მაგდა. კრინტსაც კი ველარა ძრავს!

დოდონა. იმარჯვა ბესარიონმა!

ლუკა. მარცხენა ფრთაზე სიმშვიდე დაუმყარებია ბესარიონს.

ექო. ბესარიონი ყვარებია კლარას! ოცი წელიწადია! ოცი, ოცი, ოცი, ოცი!.

დამუნჯებული კლარა კუთხეში მიმდგარიყო და დოლაბისხელა თვალებს გიჟივით აცეცებდა აქეთ-იქით.

●

დიმიტრი. (შემართა მარჯვენა) კი ბატონო! ვიგრძენი, ნამდვილად შევიგრძენი ტრუსის სუნი!

ალეკო. აჰა!

ანტონი. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

დიმიტრი. ყველაფერს მოგახსენებთ თანმიმდევრობით.

ანა. ვაცალოთ კაცს, საქმიანობს.

დიმიტრი (საქმიანად) მაშ ასე, დავიწყოთ! სამხრეთიდან დავიწყოთ.. სამხრეთიდან ხორცის სასიკეთო სუნი მცემს. არცაა გასაკვირი, ბევრი საყასბოა მანდ, ფარა და ჯოგიც ბევრი დადის მაქეთ...

ალეკო. ეს არ გვაინტერესებს ახლა.

ანა. ხელს ნუ უშლი!

დიმიტრი. სხვა, რაიმე განსაკუთრებით საინტერესო სუნი არ მოდის სამხრეთიდან. თქვენთვის საინტერესოს ვგულისხმობ. პირადად ჩემთვის კი, ხორცის სუნი მშვიდობასა და მაძღრისიანობას ნიშნავს.

ლუკა (უკმეხად) საქმეზე ილაპარაკე!

დიმიტრი. (ლუკას მობოდიშებით) თუ ძალიან საფუძვლიანად არ შევეხე ყველაფერს, ვერ გამოვიტან ისე საზრისიან დასკვნას. ასეთი თავისებურება გამაჩნია მე, ასეთი მანერა. შეცდომა რომ არ გამეპაროს, ჯერ ირგვლივ უნდა მოვსინჯო ყოველივე გულდასმით.

ანა. (ლუკას) როგორც მოესურვება, ისე ქნას.

ლუკა. ქნას.

დიმიტრი. (შებრუნდა 45 გრადუსით) დასავლეთში ქარხნებისა და ფაბრიკების კვამლით გაბინძურებულია ჰაერი, თუმცა, მთისა და ზღვის სუნიც გამოკრთის ოდნავ მაქედან. ერთ დროს შორეული ციტრუსების სურნელსაც კი შევიგრძნობდი დასავლეთიდან, ასე გამჭვარტლული და გაფუჭებული რომ არ იყოს ქარხნებისაგან ჰაერი (სხაპასხუპით მიაყარა, თითქოს ვიღაც უპირებდა სიტყვის წართმევას). ახლა გარემოს დანაგვიანების წინააღმდეგ დიდი ბრძოლა მიმდინარეობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. პირადად მე ვფიქრობ, რომ მალე დადებითად გადაწყდება ყველგან ეს საკითხი და თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცემა, უშიშრად ისუნთქოს წმინდა და შეურყვნელი ჰაერი. შენდება და მშვენდება მთელი ზღვისპირეთი დღეს. სულ მოკლე დროში აქ აშენდა და დამშვენდა რამოდენიმე ახალი ხორცკომბინატი..

ლუკა. (ნერვიულად) რას როშავს?

ანტონი ძალიან განზე გარეკა.

დოდონა. კაცს სურს თავისი აზრი გამოაჩინოს

დიმიტრი. (დოდონას) კი, მინდა ვთქვა ჩემი გულის სატკივარი.

ალეკო. მაგის დროა ახლა?

ლუკა. (დიმიტრის, მწყრალად) საიდან მოდის ტრუსის სუნი?

დიმიტრი. (ებოდიშება ლუკას) ჯერ, ჩვენს გარშემო მინდა გამოვიკვლიო ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად. შეცდომა რომ არ გამომეპაროს.

ანა. (ლუკას) აცალე ერთხანს.

დიმიტრი. (ლუკას მლიქვნელურად გაეღრიჯა) ასეთი მანერა მაქვს მე. სათქმელიც მომაწვა გულზე.

ლუკა. (გამოცრა კბილებში) კარგი, ილაპარაკე.

დიმიტრი. (ახლა 90 გრადუსით შებრუნდა) რა შეიძლება ითქვას აღმოსავლეთზე? გემრიელი და მსუყე მხარეა აღმოსავლეთი, ოდითგანვე. მიწა ძალიან ყუათიანია ამ კუთხეულში. ამ მხრიდან ტრუსის სუნი ნამდვილად არა მცემს. აქ მშვენივრად ხარობს სოკო, საზამთროც და, რაღა თქმა უნდა, აქაური სივრცე მთლად გაჟღენთილია ვაზის საამო სურნელით. კიდით კიდემდე შეიგრძნო მთელმა დედამიწამ აქაური ღვინისა და კონიაკის მადლი. აქ აყენებენ ოთხას სამი დასახელების ღვინოსა და კონიაკს და თითოეულ მათგანს მე, დიმიტრი, უშეცდომოდ შევიცნობ ერთ წამში, მხოლოდ და მხოლოდ, ყნოსვითაც კი. ასევე მრავალი დასახელების ხორცეულის კერძეაი იციან აქ. ამ ბოლო ხანებში აქ აშენდა და დამშვენდა სამი ახალი ხორცკომბინატი..

ალეკო. მოკლედ თქვი, მოკლედ.

დიმიტრი. მოკლედ, ყოველი მხრიდან კეთილი და მშვიდობიანი სუნი მეფრქვევა.

ლუკა. (ირონიით) ჩრდილოეთი არ გიხსენებია.

დიმიტრი (სხარტად) ჩრდილოეთიდან ვარდებისა და იასამნების სურნელი მოედინება უხვად. ნარნარი და წარმტაცი. რაღაცნაირად ჰაეროვანი, სურნელი ხელთუქმნელი და სრულყოფილი ყოვლად.

ლუკა. (ანას, მოღუშული) აღარ იტყვის სათქმელს?

ანა. საიდან მოდის ტრუსის სუნი, დიმიტრი?

დიმიტრი. (წუთით სულ დაყრუვდა, სადღაც შორს გაიტაცა უეცარმა სევდამ) კურთხეულია ოთხივე მხარე, შემკული მრავალნაირად. ყველგან კი მყავს ახლობელ-ნათესავები, ოთხივე მხარეს. სისხლით ახლობლები, ხორცით ნათესავები, თანამოაზრენი და თანამოზიარენი ჭირ-ლხინისა. (აღეგზნო თანდათან) ყველგან მყავს ახლობლები, ყველა ქვეყანაში, კიდით კიდემდე. დაილოცოს ამიერ-იმერეთი. სიტკბო არ მოგვაკლდეს არცერთს. პური და ღვინო იყოს უხვად. სიცილი ახლდეს მუდამ ჩვენს პურისჭამას, კაი ცეკვა, კაი თამაში, მოსწრებული სიტყვა და საამური სიმღერა. (იფეთქა უცებ) სიკვდილი და არგადარჩენა ყველა გარეწარსა და ავაზაკს! ძირშივე გაუხმეს ხელი ყველა ქურდს! ცეცხლის გამჩაღებელი თვითონვე ცეცხლში დაიწვას. გეენიასა შიგან! არგადარჩენა და სიკვდილი — ვინაც უშფოთველი ღამე ჯოჯოხეთად გადაგვიქცია! არასოდეს ეღირსოთ გახარება და პურისჭამა! აღარ ჰქონდეთ მოსვენება, აღარც კმაყოფილება! ულმობლად მიაკლას ბოროტები სამართლიანობის მახვილმა! (წასკდა ცრემლები და არაქათგაცლილი ჩახვავდა სავარძელში).

ანა. (თანაგრძნობით) დაწყნარდი, დიმიტრი, დაწყნარდი.

მაგდა. ძალიან აყვა გრძნობას.

ანა. ასე აყოლა არ შეიძლება. ასე გული გაუსკდება, ბოლოს და ბოლოს..

დიმიტრი. (ცრემლი შეიწმინდა მალულად) არა უშავს, არა უშავს რა.

ანა. ჭირში გამაგრებაა საჭირო.

მაგდა. არ უნდა აყვე გრძნობას.

დიმიტრი. (სული მოითქვა, მხნეობაც მოიკრიბა) არა უშავს რა... ველარაფრით ვერ შევიკავე თავი... მორჩა უკვე! გამიარა მორჩა, გათავდა.

ანა. ასე, დიმიტრი გამხნევდი, შე კაცო.

დიმიტრი. სულ გამიარა, მოთავდა. კი, ტრუსის სუნი შევიგრძენი, ნამდვილად შევიგრძენი.

ალეკო. საიდან მოდის სუნი?

დიმიტრი. ტრუსის სუნი კი მცემს უეჭველად... მაგრამ სადაა ცეცხლის კერა?... ამის ზუსტად განსაზღვრა ძალიან ძნელი საქმეა.

ანტონი. ერთხელ კიდევ მოყნოსოს სივრცე.

დიმიტრი. საკმარისად მოვყნოსე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩემს ამ საქმიანობაში ნამეტნავად მიშლის ხელს წუ-ლანდელი უზარმაზარი ხანძარი. ამ ხანძრის სუნმა ერთიანად გადაფარა პატარ-პატარა ცეცხლის კერები. ახლა მთლად ათქვეფილია ჰაერი. ასე რომ არ იყოს, ანთებულ ბუხარსაც კი მივაგნებდი უშეცდომოდ, თუგინდ ჩვენგან დაშორებული ყოფილიყო კილომეტრებზე... ისე კი, ტრუსის სუნი ნაღდად მცემს!

ალეკო. ვერაფერი ნუგეშია.

დიმიტრი. როცა ჰაერი დაიწმინდება, შეიძლება ზუსტად დადგინდეს ცეცხლის ადგილ-სამყოფელი.

ანტონი. როდის დაიწმინდება?

დიმიტრი, ამ უქარობაში? (მოყნოსა ჰაერი) ალბათ, ორი დღე მაინც დაჭირდება.

ლუკა. (ბრაზმორეული) მოვრჩეთ უაზრო ფათურს!

დიმიტრი. (გაუბედავად) უფრო ადრე არ დაიწმინდება.

ანა. (ლუკას, პაუზის შემდეგ) რამენაირად ხომ უნდა ვიმოქმედოთ?!

ანტონი. (ლუკას) მაშ, სულ გავქვავდეთ?

დიმიტრი. მაქსიმალურად დავძაბე მთელი ჩემი შესაძლებლობები.

ლუკა. (პაუზის შემდეგ, მშვიდად, დაბეჯითებით) ბრმებივით ვფათურობთ. ასე არაფერი არ გამოგვივა... გამოსავალი ერთია — უშუალოდ უნდა ინახოს საწყობი!

ანა. (შეცბუნებული) ვინ უნდა ნახოს?

ლუკა. რომელიმე ჩვენთაგანმა!

დიმიტრი. როგორ უნდა ნახოს?

ლუკა. უშუალოდ! ჩავა და ნახავს.

ერთხანს ყველანი გაყუჩდნენ, ბესარიონმაც კი გადმოიტანა ლუკასკენ ყურადღება.

ანტონი. (ლუკას) ჩავა და ნახავს?.. მხოლოდ სათქმელადაა ადვილი.

დიმიტრი. (აღელვებული) სრულიად დაირღვევა უსაფრთხოების პირობა!

ბესარიონი. თანახმა ვარ! თანახმა ვარ ბნელ-ბნელ ოთახებში დავრიგდეთ წყვილ-წყვილად! (წარბაწეულმა რაღაც გადაუჩურჩულა ნახევრადშეშლილ კლარას).

დოდონა. (მძინარე) საფრთხე თუ გიახლოვდება, ჯობია, გზაშივე გადაელობო საფრთხეს.

ანა. გზაშივე გადაელობო?.. (ლუკას) ძალიან საშიში რომაა ქვემოთ ჩასვლა?

ლუკა. ასე ბრმასავით ყოფნა ბევრად უფრო საშიშია.

დიმიტრი. (აღშფოთებული) ეს არის უსაფრთხოების პრინციპის მასხრად აგდება! სულ მთლად!

ლუკა. უსაფრთხოებას დავიცავთ უსათუოდ. სწორედ ამის გამო ქვემოთ უნდა ჩავიდეს, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი კაცი.

დიმიტრი. რა მნიშვნელობა აქვს, ერთი იქნება თუ სამი?

ლუკა. აქვს მნიშვნელობა.

დიმიტრი. ერთი კაცის დანახვაც გაახელებს ქურდებს და სამისაც! თანაბრად!

ლუკა. ერთი კაცი ვერც გაახელებს და ვერც დააფრთხობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ!

ლუკა. (ნერვიულად) ანტონ, ამ კაცს შენ შეაგნებინო იქნებ?!

ანტონი. რა უნდა შევაგნებინო?

ლუკა. (დიმიტრის) ერთი კაცი კი ნიშნავს ერთ კაცს, მაგრამ ორი კაცი და მეტი, უკვე, ნიშნავს ჯგუფს.

დიმიტრი. (დაბნეული) მე უკვე ვთქვი ჩემი საბოლოო სიტყვა.

ლუკა. ერთი კაცი — ერთია, მეტი კაცი — ჯგუფია!

ანტონი. (ლუკას) გასაგებია! (დიმიტრის) დიახ, სწორედ ასე ამბობს იურისპრუდენცია.

ლუკა. ასე ითვლება ოდითვე.

ანტონი. (დიმიტრის) იურისპრუდენცია ჩამოყალიბდა ცოცხალ ადამიანთა ურთიერთობათა საფუძველზე, რაღა თქმა უნდა.

ლუკა. (დიმიტრის) არავისთვის არ წარმოადგენს საშიშროებას მარტოხელა კაცი.

ანტონი. (დიმიტრის) რაღა თქმა უნდა, იურისპრუდენცია წარმართავს ადამიანთა ურთიერთობებს.

ლუკა. (დიმიტრის) ჯგუფი კი ნამდვილად საშიშია ყველასათვის.

ანტონი. (დიმიტრის) სხვანაირი თვლა იცის იურისპრუდენციამ ერთი კი ნიშნავს ერთს, მაგრამ ორი კი ორს აღარ ნიშნავს, ორი ნიშნავს ჯგუფს.

ლუკა. (დიმიტრის) აბა, ერთი კარგად წარმოიდგინე, რა უმწეო და საცოდავია მარტოხელა კაცი!

ანტონი. (დიმიტრის) ასე განსაზღვრავს იურისპრუდენცია და რა ნება აქვთ ვიღაც ქურდებს, მათაც ასე რომ არ განსაზღვრონ?!

ლუკა. (დიმიტრის) მოკლედ, ერთი კაცის დანახვა ქურდებს არ დააფრთხობს, არც გააგულისებს.

ანტონი. (დიმიტრის) იურისპრუდენციის პრინციპებს უფრო ყურადღებით ეკიდებიან თვით ქურდები.

დიმიტრი. (ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ) ლოგიკური კია,

ლუკა. ჯგუფის დანახვა კი მართლაც გაახელებდა ქურდებს! ამიტომ უნდა ჩავიდეს ქვემოთ მხოლოდ ერთი კაცი.

დიმიტრი. (შეპარვით) ვინ უნდა ჩავიდეს?

ლუკა. რომელიმე ჩვენთაგანი.

დიმიტრი. (აქოთქოთდა მყისვე) ატყდება ახლა კენჭისყრა და გულის ხეთქვა! ატყდება კინო! კინოს გმირები არა ვართ ჩვენ, იცოდეთ! არ გამოდგება აქ კინოს ილეთები! რკინის გული არა მაქვს მე, ყველას გასაგონად ვამბობ...

ლუკა. არავითარი კენჭისყრა არ იქნება.

დიმიტრი. (უცბადვე დამშვიდდა) მაშ როგორ?

ლუკა. იქნება ნებაყოფლობითი არჩევანი.

დიმიტრი. როგორი?

ლუკა. ვისაც აქვს შნო, ვისაც შესწევს ქვემოთ ჩასვლის უნარი, ჩავა ნებაყოფლობით, თავისთავად.

დიმიტრი. ვისაც უნარი არ შესწევს?

ლუკა. ის აქ დარჩება.

დიმიტრი. გონივრული გადაწყვეტილებაა.

ლუკა. კენჭისყრა ტოლფასია ძალადობის.

დიმიტრი. რა თქმა უნდა!.. (იჭვნეულად) ვთქვათ, ჩვენს შორის არავის არ აღმოაჩნდა ქვემოთ ჩასვლის უნარი? მაშინ?

ლუკა. (შუბლშეკრული) ნუთუ, ყოველი ჩვენთაგანი ასეთი უხეირო აღმოჩნდება?!

ანტონი. (პათეტიკურად) როცა კი მოქალაქეობრივი მოვალეობა ძალიან დაბეჯითებით მოგვიხმობს, შესაძლოა, სხვებზე უწინ, დიმიტრი, პირადად თქვენ მოიწადინოთ ქვემოთ ჩასვლა!

დიმიტრი. (გაანჩხლებით) ჰა-მეთქი, სდექ! ენა დაყენე-მეთქი! სხვას დაუყარე ეგ საკენკი. არავითარ შემთხვევაში არ მოიწადინებს დიმიტრი ქვემოთ ჩასვლას. ბრიყვები განზე ეძებე. ჯაფა და ტვინის ჭყლეტა არ აკლია ცხოვრებაში დიმიტრის, ოჯახის მეთაური ვარ მე. გოგო მყავს. გასათხოვარი მე. ორმოცი კილოც მაქვს წონაში დასაგდები, გული მაწუხებს დღე-დაღამ.

ლუკა. (ანტონს, წყნარად) რომც მოისურვოს დიმიტრიმ ქვემოთ ჩასვლა, ჩვენვე უნდა დავუშალოთ!.. რადგანაც, ძალიან ფინთი გარეგნობა აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტისმეტად მახინჯი კაცია.

ანტონი. სილამაზით ვერ დაიკვეხნის, რასაკვირველია.

დიმიტრი. *(უმალ დაწყნარდა)* რას იზამ, ასეა! ზოგი ლამაზია, ზოგი ულამაზო.

ლუკა. *(ალეკო შეათვალიერა)* ქვემოთ ჩასული კაცი კი, ჩემი აზრით, სასიკეთოდ უნდა გამოირჩეოდეს.

ანტონი. როგორც, ვთქვათ, შუაკაცი ან დესპანი?

ლუკა. თუგინდ! ღირსებით სავსე უნდა იყოს, უნდა ჰქონდეს სათნო და შთამბეჭდავი გარეგნობა!.. ეგებ, ქურდებს შეეფეთოს. *(ისევ შეათვალიერა ალეკო).*

ანტონი. შეიძლება, დასაშვებია.

ლუკა. სათნო გარეგნობა კი ავსულსაც დაამშვიდებს.

დიმიტრი. სრული ჭეშმარიტებაა! მახინჯი კაცის დანახვაზე მეც კი მიფუჭდება ხასიათი. იმწუთშივე გული მიმიწევს რაიმე უკეთურობის ჩასადენად... მე ვიტყვი ნაღდ სათქმელს! ქვემოთ უნდა ჩავიდეს ალეკოსავით წარმოსადეგი მამაკაცი!

ალეკო. *(იფეთქა)* არა მსურს მე ქვემოთ ჩასვლა!

ანტონი. არც არავინ გაძალებთ.

დიმიტრი. ისე ვთქვი, სიტყვაზე ვთქვი.

ანტონი. არჩევანი ნებაყოფლობითია.

დიმიტრი. ძალადობა მანიშნებელია უზნეობისა და ველურობის.

ალეკო. *(დაცხრა)* რა თქმა უნდა. ყველაფერში დემოკრატიზმის მომხრე ვარ მე.

ანტონი. მეც ვიზიარებ მაგ პოზიციას.

ლუკა. *(ფიქრიანად)* იქე კი, ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის გარეგნობას. *(ალეკოს გამოხედა ცერად).*

დიმიტრი. უდავოდ.

ანტონი. მეტადრე, ქალებში! ქალები ყოველთვის ანიჭებენ პრიორიტეტს გარეგნობას.

ანა. სულაც არაა გასაკვირი! გარეგნულად ლამაზი სულითაც ლამაზია.

დიმიტრი. *(გაუბედავად)* კარგი გარეგნობა აქვს ალეკოს.

ალეკო. *(შეუყვირა დიმიტრის)* არ ვაპირებ მე ქვემოთ ჩასვლას.

დიმიტრი. არავინაც არ გაძალებს.

ანტონი. დაძალება გამორიცხულია! დემოკრატიულ პოზიციაზე შევთანხმდით ჩვენ.

ლუკა. *(მაღლა იყურება ფიქრმორეული)* ისე კი, ქალბატონო ანა, თქვენ სრული ჭეშმარიტება ბრძანეთ! რაც შიგნითაა კაცი, იგივეა გარეგნულადაც.

ანა. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების.

ლუკა. *(მიაშტერდა ჭერს)* მაგალითად, ვაჟკაცობა და ინტელექტი ხომ უდავოდ ემჩნევა სახეზე კაცს?

ანტონი. სიჩლუნგეცა და ლაჩრობაც ნათლად ემჩნევა.

დიმიტრი. *(დაბეჯითებით)* სიჩლუნგე და ლაჩრობა ნაღდად არ ემჩნევა სახეზე ალეკოს.

ანტონი. *(გაკვირვებული)* ალეკოს არ ვგულისხმობდი.

ალეკო. *(შეუტია დიმიტრის)* რა შუაში ვარ მე?

დიმიტრი. *(ჩამოილორთხა)* ისე ვთქვი, სიტყვამ მოიტანა.

ალეკო. *(ბრაზით)* რად უნდა მემჩნეოდეს მე სიჩლუნგე?

დიმიტრი. არ ემჩნევა-მეთქი, ვთქვი.

ალეკო. *(მუქარით)* ნუ იტყვი ნურაფერს ჩემზე, ნურანაირად!

მაგდა. ჭკუა და გაბედულება თვალებიდანაც კი გამოუკრთის ალეკოს.

ანა. დიმიტრი, ჩემს ქმარს გარეგნობას უწუნებ?

დიმიტრი. *(მკვირცხლად)* პირიქით, ანა, მთლად პირიქით! მე ხომ უწინდელი ალეკოც კარგად მახსოვს!

ანა. უწინ ალეკოსთვის მართლაც ბდღვნიდნენ ერთმანეთს გოგოები.

მაგდა. გოგოები არც ახლა უყურებენ გულგრილად.

ლუკა. *(არ აშორებს ჭერს ფიქრიან მზერას)* ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული უნდა ბუდობდეს.

დიმიტრი. კუზიანს კი მხოლოდ სამარე ასწორებს! ნათქვამია ასე.

ანტონი. ჯანსაღ სხეულს აზის სწორედ გონიერი თავი.

ანა. *(სიამაყით)* სწორედ ჭკუით მომხიბლა სიყმაწვილეში ალეკომ.

დიმიტრი. გარეგნულადაც მშვენიერი იყო.

ალეკო. *(ნერვიულად)* არ მინდა მე ქვემოთ ჩასვლა!

დიმიტრი. არავინ არ გაძალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდა. *(განაზებული)* როცა ალეკოს საუბარს ვისმენ ჩემი თავი სულ ლეწჩი და უმწეო მგონია.

ირინა. იშვიათად შემხვედრია ალეკოსავით წარმოსადეგი მამაკაცი.

დიმიტრი. შინაგანადაც ლამაზია რაღაცნაირად.

ალეკო. *(გაგულისებული)* იყუჩე-მეთქი, გითხარი!

ანა. გამახსენდა, სიტყვამ გამახსენა! „იყუჩე, სულო!“ — ასე ერქვა ჩემდამი მოძღვნილ ალეკოს ლექსს.

ალეკო. ასე არ ერქვა. ასე იწყებოდა.

ანა. რა ერქვა?

ალეკო. „ანდერძი“.

ლუკა. *(ჭერს მიბჯენილი თვალები მილულა)* ბევრის მთქმელია სათაურიცა და ლექსის დასაწყისიც.

ალეკო. არაფრად არ ვარგა.

ანა. მე ახლაც მომწონს! *(სადეკლამაციოდ ყელი მოიღერა და ხელი შემართა)* „ცა ისეა შეფაკლული, ცა ისეა მოწითალო... რომ სიცოცხლე მიხარია...“

ალეკო. არ ვარგა.

ანა. *(განაგრძობს დეკლამირებას)* „ჩემს ძარღვების სისხლებიდან უკვდავების მოიქეფს წყარო!...“

ალეკო. არ მსურს მე ქვემოთ ჩასვლა.

ლუკა. *(ზე აპყრობილი თვალებით წყნარად და ალერსიანად ლაპარაკობს, თითქოს მხოლოდ ზეცისთვისაა განკუთვნილი მისი მონოლოგი)* მეტად საგულისხმო სტრიქონებია და სათაურიც ნიშანდობლივია...

ანა. მშვენიერი სტრიქონებია.

ლუკა. მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს ლექსის კრიტიკული გაანალიზების პრეტენზია. მე აქ მინდა გამოვყო სულ სხვა ფაქტორი, ამ ორიოდე სტრიქონის მეშვეობით მინდა შევიცნო ავტორის ხასიათი შეძლებისდაგვარად. მართლაცდა, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ძალიან გამორჩეულია, ალბათ, ის პიროვნება, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია, შთამომავლობას დაუტოვოს თავისი სულისეული ანდერძი...

მაგდა. გამორჩეულია უთუოდ.

ანა. უპირველესად, ჭკუით.

ირინა. აღნაგობითაც გამორჩეულია.

დიმიტრი. ყველანაირად გამორჩეულია სასიკეთოდ!

ალეკო. ქვემოთ ჩასვლას არ ვაპირებ!

ლუკა. *(მდინარესავით ერთხმაზე დუდუნებს)* კაცი, რომელიც ესოდენ უხარია სიცოცხლე, რაღა თქმა უნდა, თავისი საქმიანობით უნდა იყოს კმაყოფილი უპირველესად, აგრეთვე, ადამიანისადმი დიდი სიყვარულით უნდა იწვოდეს გამუდმებით და თავადაც უნდა იყოს პატივდებული და დაფასებული თანამოძმეთაგან.

დიმიტრი. *(აღფრთოვანდა ყასიდად)* ეგ სიტყვები სწორედ ალეკოზეა ნათქვამი.

ანა. *(სიამაყით)* თავისი საქმიანობით ნამეტნავად კმაყოფილია.

მაგდა. *(აღტაცებული)* თუგინდ მისი ახალი ტრილოგია გადაათვალიერეთ! ჰიმნია ნამდვილი, ტკბილი ადამიანებისადმი მიძღვნილი.

ანტონი. სიტკბო კი ნამდვილად არ აკლია.

მაგდა. სულაც არა ჰგავს იმ უხეირო წიგნებს, ცუდ ფიქრებს რომ აგიშლის ადამიანს!.. კარგა ხანს რომ გაწუხებს მერე გლახა სიზმარივით.

ანტონი. *(დარიგებით)* არც ის წიგნი ვარგა, მაგდა, წაკითხვისთანავე რომ ივიწყებ.

მაგდა. *(თვალებანთებულმა წამოიყვირა)* სხვათა უდღეურ კრიახს ათასჯერ მირჩევნია ალეკო ჩოჩანიკაშვილის ყლურტული!.. ძალიან ნაზი, ძალიან გემრიელი.

ალეკო. *(ლუკას მზერასააყოლა თვალი და სხვენს დამარცვლით ასძახა)* ქვემოთ არ ჩავალ!

დიმიტრი. არავინ არ გაძალებს, კაცო!

მაგდა. *(ალეკოს)* ძალიან მინდა მქონდეს შენი ავტოგრაფი.

ალეკო. კი, ბატონო, მოგცემ.

მაგდა. *(ხელის ზურგზე გადაიჭიმა ცხვირსახოცი)* აი აქ, ცხვირსახოცზე წამიწერე! მსხვილად.

ლუკა. *(კვლავ ღმერთებს მიმართავს მოწიწებით)* მხოლოდ რჩეულთ შესწევთ ძალა თამამად მიჰყვნენ შემოქმედების ეკლიან გზას. მხოლოდ რჩეულთ შესწევთ უნარი, უშიშრად წაუძღვ-

ნენ გაჭირვებულებსა და გზააბნეულებს. სწორედ ესაა, ალბათ, ნამდვილი შემოქმედის დანიშნულება. სწორედ ამას გულისხმობს ხელოვანი, ალბათ, როცა უკვდავებაზე ლაპარაკობს. მართლაცდა, უკვდავება მოჩქეფს! მგოსნისაგან. უთვალავ მაცოცხლებელ სიმს აბამს შემოქმედი დღევანდელობასთან, რათა სრულად გადასცეს მომავალ თაობებს ამჟამინდელი სულიერი ღირებულებანი. მართლად და საფუძვლიანად აღიქვამს ჭეშმარიტი ხელოვანი ცხოვრებისეულ მოვლენებს. საღი გონებით აფასებს იგი სათნოებასაც და ავკაცობასაც. ბოროტი საქმე მის თვალებს ვერსად წაუვა, დასამალავად თვით დედამიწაც რომ გადაეფაროს. იცის ნამდვილმა ხელოვანმა ყველაკაცის ფასი ამქვეყნად და არ განიკითხავს არავის უძლურებისა და სულმოკლეობისათვის. არ განიკითხავს და არც თვითონ განიკითხება! არ ემსგავსება იმ რეგვენს, რომელიც ბეწვსაც კი ხედავს თვალსა შინა ძმისა თავისასა, ხოლო მორსაც ვერა გრძნობს საკუთარ თვალში... ძალუძს ხელოვანს, გზა გაუნათოს გასაჭირისას დავრდომილებსა და გზააბნეულებს. და სწორედ იქ, უკუღმართი ცხოვრების ორომტრიალში, გაჭირვებულთა და გზააბნეულთა სადარაჯოზე უნდა იდგეს ჭეშმარიტი შემოქმედი. და სწორეთ იქ მოვლენათა ავანპოსტზე არის მისი მუდმივი ადგილსამყოფელი (ვიდრე მონოლოგს ჩაათავებდა, ლუკას მოყურადებულ, დაბნეულ ალეკოს ერიმანეთის მიყოლებით ჩამოართვეს ავტოგრაფი დიმიტრიმ, ირინამ, ანტონმა და თვითონ ანამაც კი).

ბესარიონი. (ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა ალეკოს) მინდა კლარას ავტოგრაფი მივართვა.

ალეკო. (ქაღალდს ხელი მოაწერა და წამოიწყო სიმღერასავით) არ მინდა მე ქვემოთ ჩასვლა.

დოდონა. (მშვიდად) ვე'ღარ აღუდგები, ალეკო, ამდენი კაცის ნებასურვილს.

ალეკო. არ ჩავალ მე ქვემოთ!

დოდონა. ჩაყოლა ჯობია ჩათრევას.

ბესარიონი. (უბეში ჩაუდო კლარას ქაღალდი და მკერდზეც ხელი მოუთათუნა) გამოჩენილი მომღერლის ავტოგრაფს გჩუქნის ბესარიონი.

მაგდა. (აღგზნებული გვერდით ამოუდგება ალეკოს) დიმიტრი, სურათი გადაგვიღე.

დიმიტრი. (დაფაცურდა) მართლაც გადასაღებია ალეკო ამ ჩინიშვნელოვან წუთებში. (კედლიდან ჩამოხსნა ფოტოაპარატი და სწრაფად გამართა).

მაგდა. გასაჭირის ჟამს ალეკოს გვერდით მინდა აღვიბეჭდო.

ანა. გასაჭირისას ცოლი უნდა ამოუდგეს ქმარს მხარში. (მეორე მხრიდან დაუდგა ალეკოს, უკეთურად გადახედა მაგდას).

დიმიტრი. უკან დაიხიეთ... კადრში რომ ჩაჯდეთ კარგად.

მაგდა. მოდი, ირინა, წინ ჩამიდექი.

ბესარიონი. ქალბატონო კლარა, მოდი და სამუდამოდ აღვბეჭდოთ ჩვენი გაცნობის ღამე.

კლარამ დემონსტრატიულად შეაქცია ზურგი საზოგადოებას.

დიმიტრი. შენც შეუერთდი, ანტონ!... ჩასვლის წინ ალეკოს სურს გადაიღოს სურათი ყველასთან ერთად.

ალეკო. არ ვაპირებ მე ქვემოთ ჩასვლას.

დიმიტრი. სუ, ჩუმად! არ გაინძრეთ, ვიღებ!

ბესარიონი. (ალერსიანად) მე და კლარას ცალკე გადაგვიღე!

დიმიტრი. ახლა კი ალეკოს ყველანი გაეცალეთ... მინდა ცალკე გადავიღო ალეკო გარეთ გასვლის მომენტში.

ალეკო. (სასოწარკვეთით) დოდონა, რა ვქნა, ქურდები რომ შემეფეთონ?

დოდონა. ფისი ქენი.

მაგდა. (აღფრთოვანებული) გადაწყვიტა, ნებაყოფლობით გადაწყვიტა!

დიმიტრი. (გული აუჩუყდა) ყოჩაღ, ალეკო, ყოჩაღ! თავგადადებული კაცი ხარ მოყვასთათვის. (ცრემლიანი თვალები თითით შეიწმინდა). ნებაყოფლობით არჩიე საფრთხე.

ანა. (სიამაყით) მხდალი კაცი ვერაფრით ვერ გადაწყვეტდა ქვემოთ ჩასვლას!

ირინა. ვაჟკაცური საქციელია ნამდვილად.

ანტონი. ძალიანაც კარგი. ეს ნიშნავს ნებაყოფლობითი პრინციპის გამარჯვებას.

ალეკო. დოდონა, ფისი მიშველის მე? დოდონა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდონა. ვითომ ჩვეულებრივი მგზავრი ხარ, შეგვიანებული და საწყობთან ჩავლისას ფისი მოგინდა.

დიმიტრი. (გულაჩუყებული) ყოჩაღ, დოდონა, ყოჩაღ! ოქროს ტვინი გაქვს შენ ნამდვილად.

მაგდა. (ალტაცებული) დარწმუნებული ვარ, ქურდებმა რომ ალეკო დაინახონ, დაყრიან ნაქურდალს და მოჰკურცხლავენ.

დიმიტრი. მეფური გარეგნობა აქვს ჩვენს ალეკოს.

ანა. ძალაც მეფურია ალეკოში.

ალეკო. (გაბზარული ხმით) არ მიშველის მე ფისი, დოდონა!

დიმიტრი. (დაფაცურდა, მოიმარჯვა აპარატი) კარი გამოაღე, ალეკო! სწორედ გასვლის მომენტი მინდა აღიბეჭდოს ფირზე.

ალეკო. (ზღურბლს გადააბიჯა) ფისი მიშველის ამხელა კაცს, დოდონა?

დიმიტრი. გადადგი მეორე ფეხიც, ზუსტად კარის ღიობში უნდა ჩაგხატო.

ლუკა. (ძალით მიხურა კარი და მიაძახა ალეკოს) ნებაყოფლობითი პრინციპი უფრო ამართლებს... ყველანაირ საქმეში.

●

ანაზდად ქვემოდან რამდენჯერმე მოურახუნეს იატაკს. აწრიალდა კლარა. ფრთხილი რახუნი განმეორდა და დროის გამოზომილ შუალედებში ისევ და ისევ მოისმა ქვემოდან ყრუ რახუნი.

დიმიტრი. (დაზაფრული) ეს რაღა უბედურებაა?

მაგდა. შუბითიძეებთან ვიღაც ჭერს ურახუნებს.

ანა. (გამომწვევად მიაჩერდა კლარას) ალბათ, უხმობენ ამ ქალბატონს.

ბესარიონი. როგორ თუ უხმობენ? ჩემდა დაუკითხავად ქალბატონ კლარას ვერავინაც ვერ მოუხმობს!

ლუკა. (ქეშად გახედა აცმუკებულ კლარას) არეულ რახუნს რატომღაც არა ჰგავს!

ანტონი. (სმენად იქცა) კი ბატონო! ანგარიშიანი რახუნია ნამდვილად. ჰგავს დათქმულ კაკუნს.

ანა. მაგას უეჭველად საყვარელი უხმობს.

ირინა. (ბესარიონს მალულად შეხედა) დათქმული რახუნია... უეჭველად.

დიმიტრი. (აფორიაქდა) ხელი შეეშლება ალეკოს!

ანა. (გულისწყრომით) საფრთხე ისედაც არ აკლია ჩემს ქმარს!

მაგდა. ამით ასკეცდება საფრთხე.

ირინა. (ისევ ბესარიონს გახედა) ჩავიდეს და გააჩეროს.

ბესარიონი. ჩემი ძვირფასი სატრფო ფეხსაც არ მოიცვლის ადგილიდან!

დიმიტრი. (გაცეცხლებულმა შეუტია ბესარიონს) როგორ ბედავ შენ? ესე იგი, ფეხებზე იკიდებ შენ საერთო საქმეს?!

ანტონი. საერთო საქმე და მოქალაქეობრივი მოვალეობა უნდა დადგეს ყველაზე წინ.

დიმიტრი. ესე იგი, ფეხებზე იკიდებ შენ მოქალაქეობრივ მოვალეობას?!

ბესარიონი. (დაფრთხა) ჩემთან რომ უნდა ყოფნა ჩემს სატრფოს?

დიმიტრი. (უზომოდ გაავთრებული) ამას, ეტყობა, სულ არ აწუხებს მოქალაქეობრივი მოვალეობა!

ანტონი. საერთო საქმეს უნდა შეეწიროს პირადული ინტერესები.

ლუკა. (ბესარიონს, მუქარით) გირჩევ, ყველაფერში დაეთანხმო ანტონს!

ბესარიონი. (მყის შეიცვალა ტონი) სუყველაფერს დავთმობ მე საერთო საქმისათვის! უყოყმანოდ! ცხოვრებაში ყველაფერზე წინ ვაყენებ მე მოქალაქეობრივ მოვალეობას!

მაგდა. ყოჩაღ, ბესარიონ!

ირინა. ყოჩაღ, ბესარიონ!

ქვემოდან კვლავ ისმოდა მომაბეზრებელი კაკუნი.

დიმიტრი. (დაცხრა) ქალბატონო კლარა, პატარა გაჩაფუნებაც კი ახლა ქმნის საშიშარ სიტუაციას...

მაგდა. უკიდურესად დაძაბული ვითარებაა.

დიმიტრი. და მოვალე ხართ დაუყოვნებლივ გააჩეროთ თქვენი საქმრო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონი. (კლარას) ამას დაბეჯითებით მოითხოვს საერთო საქმე.

ანტონი. ოღონდ, ქალბატონო კლარა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მეტად მნიშვნელოვანი მომენტი...

ბესარიონი. (კლარას, მკაცრად) ამას ითხოვს თქვენგან მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ანტონი. რომ ორი კაცი ჯგუფს ნიშნავს უკვე...

მაგდა. (კლარას) თქვენ რომ შეუერთდებით საქმროს, ამას გულისხმობს ანტონი.

ანტონი. ამრიგად, ჩვენი ჯგუფის გვერდით თქვენი ჯგუფიც იქნება. ორმა ჯგუფმა კი, შესაძლოა, სულ მთლად აწეწოს ისედაც გართულებული სიტუაცია.

დიმიტრი. (აღელდა) მართალს ამბობს ანტონი.

ანტონი. (კლარას) ამიტომ, სულ ჩუმად უნდა იყოთ თქვენ ქვემოთ,

ბესარიონი. (ლუკას, განდობით) მე მგონია, ამ დედაკაცს შეუძლია აქედანვე ჩააჩუმოს თავისი კაცი. კაკუნით! დათქმული კაკუნით.

„არა!“ — მთელი არსებით გამოხატა კლარამ.

ბესარიონი. (აღშფოთდა) როგორ თუ არა? (ბრძანებით) ქალბატონო კლარა, აბა ერთი დათქმულად დააბაკუნეთ ფეხები!

„არავითარ შემთხვევაში!“ — მთელი ხმით იყვირა კლარამ მუნჯურად.

ირინა. (ბესარიონს) საშინელი ქალია, ჯიუტი და თავნება.

ლუკა. (ანტონს) ჯანდაბას მაგისი თავი! ჩავიდეს თავის კუროსთან.

ბესარიონი. (კლარას) ჯანდაბას შენი თავი. წადი, წადი შენს კუროსთან.

ანტონი. (დაადევნა მიმავალს) ქალბატონო კლარა, თქვენმა ჯგუფმა მკაცრად უნდა დაიცვას სიჩუმე!

ბესარიონი. (ლუკას, საქმიანად). ცოტათი ჩავყვები კიბეზე. აშარია, რაიმე ჩასულელდე არ ჩაიდინოს გზად. (დაედევნება კლარას აჩქარებით).

ფრთხილი და აბეზარი კაკუნი არ წყდებოდა. შეტოკდა მთვლემარე დოდონა, მიაყურადა. დაჟინებით უხმობდა ქვემოდან თავის ვულისვარდს მიტოვებული მიჯნური. დოდონამ უსმინა ერთხანს. მერე მოიმარჯვა ბუნიკიანი ხელჯოხი და მთელი ძალით რამდენჯერმე დაარტყა იატაკს... კაკუნი მაშინვე შეწყდა. შეწყდა სამუდამოდ.

დიმიტრი. (შიშნაჭამმა, როგორც იქნა, მოითქვა სული) ბოლოს და ბოლოს, ალბათ, შენ გამიხეთქავ მე გულს, დოდონა... ეტყობა, ზოგი ჭირიც მარგებელია ზოგჯერ. (ლუკას) ხედავ? უცბათ ჩააჩუმა დოდონამ.

ლუკა. (ანტონს) ესე იგი, არ უნდა გაგვეშვა ქვემოთ ის დედაკაცი.

●

ირინა. (სმენადქცეული კართანაა მიმდგარი) მაგდა, მოიწი აქეთ, შენც მიაყურე ერთი წუთით.

მაგდა (ჩურჩულითვე გაეპასუხა) რას მივაყურო?

ირინა. (მოუთმენლად) მიუგდე ყური და გაიგებ.

გაიტრუნა მაგდაც ირინას გვერდით.

ბესარიონის ხმა. (მეტისმეტად აღგზნებული, ისმის კიბიდან) კოპწია კლარა, დედოფლების დედოფალო, დააპურე საწყალი და დამშეული ბესარიონი! გასკდება საცოდავი ბესარიონი ამხელა ვნებისაგან. ვითხოვ და დამაპურე, ვითხოვ და დამაპურე! არადა ვერ აიტანს ჩემი სათუთი სული ასეთ გულქვა უსამართლობას. ერთხელ მაინც მიგემე, გოგო, ერთხელ მაინც გამსინჯე, გოგო! ჟამისინჯე, თუ გინდა, სიგრძე-სიგანით...

ირინა. გესმის?

მაგდა. (გულწრფელად პასუხობს) არაფერი არ მესმის, ირინა.

ირინა. კარგად დაუგდე ყური.

ბესარიონის ხმა. (დუღს და ჩუხჩუხებს შეუსვენებლივ) არა და არა, შენ არ დამტოვებ მე მარტოკინას, მზისდარო კლარა! (უხეშად) მაინც ვერ გამისხლტები ვერანაირად, ძალიანაც რომ იტლინკავო! (ტკბილად) შეირწყას ჩვენი სულები, შეირწყას ჩვენი ხორცებიც, ჰიმნი ვუმღეროთ ჩვენ ორმა სულთა და ხორცთა შერწყმას. (უხეშად) გოგო, წიხლებს ნუ ისვრი— სულ დაგეხევა ეგ ძვირფასი კაბა. ვთქვათ ჰიმნი, ჰიმნი ვთქვათ!.,

ირინა. ახლაც არ გესმის?

მაგდა. (ალალად გაოცებულია) არაფერი არ გამიგია.

ირინა. (ჯავრიანად) ავმა დედაკაცმა გატანჯა საწყალი ბიჭი.

მაგდა. ნუ გიკვირს, ირინა, იმიტომ არ მესმის, ალბათ, რომ ალეკოსკენა მაქვს ახლა მიპყრობილი მთელი გულისყური.

●

ალეკოს ხმა. (სადღაც ზემოდან მოისმის ყრუდ) მაგდა, მხოლოდ შენ გიხმობ, მაგდა, ჩქარა გამოქანდი ჩემსკენ, ჩემო კეთილო გოგონი! მაგდა, ჩემო სპეტაკო სიყვარულო... (ანაზდეულად მოვარდნილი ხმა ცოტცოტაობით ისევ გაუჩინარდა).

მაგდა. (აწრიალდა) ირინა, მომხედე, ირინა! აგერ ახლა, დამიძახეს, შენ, გაიგონე?

ირინა. არაფერი არ მესმის ახლა მე, მაგდა. სულმთლიანად აგერა ვარ მიყურადებული.

ალეკოს ხმა. მაგდა, მხოლოდ შენ გიხმობ, მაგდა! მომშველე, ჩქარა მომხედე, ჩემო ერთადერთო სიყვარულო!

მაგდა. (აქეთ-იქით აწყდება ოთახში) ანტონ, ხმა თუ გესმის?

ანტონი. კაკუნი აღარ ისმის, დოდონამ ჩააჩუმა. სხვა რამ ხმა კი არ ისმის ჯერ.

ალეკოს ხმა. (ყრუ და ფრთხილია ისევ) მაგდა, მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ გიხმობს ჩემი ტანჯული სული. მხოლოდ შენ, შენ შეგიძლია მხოლოდ მომიშუშო გულზე იარა.

მაგდა. (ხმას მიყოლილი განაპირა ფანჯარას მიადგა) სადა ხარ, ალეკო, სად?

ალეკოს ხმა. (სასოწარკვეთილებითაა გაჟღენთილი) აქა ვარ, მაგდა, ზემოთ.

მაგდა. სად ზემოთ?

ალეკოს ხმა. ხეზე.

მაგდა. საად?

ალეკოს ხმა. სახურავზე.

მაგდა. ვერ გავიგე, ალეკო.

ალეკოს ხმა. (ცოფმორეული) გაჩხერილი ვარ ხესა და სახურავს შორის.

მაგდა. როგორ, ალეკო?

ალეკო. როგორ და პირდაპირი მნიშვნელობით! ცალი ფეხის წვერი სახურავზე მიდგას, მეორე — ხის ტოტზე. გაჭიმული და გაჩაჩხული ვარ გაგლეჯამდე.

მაგდა. (შეიცხადა) არ ჩავარდე, ალეკო!

ალეკოს ხმა. (წამით ფოლადივით გაჟღარუნდა) არ ჩამოვვარდები, არ გავუხარებ გულს ჩემს მტრებს! ისე კი, ძალიან მიჭირს, მაგდა, ლამის შუაზე გავხჩე ამხელა კაცი. ორივე ხელითა ვარ ჩაფრენილი ტოტებს. კბილებითაც კი ვარ ჩაფრენილი ხანდახან.

მაგდა. ღმერთო ჩემო.

ალეკოს ხმა. ვერც წინ მივიწევ და ვერც უკან.

მაგდა. (ცრემლები ჩაუდგა ყელში) როგორღა აღმოჩნდი მანდ?

ალეკოს ხმა. მაგათი წყალობით. მაქაური გველების წყალობით. ნიძღვარივით მომასკდნენ ეგ გათახსირებულები. წამლეკეს. ძალით გამაგდეს გარეთ. გამიზნულად მაგდებდნენ ვეშაპის ხახაში.

მაგდა. რა გვეშველება ახლა?

ალეკოს ხმა. კინაღამ დამიბნელეს გონება, კინაღამ გამაბრიყვეს. ტყუილუბრალოდ აკვლევინებდნენ ქურდებს ჩემს თავს. გარეთ რომ გამომიტყუეს, მერეღა მივხვდი.

მაგდა. (თანაგრძნობით) არა და არ გშორდება შენ საფრთხე.

ალეკოს ხმა. მაგდა, ხომ არ გგონია, რომ ლაჩრულად გაქცევას ვაპირებდი?

მაგდა. არა, არა!

ალეკოს ხმა. გეტყვი, რასაც ვაპირებდი... მაგრამ, ორიოდ წუთი ვერ ამოვიღებ ხმას — დაკავებული მექნება პირი, რადგანაც ერთხანს ხელები უნდა დავასვენო.

მაგდა. (უზომოდ შეწუხებული) რატომ გექცევა ბედი ასე უმოწყალოდ?

ალეკოს ხმა. გეტყვი, მაგდა, რასაც ვაპირებდი. სახურავიდან ხეზე გადავიდოდი და უჩუმრად და მოულოდნელად დავეცემოდი მეხივით ქურდებს. ხომ გჯერა ჩემი, მაგდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდა. მჯერა, მჯერა.

ალექოს ხმა. მხოლოდ შენთვის, შენთვის ვწირავდი, მაგდა, თავს. მაგ გველაძუებისათვის კი თითსაც არ გავანძრევდი.

მაგდა. ბედმა გიმუხთლა.

ალექოს ხმა. ჩემი გველაძუა ცოლი, ალბათ, იმ თაღლითს ეკურკურება ახლა.

ანა და ლუკა მართლაც განცალკევებით მიმდგარიყვნენ ბნელ კუთხეში.

მაგდა. ჯანდაბას მაგათი თავი. შენ რა გეშველება?

ალექოს ხმა. გველი დიმიტრიც არხეინად იქნება, რა თქმა უნდა.

●

სადღაც ახლოდან ოთახში შემოიჭრა ფორტეპიანოს წყნარი ჰანგები. უხეიროდ და თამამად ღიღინი ააყოლა მელოდიას ბესარიონმა. წამოიმღერა კლარამაც დაბოხებული და ხრინწიანი ხმით.

ბესარიონის ხმა. ჩემო სულთუქმნელო კლარა, ვთქვათ ჰიმნი, ჰიმნი ვთქვათ:

ავენთებით სანთლებივით
სანთლებივით დავდნებით
ტკბილი სიყვარულისთვის
მთელ ქვეყანას ორ-შა, ორ-შა, ორ-შა, ო... შა,
ორშაურში გავცვლიდით.

ორ ხმაში შეწყობილად თქვეს სიმღერა და გაინაბნენ, საამური ჰანგებიც თანდათანობით მიყუჩდა... თვალცრემლიანი გაშორდა ირინა კარს, თავჩაქინდრულმა გადაჭრა ოთახი, ცარიელი კუთხე გამოინახა და მოკალათდა ყველასკენ ზურგშექცევით.

დიმიტრი. (აბობოქრდა) სულ დაიკიდეს ფეხებზე უსაფრთხოების პირობა.

ანტონი. როგორ შეიძლება სიმღერა ასეთ ვითარებაში?!

ანა. იმ უტიფარს, დოდონას ბინაში შეუთრევია ბესარიონი.

დიმიტრი. ასე საძაგლად მტერიც კი ვერ აგირევს საქმეს.

ანა. განსაცვიფრებელი უტიფრობაა.

დოდონა. როცა სახლიდან სიმღერა ისმის, მაშასადამე, კეთილდღეობა სუფევს იმ სახლში.

დიმიტრი. (უცებ გულზე იტაცა ხელი და წამოიხრიალა). არაყი! ანა, არაყი მომეცი ჩქარა!

ანა. (არყის დოქს წამოავლო ხელი) ჩქარა, ლუკა, ჭიქა მომაწოდე ჩქარა. დაავადებულია ეგ გულით.

ანტონი. სპაზმაა?

ლუკა. (ყანწი მისცა ანას) ესღა მომხვდა ხელში.

ანტონი. კი მოუხსნის არაყი სპაზმებს.

ანა. წამოწიე, დიმიტრი თავი. (პირთან მიუტანა სავსე ყანწი) ლუკა, მომეშველე, უკნიდან მიუდექი, ბეჭებით წამოწიე.

ანტონი. ერთბაშად უნდა გადაკრას.

დიმიტრი. (განწირული ხმით) არაყი! (ყანწს ჩააფრინდა ორივე ხელით, მაგრამ... აღარ დასცალდა მოსმა — ახვანცალდა უეცრად, დაიგრიხა, აქეთ-იქით გაიქნია ფეხები, გაიზნიქა წელში, ამოიხროტინა, მაგიდაზე შეაგდო ცალი ფეხი და უცბადვე ჩამოილორთხა, წამის შემდეგ სულ გაქვავდა არაბუნებრივსა და სასეირო პოზაში).

ანა. დიმიტრი, ხმა ამოიღე, დიმიტრი!

ანტონი. (დიმიტრის მკერდს უზელს) ჩაასხით არაყი ძალით.

ანა. (ვერაფრით ვერ გამოგლიჯა ყანწი დიმიტრის ჩაგრეხილ-გაჩხიკინებულ თითებს) რა მოგივიდა, დიმიტრი, რა?

ლუკა. (მოეღრუბლა სახე) მგონია, უკვე ტყუილად აწვალებთ.

ანა. (მყის უკან გადაქანდა) რაო, ლუკა, რა თქვი?

ლუკა. მგონი, გათავდა.

ანტონი. (გაუშეშდა ხელები, ჩურჩულით ჰკითხა ლუკას) გული გაუსკდა?

ლუკა. ალბათ, მასეა.

მაგდა. (შეძრწუნებული) მოკვდა დიმიტრი?

ლუკა. (ანტონს) ჩანს, გულმა უღალატა.

ანა. (ცხვირსახოცი აიფარა თვალებზე) ავადმყოფი გული ჰქონდა მაგ საცოდავს.

მაგდა. (ატირდა) ასე უბრალოდ და უხმოდ მოკვდა?

ირინა. საშინელებაა.

ანა. წაიქცა ოჯახის ბურჯი.

ლუკა. (მაჯა გაუსინჯა დიმიტრის) გულმა უმტყუნა უდავოდ.

მაგდა. ასე უცბად, კაცო, ასე უცბად?

ანტონი. უცბად იცის ღალატი გულმა.

ანა. დედაბოძი გამოეცალა ამხელა ოჯახს.

მაგდა. სულ კი უჩიოდა ჯანმრთელობას საწყალი.

ანა. უმოძრაობამ დაუსუსტა გული... და ხშირმა სმამ.

მაგდა. უყვარდა ჭამა-სმა საწყალს.

ანა. (ლუკას) სულ არ მოძრაობდა თითქმის. სამსახურში სულ ჯდომა უწევდა. შინაც სულ იჯდა და იჯდა.

მაგდა. წყნარი და უბოროტო კაცი იყო.

ირინა. ეტყობოდა.

ანა. (ანტონს) სულ ჭამდა და სვამდა. ძალიან იცოდა ჭამა-სმა ამ უბედურმა.

მაგდა. გამოფხიზლდი, დოდონა! ჩვენი დიმიტრი გარდაიცვალა.

დოდონა. (მშვიდად) ვხედავ, მაგდა.

ანა. (ლუკას) უყვარდა სმა-ჭამა, ალერსიანი საუბარიც უყვარდა, სიმღერაც, მოლხენაც.

მაგდა. კეთილი იყო, ტკბილი კაცი.

ანა. სამსახურიც კარგი ჰქონდა, ოჯახიც მშვენიერი. ფულიც არ აკლდა.

მაგდა. ყველანაირად აწყობილი ჰქონდა საქმე.

ანა. საქმე კი ჰქონდა აწყობილი, მაგრამ სენიც ჰქონდა გამჯდარი უკვე, საშინელი სენი, მომაკვდინებელი. აგერ, კიდეც გაუსკდა გული, ბოლოს და ბოლოს.

●

დოდონა. ეჰ, ჩემო დიმიტრი. ყველაკაცს შეიძლება ეწიოს სიკვდილი უეცრად.

დიმიტრის ხმა. (ექოსავით მოისმის შორიდან) ეგ ნაღდია, მაგას კი ნაღდად ვერ გაექცევა ვერავინ.

დოდონა. კი, მაგაში ყველა კია დარწმუნებული... ჩემო დიმიტრი, აბა, ერთი მითხრი. ამ შენს წარსულს რომ უყურებ ახლა, ბევრი რამ გახსენდება კარგი და სასიკეთო?

დიმიტრის ხმა. (მწყრალად) ეგ მაგას ჰკითხე, დოდონა. მაგ შეკითხვაზე მაგან უნდა გაგცეს პასუხი. უშუალოდ მაგის კომპეტენციაში შედის. მაგას ჰკითხე, მაგას.

დოდონა. (მშვიდად) ვინ მაგას?

დიმიტრის ხმა. მიცვალებულს, განსვენებულს, გარდაცვლილს! მე კი ჯერ ცოცხალი ვარ, დოდონა. მქვია დიმიტრი. ვცოცხლობ უამრავი კაცის მეხსიერებაში. კიდევ კარგა ხანს ვიცოცხლებ. ალბათ... დოდონა, მე ვარ განაყოფი აწ განსვენებულისა და იძულებითი წესით უნდა ვიცხოვრო სხვათა და სხვათა მეხსიერებაში. გასაგებია?

დოდონა (დინჯად) გასაგებია... როგორღა უნდა მივმართო ამას.

დიმიტრის ხმა. როგორც მოგესურვება. აღარა აქვს მაგას პრინციპული მნიშვნელობა.

დოდონა. შინაურულად რომ მივმართო?

დიმიტრის ხმა. შეიძლება, შეიძლება.

დოდონა. ჩემო იდალგო დიმიტრი, აბა, ერთი მითხარი: ამ შენს წარსულს რომ უყურებ ახლა, ბევრ რამეს ხედავ კარგსა და სასიკეთოს?

დიმიტრი. ბევრს არა, დოდონა. ისე კი, აქედან სულ სხვანაირად მოჩანს კარგიცა და ცუდიც.

დოდონა. ალბათ, გულიც გეთანაღრება რამეზე?

დიმიტრი. რა თქმა უნდა, დოდონა, სწორედ მაგას ვგულისხმობდი, კარგი და ცუდი რომ ვახსენე წეღან. მანდ რომ კარგი მეგონა, მართლა კარგი აღარ მოჩანს აქედან.

დიმიტრის ხმა. (გაანჩხლებული) სდექ! ღალატია, უნამუსო, ღალატია. ღალატის ფერი დაჰკრავს მაგ სიტყვებს. (დოდონას) აწი აპირებს ეგ შეხედულებათა გამოცვლას?

დოდონა. დაწყნარდი, ჩემო დიმიტრი.

დიმიტრის ხმა. არავითარ შემთხვევაში! საბოლოოდ დამეკარგა, სამუდამოდ მიმატოვა უთვალავი კაცის მეხსიერებაში და... აწი მოუნდა მაგას შეხედულებათა გამოცვლა? არა-მეთქი! ვაცხადებ საქვეყნო პროტესტს!

დიმიტრი. (ულონოდ) უთხარი, დოდონა, მომასვენოს მკვდარი და გამოტირებული კაცი.

დოდონა. ჩემო დიმიტრი, აცალე კაცს განსვენება.

დიმიტრის ხმა. ვაცლი, თუ არ დაიწყო ისევ კუნტრუში... მოკვდეს მაინც ვაჟკაცურად, დინჯად და უსინანულოდ. ჩემი უფერული ცაცოცხლე ცოტათი მაინც გამილამაზოს.

დოდონა. აღარ იკუნტრუშებს. (ცხედარს) მოგასვენებს, მოგასვენებს, ჩემო იდალგო დიმიტრი.

დიმიტრის ხმა. ისე კი, ჩემო დოდონა, დიდზე დიდი ღორობაა მაგის მხრიდან, ასე უპატივცემულო, ასე ზნეწამხდარი, ასე ფლიდი და უნიათო რომ დამტოვა საბოლოოდ ამდენი კაცის მეხსიერებაში.

დიმიტრი. (წყნარად) ისე კი, ჩემო დოდონა, ზოგი მაქაური კარგი, აქედანაც კარგი მოჩანს.

დოდონა. რა, მაგალითად?

დიმიტრი. მაგალითად, ჩემი ცხოვრების ერთი მცირე ხანა.

დოდონა. რომელ ხანას გულისხმობ, ჩემო იდალგო დიმიტრი?

დიმიტრი. (სევდიანად) როცა ლაღი ბუნებისა ვიყავი, სასიკეთო განცდები მქონდა, როცა ლაჩრობას ვჯაბნიდი თამამად, არაფრისა არ მეშინოდა, მწამდა დიდი სამართლიანობისა, სიკეთე მიმაჩნდა ყველაზე დიდ განძად, ხალასი სიყვარულიც შემეძლო, წმინდა საქმისთვის თავგანწირვაც, ერთგულებაც...

დიმიტრის ხმა. (აბობოქრებული) სდექ! ღალატია, დიდი ღალატია მკრეხელობასთან ერთად! მკრეხელობაა უზარმაზარი! მცდელობაა ფლიდისა, რომ მთელი ქვეყნიერება მზაკვრულად გააცუროს, მოატყუოს დედაბუდიანად.

დოდონა. დამშვიდდი, ჩემო დიმიტრი.

დიმიტრის ხმა. არა და არა! თუკი მაგეები მოსწონდა, ეცხოვრა მაგ წესით ამ ზნეწამხდარს. მეც არხეინად ვიცოცხლებდი ხსოვნაში — დიდხანს, სიამაყით, ლაღად და ბედნიერად.

დოდონა. ნუ ყვირი, ჩემო დიმიტრი, დამშვიდდი, დაწყნარდი.

დიმიტრი. (სევდით) ხელახლა რომ მომეცეს არჩევანი, არასოდეს არ გავშორდებოდი იმ სანუკვარ ხანას.

დიმიტრის ხმა. თვალთმაქცობს ისევ!

დოდონა. დამშვიდდით, დაწყნარდით! აღარა აქვს აზრი ამ ლაპარაკს. მორჩა ყველაფერი, გათავდა. ამის იქით აღარაფერი შეიცვლება. ცხონდეს შენი ცოდვილი სული, დიმიტრი, ცხონდეს! (ვიდრე სამთა საუბარი მოთავდებოდა, ქალებმა გააპატიოსნეს ცხედარი: ხელ-ფეხი გაუსწორეს, შაურიანები დაადეს თვალებზე, აუხვიეს ყბაც და ზეწარიც გადააფარეს).

●

ანა. (მაგდას) იქნებ, საჭიროა ახლა რაიმე წესის აღსრულება?

მაგდა. დოდონას ეცოდინება.

ანა. რაიმე წესი ხომ არაა აღსასრულებელი ახლა, დოდონა?

დოდონა. არა.

ლუკა. (ანას) წესების აღსრულება მერმისთვის გადავდოთ.

ანტონი. რა თქმა უნდა.

ირინა. ისე კი უეცარი სიკვდილი ჯობია უკურნებელ ავადმყოფობას,

ანა. უცბად იცის გულმა დარტყმა.

ლუკა. ჯობია, სხვა ოთახში გავიტანოთ განსვენებული.

ანტონი კი, კი, ჯობია. არ იწვევს კარგ ასოციაციებს.

ანა. მართალია, ასე აჯობებს.

მაგდა. გორგოლაჭებიანია ეგ სავარძელი.

ანა. (ლუკას) გავიტანოთ სავარძლიანად.

ანტონი. (მეორე ოთახისკენ გააგორა სავარძელი) ლუკა, კართან დადექი. არ წამოედოს კარს ცხონებული.

●

ალეკოს ხმა. მაგდა, ჩემო ცისიერო სიყვარულო, ჩემო ერთადერთავ, ჩქარა, ჩქარა მოდი ჩემთან. მაგდა, რად დამტოვე მე, რად დამტოვე ტანჯული მარტოსული ეშმაკეულებთან?

მაგდა. (მიირბენს ფანჯარასთან) აქა ვარ, ალეკო, აქ! არ დაგტოვებ მე შენ, არა!

ალეკოს ხმა. (შეშფოთებული) მაგდა, საიდან ისმოდა მუსიკა? რატომ მღეროდნენ?

მაგდა. დიმიტრი გარდაიცვალა, ალეკო.

ალეკოს ხმა. (პაუზის შემდეგ, ღვარძლიანი ირონიით) და რატომ მღეროდნენ?

მაგდა. არა, არა! მღეროდა ბესარიონი, სულ სხვა მიზეზით. კლარასთან ერთად მღეროდა.

ალეკოს ხმა. (ქუხილივით მოისმის) ამაზე უფრო ტანჯულ და სავალალო მდგომარეობაშიც რომ ვიყო, მაინც არ გავამასხარავებინებ ჩემს თავს არავის!.. მით უმეტეს, შენისთანა გატლეკილ და უსირცხვილო გოგოებს.

მაგდა. (ატირდა) რატომ მკადრებ. ალეკო? ჩემი სათაყვანო მგოსნის გამასხრებას როგორ გავბედავდი მე? ჩემო სიყვარულო!.. მართლა მოკვდა დიმიტრი, გული გაუსკდა. ბესარიონი და კლარა მრუშობენ, მრუშობის ჰიმნი თქვეს.

ალეკოს ხმა. მაპატიე, ჩემო სიყვარულო, მაპატიე! ისეთ საშინელ დღეში ვარ, რომ წამდაუწუმ მებინდება გონება. შეჩქანებულიც კი მგონია ჩემი თავი დროდადრო. ჩემო მაგდა, რამსიმაღლეზე შეუძლია ახტომა კავკასიურ ნაგაზს?

მაგდა. არ ვიცი, შენს თავს ვფიცავარ, არ ვიცი.

ალეკოს ხმა. მაშ, მართლა მოკვდა დიმიტრი? შემეცოდა საწყალი. ისე კი, ყველა კაცი ნამეტანი ეგოისტია, აგერ, ჩემ თავზეც კი ვგრძნობ, სადღაცა, გულის კუნჭულში, მგონია, სიხარულმაც კი გამკრა, რომ ჩემზე უარეს დღეში ჩავარდნილა დიმიტრი. ჩემო მაგდა, ფრინველი ყვავი მტაცებელთა გვარისაა?

მაგდა. შენს თავს გეფიცები, არ ვიცი.

ალეკოს ხმა. ძალიან გიყვარვარ, ჩემო მზეო?

მაგდა. უსაზღვროდ.

ალეკოს ხმა. ისეთ შავ დღეში ვარ, ჩემო მაგდა, რომ სიმღერა მინდება ხოლმე. ხომაა ეს სიგიჟის ნიშანი? გაჩაჩხული ვარ გაგლეჯამდე. გაგლეჯილი მაქვს შარვლის უბე. კუტა გარეთა მაქვს გამოვარდნილი. ყვავი მაზის მხარზე. ქვემოდან ნაგაზი ცდილობს ამოხტომას. კუტუს მოჭმას მიპირებს, მებინდება და მებინდება გონება.

მაგდა. (თავგამოდებით) მოვუხმობ საშველად ყველას.

ალეკოს ხმა. (ფოლადივით გაჟღარუნდა ისევ) არა, მაგდა, ჩემი უბედურება მხოლოდ გაახარებს მაქაურ გველის წიწილებს. მაგ გველაძუებს საკუთარი თავისთვისაც კი ვერ უშველიათ. როგორ გამიტყუეს გარეთ, რა მახე დამიგეს! ჩემი პირშავი ცოლი იმ უტიფარს ეღუღუნება, ალბათ?

მაგდა. (გახედა ბნელ კუთხეში განმარტოებულ წყვილს) ეშმაკსაც წაუღია შენი ცოლი, ალეკო!

ალეკოს ხმა. (წამოიმღერებს) არა, აწ აღარავინ არ დატკბება ჩემი სტრიქონების მადლით. მაგდა, სასწრაფოდ დაურეკე, მთელ მსოფლიოს დაურეკე, რომ არც ერთ სტრიქონს აღარ დაწერს ჩემი ხელი. გალატაკდნენ, დაე, სულიერად გალატაკდნენ მკითხველთა თაობები.

მაგდა. მკითხველებს რაღას ერჩი?

ალეკოს ხმა. ვერჩი! რადგან ასე გაჭიმული და გაჩაჩხული ვარ მე დღეს! რადგან კუტას მოჭმას მიპირებს კავკასიური ნაგაზი. რადგან არც მიწისა ვარ და არც ცისა მე ახლა. ვერჩი ყველას, ყველას ერჩის გაბრაზებული ალეკო! (დაზაფრული). მაგდა, რას მერჩის ეგ ყვავი მე? გულის ჯიბეში ცდილობს ჩამიძვრეს... მაგდა, რად უნდა ყვავს მაგნიტოფონი? რად უნდა ძაღლს ჩემი კუტუ?

მაგდა. იქნებ, გეთამაშებიან?

ალეკოს ხმა. (წაიმღერებს) შესაძლოა, შესაძლოა! მორჩა, გათავდა, კარგ ხასიათზე დავდექი მე უკვე. დაურეკე, მაგდა. მთელ მსოფლიოს, თაობებსაც გადაეცი, რომ უსაშინლესი გასაჭირის ჟამსაც კი არ ვკარგავდი სიმხნევეს. უთხარი დოდონას: ალეკოს რომ ფისი მოუნდეს-თქო, არ დაჭირდება შარვლის შეხსნა, გამოვარდნილი აქვს-თქო გარეთ კუტუ.

●

დიმიტრი. (ყბაახვეული შემოვარდა ოთახში და გაქანდა შორეული კუთხისაკენ) არ ატეხოთ წიოკი! არაფერია აქ გასაოცარი. (სადღაც მიგდებული რკინის გრძელი ნაჭერი გააყოლა ხელს) იყო ჩვეულებრივი შემთხვევა! კლინიკური სიკვდილი! მეტისმეტი დაძაბულობისაგან გამოწვეული.

ირინა. (მეხდატეხილი შეჰყურებს დიმიტრის) ცუდად ვარ, ან-



ეროვნული

ტონ! (გული შეუღონდა).

ანტონი. (სკამზე მიასვენა გონწასული) წყალი, მაგდა, წყალი ან არაყი მომაწოდე.

დიმიტრი. (რკინის ნაჭრით სასწრაფოდ აჰყარა პარკეტი) გეგონათ, ასე იოლად მოვკვდებოდი? ასე იოლად არ მოკვდება დიმიტრი! კერკეტი ვინმეა დიმიტრი, კერკეტი. (რკინის პატარა სკივრი ამოიღო საფარიდან და გახსნა ციცქნა გასაღებით) განძი რამ არ გეგონოთ, აქ ვინახავ მე საბუთებსა და წერილებს.

ანტონი. ნუ გეშინია, ირინა, ნუ! ამას ჰქვია კლინიკური სიკვდილი.

მაგდა. (თვითონაც შეშინებულია) ხშირია ასეთი შემთხვევა სამედიცინო პრაქტიკაში. (წყალი მიაპკურა სახეზე ირინას).

დიმიტრი. მემუარებსაც აქ ვინახავ მე. (გულმოდგინედ იქექება სკივრში, ლამის შიგ ჩაძვრეს) ბევრი საინტერესო პიროვნება შემხვედრია ცხოვრებაში და მემუარებსაც იმათზე ვწერ.

ანა. (ლუკასთან ერთად ბნელი კუთხიდან გამოვიდა ოთახის შუაგულში) ამას ჰქვია სწორედ მკვდრეთით აღდგომა. ხედავთ? სიკვდილიც კი მოატყუა დიმიტრიმ.

ლუკა. დაწყნარდი, ირინა. კარგად აუხსენი, ანტონ, რასაც ნიშნავს კლინიკური სიკვდილი.

დიმიტრი. ვწერ და ვინახავ, ვწერ და ვინახავ. (წამოიყვირა უცებ) აკლია! ოქროს სამაჯური აკლია. ვინ აიღო? გამოტყდის, თავისით გამოტყდეს!

ანა. (წარბს შეკრავს) რას როშავ, დიმიტრი?

დიმიტრი. არადა, მთელი ქვეყნის მილიციას მოვყრი ახლავე. ოვ-ოტონწვე გამოტყდეს! (უცბადვე დამშვიდდა) აგერ ყოფილა, წაკეცში. (ამოიღო სამაჯური, კარგად შეათვალიერა და უკანვე ჩადო სკივრში, ტანითაც კი აეფარა განძეულს) მართლაც რაღაცას ვროშავ, ანა. ეტყობა, კლინიკურმა სიკვდილმა არ ჩამიარა უკვალოდ. (ჩაკეტა სკივრი და ამოიღოლავა) განძი რამ არ ეგონოს აქ ვინმეს. აქ მე მემუარებს ვინახავ. ბევრი ღირსშესანიშნავი ამბის შემსწრე ვარ და მართლად მინდა მოვუთხრო ყოველივე შთამომავლებს.

ანტონი. ხომ ხედავ, ირინა. დიმიტრია ეგ, ჩვეულებრივი დიმიტრი.

ირინა. (დაწყნარებული) ძალიან კი შევშინდი.

ანა. (ირინას) თავდაპირველად მეც კი შემეშინდა.

მაგდა. ლუკა, კავკასიური ნაგაზი რამ სიმაღლეზე ხტება?

ლუკა. (გაჯავრდა) რა შტერულ შეკითხვას იძლევი?

მაგდა. (თაიბნა) ისე ვთქვი, ტყუილად, გასახალისებლად.

ლუკა. (მკაცრად) არ ვსაჭიროებ მე გახალისებას (ანასკენ წავიდა).

ირინა. (ანას) პირველად ვნახე მკვდრეთით აღმდგარი კაცი.

მაგდა. ანტონ, ფრინველი ყვავი მტაცებელთა გვარისაა?

ანტონი. მგონი, არ უნდა იყოს მტაცებელი ფრინველი.

მაგდა. ანტონ, რად უნდა მოუნდეს ყვავს მაგნიტოფონი?

დიმიტრი. (სკივრამოღლიავებული სკამზე შემდგარიყო და კარადის ზედა თაროზე აფათურებდა თვალებს) აკლია! ვერცხლის კოვზები აკლია: ორი კომპლექტი: ექვს-ექვსი ცალი. ვინ აიღო? თავისით გამოტყდეს. მაინც არ შევარჩენ, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს. მაინც არ შევარჩენ.

ლუკა. ანა, როგორმე ჩააჩუმე ეგ რეგვენი, თორემ გადმოვიღებ სკამიდან და სიგრძეს სიგანეზე მოვუქცევ, უმოწყალოდ გავლახავ.

დიმიტრი. არადა, ქვეყნის სამხედრო ძალებს მოვარეკინებ ახლავე მილიციას.

ანა. (მკაცრად) დიმიტრი, თუ გესმის შენ, რას როშავ?

დიმიტრი. (მიაგნო კოვზების ორ კოლოფს) ვიპოვე, აგერ ყოფილა, ქვედა თაროზე. აბნეული მაქვს მთლად ტვინი. ანა, არცაა გასაკვირი — მობრუნებული კაცი მქვია ახლა მე.

ანა. დაფიქრდი ხოლმე და მერე იქაქანე.

დოდონა. ეჰ, ჩემო იდალგო დიმიტრი! სანუკვარ ხანას რომ ახსენებდი, გახსოვს?

●

მაგდა. (მიირბინა ფანჯარასთან) ალეკო, ჩემო ალეკო, გესმის ჩემი, ალეკო?

ალეკოს ხმა. (აღგზნებული). მესმის, ჩემო მზეო, ჩემო ერთადერთო ნუგეშო, მესმის შენი საამური გალობა. რად გამეცალე ასე უცებ, ცისიერო? მაგდა, შენა ხარ ჩემი ერთადერთი იმედი, შენი წყალობით აქაც კი მეწვია მე ტანჯულს სილაღე და სიხარული. შენგან შევიგრძენი მე მადლი დიდი სიყვარულისა, რაიც უმთავრესი და უძვირფასესი საუნჯე ყოფილა კაცთათვის. ჩემო განძო მაგდა, ყველანაირ ტანჯვა-ვაებას ეგუება კაცი, თუკი ჭეშმარიტი სიყვარული ახლავს თან. გაჭიმულ-გაჩაჩხული ისე ვგრძნობ ახლა თავს, ვითომც არაფერი. ყვავსაც დავუმეგობრდი. კავკასიური ნაგაზიც უკვე კეთილად ცდილობს კუტუნების მოკვნეტას... თუ არ მომაკლდება შენი სიყვარული, ყოველგვარ ტანჯვას გავუძლებ, თუგინდ შავ ღრუბელზე გადმომკიდონ მარტო კუტუთი.

მაგდა. (მეტისმეტად განაზებულია მოზღვავებული სიყვარულისაგან) ჩემო უძვირფასესო ალეკო, დიმიტრი გაცოცხლდა.

ალეკოს ხმა. რაო?

მაგდა. დიმიტრი გაცოცხლდა.

ალეკოს ხმა. (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უკმეხად) რამდენი წლისა ხარ შენ, გოგო?

მაგდა. ცხრამეტის.

ალეკოს ხმა. მერედა, ცხრამეტი წლის გოგო ასე რამ გაგაფუჭა და გაგათახსირა?

მაგდა. (ატირდა) რა დაგიშავე, ალეკო?

ალეკოს ხმა. როგორ მიბედავ მასხრად აგდებას?

მაგდა. მართლა გაცოცხლდა დიმიტრი, ჩემო ალეკო.

ალეკოს ხმა. (ყინულივით ცივია) არსად არ მინახავს მე, რომ ასე უცებ-უცებ კვდებოდეს და ცოცხლდებოდეს ვინმე ადამიანიშვილი.

მაგდა. კლინიკური სიკვდილი ყოფილა.

ალეკოს ხმა. გული არ უსკდებათ კლინიკურ მიცვალებულებს

მაგდა. (სასოწარკვეთილი) რა ვქნა, ჩემო სიყვარულო, როგორ დაგაჯერო?

ალეკოს ხმა. (მკაცრად) დღეის იქით მხოლოდ მარტოობა და შავი ყვავია ჩემი სიყვარული.

მაგდა. (ტირის) ანტონმა თქვა ყვავი იმიტომ ცდილობსო მაგნიტოფონის დათრევას, რომ, ალბათ, ყველი ჰგონიაო კრიალა მაგნიტოფონი.

ალეკოს ხმა. ალბათ, შავი ყვავიც კია დედაკაცზე ერთგული.

მაგდა. (ცრემლები ახრჩობს) ანტონმა თქვა ორ მეტრზე მაღლა ვერ ახტებაო კავკასიური ნაგაზი.

დაიჩხავლა ყვავმა.

ალეკოს ხმა. შენ, მხოლოდ შენ მოგესალმები, ჩემო ტანჯულო მარტოობავ! ჩემი გულის ხვაშიადი მხოლოდ შავმა ყვავმა და ბნელმა ღამემ გაიგოს. წაიღე, ჩემო შავო ნუგეშო, გაიტაცე ეგ მაგნიტოფონი. წაიღე და ცას აუწყე ჩემი სულის დარდი და სატკივარი.

მაგდა. (ყვირის) მართლა გაცოცხლდა დიმიტრი, ჩემო ალეკო!

ალეკოს ხმა. (სევდიანად) მხოლოდ მარტოობა და უნუგეშობა გაცოცხლდა ჩემთვის.

მაგდა. (სიმწრით) მართლა გაცოცხლდა ეგ არსაცოცხლებელი!

ალეკოს ხმა. ფრი, ჩემო შავო მეგობარო, მაღლა, უფრო მაღლა აფრინდი. ჩემი სულის ყვირილი მოაპნიე ბნელ ღამეს.

მაგნიტოფონიანი ყვავი. (აუჩქარებლად დაფრინავს სახლის ირგვლივ. მაგნიტოფონიდან მკაფიოდ მოისმის ალეკოს ხმა) სიმშვიდე, მთავარია სიმშვიდე დამეუფლოს. არ უნდა ავყვე ემოციებს, მთავარია სიმშვიდე შევინარჩუნო...

დიმიტრი. (სხვებთან ერთად გაოცებით იყურება ზემოთ) საიდან ისმის ალეკოს ხმა?

მაგნიტოფონიანი ყვავი. თუ მინდა სიცოცხლე, უნდა სიმშვიდე შევინარჩუნო! ღირს კი ამნაირი სიცოცხლე? დაწყნარდი, ალეკო, ასამდე დაითვალე, დინჯად დაითვალე ასამდე და დამშვიდდები... მოდი და ყველაფერი აუღელვებლად განვსაჯოთ!..

ანა. (სხვებთან ერთად ყურს ადევნებს ყვავს) ჯიბის მაგნიტოფონია ალეკოსი.

მაგნიტოფონიანი ყვავი. განვსაჯოთ, დინჯად განვსაჯოთ ყველაფერი. რად აღმოვჩნდი მე ასეთ გლახა და სახეირო მდგომარეობაში? ობიექტურად განვსაჯოთ, ალეკო, გულახდილი იყავი საკუთარ თავთან მაინც. კი, ვიქნები, ახლა მთლად გულღია მინდა ვიყო. ყოველი კაცი ზუსტად ისეთ ყოფაშია, როგორსაც იმსახურებს. უფრო მეტიც, უფრო მეტიც! თითო-

ეული კაცი, თავის ამჟამინდელ ყოფას გუშინ ქმნის არაჩვეულებრივი თანმიმდევრობითა და რუდუნებით..

ა ნ ტ ო ნ ი. (სხვებთან ერთად წრეს უვლის ოთახში ყვავის ფრენას აყოლილი) ვერ გამიგია, საიდან მოდის ალეკოს ხმა.

მ ა გ ნ ი ტ ო ფ ო ნ ი ა ნ ი  ყ ვ ა ვ ი. ხომ მქვია მე ხელოვანი? მქვია! ჰოდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ასე გაჭიმულ-გაჩაჩხული ბევრჯერ ვყოფილვარ მე ცხოვრებაში. ლამაზად რომ ვთქვა, აი ახლა, ამჟამად, მოხდა ხატოვანი, ფიზიკური განსახიერება ჩემი ძალიან ხშირი სულიერი და მორალური მდგომარეობისა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მხდალი ვიყავი მე მუდამ და არასოდეს მქონია ცხოვრებაში მყარი ადამიანური პოზიცია. ეს ნიშნავს იმას, რომ უაზრო ყოფილა მთელი ჩემი საქმიანობა... ნუთუ, მთელი ჩემი ცხოვრება ფუჭია და მხოლოდ ამაოება? (მოიშალა მაგნიტოფონი) ნუთუ, მთელი ჩემი ცხოვრება ფუჭია და მხოლოდ ამოება? ნუთუ, მთელი ჩემი ცხოვრება ფუჭია და მხოლოდ ამოება?..

ა ლ ე კ ო ს  ხ მ ა. (გრგვინავს დაფეთებული) ხანძარია, ხანძარი! ვიწვით, ვიწვით!

იმწუთშივე სახლს შემოენთო ცეცხლი და მძლავრი გუგუნი.
ოთახში მყოფნი კარს წიოკით მიაწყდნენ. აინთო და მყის ჩაქრა ისევ შუქი. თუხთუხებდა და შიშინებდა რაღაცა ქვემოთ. კიბეზე გაისმა უამრავი ფეხის ბაგაბუგი, სადღაც მავთულები წკაპუნობდა დაცარიელებულ ოთახში წამდაუწუმ ქრებოდა და ინთებოდა ბრჭყვიალა ჭაღი. გრუხუნებდა, ჭრიალებდა და ქოთქოთებდა მთელი სახლი.

ა ნ ა ს  ხ მ ა. (შიშატანილი სადარბაზოში ზრიალებს) ვერ ვპოულობ გასაღებს, სადაა, მაგდა, გასაღები?

მ ა გ დ ა ს  ხ მ ა. ალეკო, რა გეშველება შენ, ჩემო სიყვარულო?

დ ი მ ი ტ რ ი ს  ხ მ ა. არ უნდა გასაღები, მხრით გავანგრევ.

ა ნ ტ ო ნ ი ს  ხ მ ა. გზა მიეცით დიმიტრის.

მ ა გ დ ა ს  ხ მ ა. ჩემო მშვენიერო ალეკო!

ი რ ი ნ ა ს  ხ მ ა. ბესარიონი? არ დაგვრჩეს ბესარიონი.

ა ლ ე კ ო ს  ხ მ ა. (ზარივით რეკავს) ვიწ-ვით! ვიწ-ვით! ვიწ-ვით!

დ ი მ ი ტ რ ი ს  ხ მ ა. გამეცალეთ!

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი  დ ა  კ ლ ა რ ა. (შეწყობილად მღერიან) ორ-ში, ორ-ში, ორ-ში, ორშაურად გავყიდით.

მ ა გ ნ ი ტ ო ფ ო ნ ი ა ნ ი  ყ ვ ა ვ ი. ჩემი ცხოვრება ფუჭია და მხოლოდ ამაოება.

ლ უ კ ა ს  ხ მ ა. გაქანდი, დიმიტრი, ეძგერე!

ხანძრის მოღონიერებულ გუგუნსა და ორომტრიალს დაერთო ყრუ, ძლიერი დარტყმები.

●

სიჩუმეში, სადღაც შორს მამალმა იყივლა. ფერი იცვალა, ოდნავ გაფერმკრთალდა შიშველ ველზე გაწოლილი ღამე. ლურჯი ცისკიდური ქალებისა და მამაკაცების სილუეტებით მოიხატა. გამოფხიზლდა და აჩოჩქოლდა მიძინებული მიდამო.

ა ნ ტ ო ნ ი. შევჩერდეთ აქ, ბოლოს და ბოლოს.

დ ი მ ი ტ რ ი. ცოტათი აქეთ, ცოტათი აქეთ. იქნებ, საწყობში ფეთქებადი რამეც ეწყოთ.

ა ნ ტ ო ნ ი. მადლობა ღმერთს, ყველანი რომ გადავრჩით.

დ ი მ ი ტ რ ი. აი, აქ შეიძლება გაჩერება. აქამდე ზარბაზანიც ვერ მოაღწევს.

ი რ ი ნ ა. დიდხანს კი იწვის.

მ ა გ დ ა. (სევდით) ფუნდამენტალური შენობა იყო.

ა ნ ა. მეც მწყდება, მაგდა, გული. მთელი ქალიშვილობა აქ გავატარე.

ა ლ ე კ ო. მაინც დაანგრევდნენ მალე ამ შენობას.

ა ნ ტ ო ნ ი. ხანძარი ჯობდა დანგრევას. ჯარისკაცივით დაეცა სახლი ბრძოლის ველზე.

დ ი მ ი ტ რ ი. გვიშველა ხანძარმა. ახლა ხომ მაინც დაგვირიგებენ ახალ ბინებს?!

ლ უ კ ა. დიმიტრი, შენ, ნაღდად, ქონებაც გექნებოდა დაზღვეული?

დ ი მ ი ტ რ ი. რაღა თქმა უნდა. წესრიგი მიყვარს მე.

ა ნ ა. ხედავთ? ხანძარიც კი მოატყუა დიმიტრიმ.

ა ნ ტ ო ნ ი. დაზღვევა რაღად გინდოდა? მთელი ქონება აგერა გაქვს ამოღლიავებული.

დ ი მ ი ტ რ ი. (იცინის, ხელი დაარტყა ციცქნა სკივრს) მემუარები მიდევს მე აქ... და პირადი წერილები რამოდენიმე გენერლისაგან.

კ ლ ა რ ა. ბესარიონ ივანიჩ, მარჯვენა მხრიდან დამიდექი. საერთოდ, იცოდე, მამაკაცი მარჯვენა მხარეს უნდა უმშვენებდეს ქალს.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. (მისავათებულია) ვინაა, მაგდა, ეს ქალი?

მ ა გ დ ა. (განცვიფრდა) როგორ თუ ვინაა? კლარაა, ბესარიონ, კლარა.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. მერედა, რა უნდა ჩემგან კლარას?

ა ნ ტ ო ნ ი. (აღელდა უცებ) ლუკა, გახედე ჩქარა! აგერაა ქურდი. გარბის, გზის პირს მიჰყვება.

კ ლ ა რ ა. (მშვიდად) არაა ეგ ქურდი. ეგ კაცი ჩემი ყოფილი საქმროა.

ა ნ ტ ო ნ ი. (ყვირის) სიძე! სად გარბიხარ, სიძე? მოდი აქ, აქ!

კ ლ ა რ ა. (მშვიდად) არავითარ შემთხვევაში არ მოვა. თავისი საზოგადოებრივი ინტერესების გამო.

ა ნ ტ ო ნ ი. სიძე! აქა ვართ ყველანი, კლარაც აქაა. სიძე, სიძე!

კ ლ ა რ ა. არცაა უკვე საჭირო მაგის აქ მოსვლა. ბესარიონ ივანიჩ, მანდილოსანი გეყრდნობი, შენ კი ხელი სულ მოგიფომფლოვდა.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი. დოდონა, სადა ხარ, დოდონა! ვინაა ეს ქალი, დოდონა?

ა ნ ა (შემცბარი) სადაა დოდონა?

ა ლ ე კ ო. სადაა დოდონა?

მ ა გ დ ა. (გახევდა) დაგვრჩა დოდონა.

ყველანი გაისუსნენ, შეძრწუნებულნი მიაჩერდნენ ხანძარს, შორეული გუგუნი წუთით მომძლავრდა. ცეცხლის ჩრდილებიც აზვანცალდა ველზე და მთელი არემარე უეცრად გამაყრუებელმა ბათქმა შესძრა.

ა ნ ტ ო ნ ი. ჭერიც ჩამოიქცა.

გაიტრუნა ველი. სიჩუმეში სადღაც შორს ისევ იყივლა მამალმა. ატირებული მაგდა ნელა გაუყვა გზას. დანარჩენებიც აედევნენ. იცრიცებოდა ღამე თანდათანობით. უხმაუროდ, აუჩქარებლად მიდიოდნენ ველზე ცხრანივე, შორით მიმავალ გადაქანცულ მგზავრებს ჰგვანდნენ. ცისკიდურზე მზე ამოიწვერა. განათდა და გაიშალა ველი. განთიადის ხალისიანი ალიაქოთი კიდით კიდემდე მოეფინა მიდამოს... ჰორიზონტზე ნელ-ნელა ამოვიდა მზე და მის ოქროსფერ ტანზე მთვლემარე დოდონა ჩაიხატა ცოტცოტაობით.

დ ო დ ო ნ ა. აქა ვარ მე, აქ!

მ ა გ დ ა. (გაქანდა დოდონასთან) დოდონა, დოდონა!

ა ნ ა. აგერ ყოფილა ცოცხალი და უვნებელი.

ა ნ ტ ო ნ ი მზეში ჩახატულივით მოჩანს.

მ ა გ დ ა. ჩემი მზეა, ჩემი დოდონა.

ი რ ი ნ ა. კუნძზე მჯდარა.

ა ნ ტ ო ნ ი. გადაიღლებოდა ასი წლის დედაბერი, რა თქმა უნდა.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი, დოდონა, რა უნდა ამ ქალს ჩემგან, დოდონა?

ა ლ ე კ ო. მზის გულში როგორ აღმოჩნდა?

დ ი მ ი ტ რ ი. მზესავით უკვდავი დედაკაცია.

მ ა გ დ ა. დიმიტრი, აჩქარე გადაგვიღე, მზის გულში გადაგვიღე სურათი მე და დოდონას.

ი რ ი ნ ა. მეც მინდა, მაგდა, სურათის გადაღება.

მ ა გ დ ა. დოდონას დაუდექი, ირინა, გვერდით. თქვენც მოდით, ჩქარა მოდით! ვის ღირსებია მზის ტანზე სურათის გადაღება?

ა ნ ა. მართლაც არავის ღირსებია. (მიირბინა დოდონასთან) ალეკო! ლუკა! ჩქარა, ჩქარა, საცაა წავა მზე მაღლა.

კ ლ ა რ ა. (დოდონასკენ გააქცია ბესარიონი, გზადაგზა აჩქარებით უსწორებს ტანსაცმელს) ბესარიონ ივანიჩ, ყელი უნდა მოიღერო, საქმიანი და ზვიადი უნდა ჩანდე სურათზე.

ი რ ი ნ ა. იჩქარე, ანტონ, იჩქარე.

დ ი მ ი ტ რ ი. (გამართა ფოტოაპარატი და აღელდა) მეც კი მომინდა სურათის გადაღება.

ა ნ ა. შენ მერე, მერე!

დ ი მ ი ტ რ ი. მზის ტანზე მინდა მეც.

ა ლ ე კ ო. ჩქარა, მზე მიდის, ჩქარა!

მ ა გ დ ა. დარბაზში სთხოვე ვინმეს.

დ ი მ ი ტ რ ი. (გადაისროლა ფოტოაპარატი დარბაზში)ა. ბიჭო, გადაიღოს ვინმემ (გაექანა ჯგუფისაკენ) დოდონას გვერდით დამითმეთ ადგილი, ძველი მეგობრები ვართ მე და დოდონა.

სიჩუმეში, სადღაც შორს მესამედ იყივლა მამალმა.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი